

ლიტერატურული გაზეთი

№91 1 - 14 თებერვალი 2013

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

მარიამ ნიკლაური

დაუნარელი წერილებიდან

ადრე ხალხი ცხოვრობდა ერთად... ღმერთთან ერთად, მეფესთან ერთად, გვარ-ტომთან ერთად, ხატთან ერთად, მიწასთან ერთად... ახლა კი ცხოვრობს ცალ-ცალკე მხოლოდ პასპორტთან, ფულთან და პარტნიორთან შენებებული. განსხვავება სულ ესაა ძველსა და ახალ ადამიანს შორის. ცა მაშინაც ლურჯი იყო, მიწა – ნოტიო, ომი კი – ბევრად მიამიტური დღევანდელ მშვიდობასთან შედარებით...

II-III

იდილიური ლექსპროზები

რა ცოტა დუ-იაქე და რა ბევრი შაში-ჩარია,
რა დიდი მშვიდობაა და რა ცოტა საშიშარია...
კარში გამოდი, ტარია – ნახე, რა კარგი დარია,
ნახე, რა ბევრი ცოცხალი,
ნახე, რა ცოტა მკვდარია,
ნახე, რამდენი სტუმარი, რამდენი კაფე-ბარია,
ნახე, რა ცოტა მტერი და რა ბევრი მეგობარია,
ნახე, რა ცოტა ხრმალია, ნახე, რა ბევრი ფარია,
რა ტკბილად ისმის ჰიმნის ხმა –
უსაყვარლესი არია!
არსად ის ხალხი, ვინც ერთ დროს
სამშობლო ჩვენი არია,
ყველგან ნაიალალარი, ნაღდი პოეტი ხარია,
რა მისვლა-მოსვლა გაჩაღდა,
რამდენი ღია კარია,
ზარის ხმა ყველას ესმოდეს –
ნახე, რამდენი ზარია,
ნახე, რამდენი ბრძენი და რა ცოტა უმეცარია,
ნახე, რა ბევრი ვარდი და რა ცოტა ეკალ-ნარია!
გესმის? – ლილეო, ჩაკრულო, ოსანა, ავე-მარია!
რა ბედნიერი კაცი ხარ, შენ არც კი იცი, ტარია...

...მე შენ გიმაღლი ყველაფერს,
დედაო ღვთისა, მარიამ!


IV-V

გივი ალხაზიშვილი

წუთი

ცივია ზამთრის მზის აბრეშუმი,
რომ მიაფინეს ყინვის მაქმანებს,
ღიაა შენთვის წუთი ყოველი,
ჩავლილმა წლებმა რომ ვერ დაგმანეს.
დროდადრო აქვე ისე ჩაივლი,
ვერც ხვდები, ზღვარი რომ გადმოლახე,
ან აქეთ როგორ გამოაღწიე,
შემოსასვლელი როგორ მონახე?!
ინათებს, როცა იგი თვალს ახელს,
წუთით იზრდება ამ დღის ნათება
და მიხარია, ეს ერთი წუთი
ჩვენს ერთად ყოფნას რომ ემატება...

VIII-IX



ფოთლები პანია ბარტყებს ჰგვანან, რომლებიც სიცოცხლის ბოლოს პირველად და უკანასკნელად ბედავენ გაფრენას დედის წიაღიდან. მთელი ცხოვრება თრთინ, ცახცახებენ და ამ გაფრენისთვის ემზადებიან.

ქუჩას ასფალტის თაღი აცვია. მოშორებით მწვანე სკვერი ღრმა დეკორაციით ჩანს.

ქარი ხის კენწეროს არხევს... ფესვები მშვიდად მიიწვევენ მიწის წიაღში და ქარების არ ეშინათ... იმ ქარიშხლისგან დაგვიფარე, ღმერთო, ფესვიანად რომ შეუძლია ყველაფრის მოთხრა...

ადამიანი უკიდევანო და დაუსაბამო სამყაროში განფენილი ღვთის სუნთქვის ექოა. ამ უსაზღვროობაში ყოველთვის მოიძებნება თუნდაც ერთი არსება, რომლის წინაშე მუდამ დარჩები ისეთი, როგორც ღმერთს სურს, რომ გიხილოს.

კაცობრიობა ერთი დიდი კიდობანია, რომელშიც ყველაფერი შეუნახავს ღმერთს გადასარჩენად. დავებებებით კოსმოსის ლაჟვარდოვან ზვირთებში და ვინ იცის, რას დაერქმევა „ზღვათამინ წყლის ჩადგომა“ ჩვენთვის. ვინ იცის, სად ფრენს ჩვენი მტრედი, სად ყვავის ჩვენი ზეთისხილი...

რამდენჯერ მინახავს ვარსკვლავის მონყვეთა ცაზე... ცას კი არაფერი ემჩნევა... როგორც დედამიწას — ადამიანების სიკვდილი.

ადამიანებს ყველაზე მეტად ერთმანეთი სჭირდებათ ქვეყნად. ღმერთი ერთმანეთთან მისასვლელი გზაა. მე, ადამიანი კი, სულისა და ხორცის დიდი სიყვარულისა და ქორწინების საიდუმლო ვარ. ჩვენი პლანეტა პანია საყდარია, სადაც მათ დაინერეს ჯვარი. სულისა და ხორცის პირველ კოცნას სიცოცხლე დაერქვა. სიცოცხლე, რომელიც განსხეულებული საიდუმლოა ხილულისა და არახილულის შეერთებისა...

შენ თვალეში ჩაკარგულა სიმართლე, ცაო. სულ გიყურებ, გიყურებ, თვალეში კი არ მეღვება. არც მიცდებია, თვალეში გდღვებ, გდღვებ. ხან ვარსკვლავს მოიყენებ, ხან მზეს, ხან მთვარეს, ხან ღრუბელსა და ნისლს, ხან ცეცხლს და წყალს ერთად. გადმომაქვს ჩემ ჭურჭელში, უღევი. რას გავხდები შენთან. ჩემი ლურჯი ჩხუტი ხარ, შენ.


ყველაფერი კიდევ ერთხელ გაცხადდა, როცა საათს მრგვალი ციფერბლატი გაუკეთეს. ო, ეს გაუღწეველი წრიული ფორმა-ფორმულა! გონება არ თმობს და ვერც ელევა მას, რაც ერთხელ მაინც ეძლევა. ნუთუ მესაბუთებსაც ეგონათ, რომ ადამიანები გასრულების შემდეგ ისევ იბადებიან და უბრუნდებიან თავდაპირველ სიცოცხლის ბალებს, როგორც ფოთლები ხეებსა და ბალახებს მდელივებს. შეცდენ... ხეები მართლაც არიან იმ ფოთლების წყლიანი სამარეები, მდელივები — ბალახებზე ორსული მუცლები, მაგრამ ჩვენ? ჩვენ ვინ დაგვისხამს ხელახლა და ვინ აგვაპრიანებს? საათებო, წამების გაუთავებელი სტაკატო უნიჭო ადამიანთა რეპეტიციებს მაგონებს, რომლებიც სულ ერთსადაიმავს გაჰყვირიან: ნიკ-ნიკ-ნიკ!.. ნუ აბრუნებთ დროს უკან! რა უნდა დროს წრეში? წინ-წინ-წინ! ახსენით წრის ჯადო დროს, თავისუფლება წრეზე არასდროს ბრუნავს! წინ-წინ-წინ!

ქრისტიანობა ნამდვილი ნიჭია, ან ასე აჯობებს, ვთქვა: ნამდვილი ქრისტიანობა ნიჭია. ან დაგყვება დაბადებით ეს ნიჭი ან არა. ივარჯიშე და ანრთე სული, შედეგები იქნება, მაგრამ ნიჭის წინაშე მაინც ვერაფერს გახდები...

ქართული პოლიფონიური, მრავალხმიანი სიმღერა — ერთდროულად სხვა ადამიანებთან (და ხალხებთან) თანაცხოვრებისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნების უბრწყინვალესი ნიშანი და მაგალითია. სულის ამ უნარმა მოგვიყვანა დღემდე. როცა „მრავალხმიურს“ ვისმენ, ცამდე ავდივარ და მიხარია, რომ ქართველი ვარ!

სოფელი იმხელა იყო, რამხელაც — მე... ჯერ ახლადმოწვეული რძეს ჰგავდა, მერე — სითერთი სახეს სათლს, წვიმაში ცეცხლზე შემომდგარს. ღამე ციცი-ნათელეებიან თვალეებს როდის-როდის დახუჭავდა და მთვარის ღლიან საღამურში ჩაიძინებდა... ის კი თავისთვის საუბრობდა ტყეებში და ფეხაკრეფით დაიარებოდა ღამის იქით, რომ ჩვენ გვექონოდა ნათელი სიზმრები და ოცნებები... რას ვიფიქრებდი, თუ ერთხელაც აღარ მობრუნდებოდა და ნახირსაც, გამთენიის ნისლივით, სულ სხვა მხარეს გაირეკავდა. ციცი-ნათელეები ღამის თვალეების ციმციმი იყო. ერთხელაც დახუჭა ეს თვალეები სოფელმა... ახლა აქ

მარიამ ნიკლაური



ვარ, ქალაქში. არასდროს მინახავს, როგორი იყო ის ადრე, ნახევარი საუკუნის წინ, როცა უბნებს არქმევდნენ ასე: ვარდისუბანი, ფიქრისგორა... მე ჩამოფასებული ქალაქი მერგო. თითქოს წუნს ვერც დაუდებ: ყველა ქუჩის გვირგვინი და ყველა სახლის ღილი და ყველა ლიფტის ელვა ადგილზეა, მუშაობს, კულტურული მემკვიდრეობის სარწმუნო გაცვეთილი სულაც არაა, პირიქით — შეგიძლია ორივე მხრიდან მოირგო ქალაქი, ნისლებიც აქვს ფხრინით, ხაოთი თუ ბუსუსათი მისამარეებელი ჯიბეები — სახეს ბაზრებიც — წესრიგშია, შეიძლება პანია ნახვრეტში ჩავარდეთ და ფორთოხლის რიგიდან თავი ვერც დააღწიო ან სანახევლო ჩაიჭყლიტო, მაგრამ შორისაც ვერ ნახვალ. აქ დაკარგვის შანსი არა გაქვს... შუქნიშნით ამოქობილი ღილი კილო ხშირად იხსნება. ეს კი ანძის ქინძის თავია, ამით ღრუბელს იმაგრებ ხოლმე... და ყველაფერი ნამდვილია... ქარის მარაოს ხშირად იქნევს ჩემი თბილისი... მტერის თაიფურებს იკრავს გულში და სასაცილო მაკიაჟიც მაღალი და ფერად-ფერად კორპუსებისა, საბრალოს ხდის აივნების ჭვირთა ნაოჭზე აყოლილ ძველ მჭვირვალეებს მწუხრის სხივისას...

ვდგავარ მკვიდრი და ძველი სახლი. საძირკველში სიგრილე მაქვს ჩაფენილი. ცხელ ზურგზე შემომისვამს ბზის ბაღი.

არსად მივდივარ. შენი მონატრება და შენზე ფიქრი, მოუსვლელი მგზავრო, ტანზე სუროსავით მაცოცდებდა. რაღას აღარ მეჩურჩულება და ყოველი სიტყვა საცეცივით უნდა მომდოს და ზევით მიიწვეს. იქ, სადაც ფანჯრის, საკვამურის კარისა და სანიაღვრეთა თვალეებიდან ვაპარებ მზერას მზისკენ. ძველი სახლის სიჩუმეს ზოგჯერ ჭრიალი სცდებდა. მოგონებებსაც უბერდებოდა თურმე სახსრები.

ატომში პროტონ-ნეიტრონისა და ელექტრონის დონეზე მაქვს სამყარო „მესწავლილი“ ჩემი „ქიმიკოსობის“ გამო. კვანტურ ქიმიასაც კი ვსწავლობდი. ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ მატერიალური სამყარო ყველგან მაკრო თუ მიკროკოსმოსში ერთ თარგზე მეჩვენება მოჭრილი. ბუნება კარგად დანერული წიგნია — ყველა კითხვაზე არის იქ პასუხი! სულ მგონია, რასაც გარეთ უყურებს ჩვენი თვალი, მილიარდობით ვარსკვლავსა და უსასრულობას, ის ჩვენ თავადვე ვართ შიგნიდან. ჩვენივე სხეულია ეს კოსმოსი — შიგნი მზირალით გარეთ ვხედავთ.

ყველა წიგნს თავის ბედისწერა დაჰყვევა ხოლმე, მე მეგონა ეს აზრი ჩემი მიგნებულ იყო, მაგრამ აი, ფსევდოლონგინეს „ცდა ამალღებულისაკენ“ ნავიკითხე და, 2000 წლის წინათაც ასე ფიქრობდნენ თურმე ძველ რომში... მით უკეთესი, ესე იგი მართებულად მიფიქრია...

მტერს და მეგობარს რაც შემიძლია თანაბრად ვუძღვნა, აი, ესაა, რის დანერასაც უნდა ვეშურო. თუ ოდესმე წიგნად იქცევა, გადამივლია მაშინ მწვერვალი, მომიგია ერთი ომი საკუთარ თავთან... ჩემივე დროის, კუთვნილი ჟამის მონმედ ვმდგარვარ დედამინაზე... ჩემი წილი სამყარო მქონდა ამოსატქმელი... არავინ მთხოვდა, მაგრამ მაინც სახელს ვადებდი ირგვლივ ყველაფერს, ვაკონინებდი, ვაგროვებდი ჩემს სამყაროს, როგორც სინათლის სხივის ნაფხვენებს, მჭვირვალ მანძივებს. უნდა მეპოვნა მარადისობის ათინათები... უნდა მეპოვნა ჩემი მერვე დღე... უნდა მედინა... ვნათლავ საკუთარ არსებობას, არარსებობას, კუთვნილ ჟამს ვნათლავ, ნათვლი რომ ანუხებს და ნერვიულად და უადგილოდ იცის ტირილი. მტერ-მოყვარეც სადღაც აქევა. ჩემი ღმერთიც და უღმერთობაც, რომლებიც ისე, ისე ახლოს დასახლებულან, მეშინია, ერთმანეთი არ შეიყვარონ... იქნებ არც ღირდა გახსენებად, ფიქრად, მოყოლად... ვინ წონის ჰაერს? ვინ თვლის ნაბიჯს? ნვეთებს — ლელვისას? ვინ ზმინანობს კაცზე მეტად, დროზე ნაკლებად? ვინ ფიქრობს, რომ მზე კი არა, თავად ჩადის და ამოდის უთვალავჯერ მარადი შობის მეალილოვე...

ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმიდა მამა ბასილი წერს: „უფლის მიმართ სიყვარული უსწავლელ არსო“. ასეა პოეზიაც. ლექსის მიმართ სიყვარულიც „უსწავლელ არს“ — სიკეთესავით, განუთეორებელია და უფლებამოსილი — სიცოცხლესავით, აუხსნელია — მშვენიერებასავით, გულთამაყრობელია — სიყვარულივით, მოულოდნელი და მისანდობელია — სიბრძნესავით, სიხარულს გიორმაგებს და დარდს გინახევრებს — მეგობრობასავით, მონანიე და მსასოებელია — მონამესავით, მიამიტია — ბავშვივით... ხომ საკმარისია, თუნდაც ამის გამო ვეძებდეთ პოეზიას სამყაროში, ვეძებდეთ საკუთარი ადამიანობის საპოვნელადაც.

სიყვარული ერთი მსახიობის თეატრს ჰგავს, რომელსაც ერთი მაყურებელი ჰყავს. მსახიობის ის მაყურებელი შეუცვლელი და ერთადერთი ჰგონია.

სიყვარულზე საუბარი ადვილია, ვიდრე განცდა სიყვარულისა. სამშობლოსადმი სიყვარულზე საუბარი კი არც ღირს. სულერთია, არავინ დაგიჯერებს და რომ გააბრიყვო ვინმე, მაინც ვერ გააგებინებ, რაზე საუბრობ. რადგან სამშობლო ყველას თავისებურად უყვარს და სამშობლო ყველასათვის სხვადასხვა რამეს ჰქვია. მხოლოდ ჯარისკაცებმა იციან ზუსტად, რა არის სამშობლო.

ამბობენ, სიყვარული მოდის და მიდისო. ამბობენ. მე კი მგონია, სიყვარული მარად შენშია, როგორც სამრეკლოში დაკიდებული ზარი. მხოლოდ მნათე მოდის და მიდის, ან არ მოდის, ან აღარ მოდის. სამრეკლოს კედლებს ხავსი ედება, წვიმები და ქარები ასკდება, იზზარება და აქა-იქ ქვებიც სცვივა, მაგრამ ზარი მაინც ჰკიდია. მერე სამრეკლოში ასასვლელი კიბე იხგრევა, ჯერ თითო-თითო საფეხური ეცლებს, მერე მთლიანად იშლება, ზარი კი მაინც ჰკიდია. ზოგჯერ მეჩხი დაეცემა სამრეკლოს გუმბათს და ჩამოანგრევეს, მაგრამ ზარს თითქოს არავინ ეხება. ეგაა, თოკი მოალპება ზარის ენას და მისი ჩამომრეკიც აღარავინა დიდხანია, მაგრამ ზარი მაინც ჰკიდია. ხან ღამურა გაჰკრავს ფრთას სიზმარივით, ხან მტყრელები გაჰკანრავენ ვარდისფერი ბრჭყალებით, ხანაც ქარი შეარხევს ოდნავ. საკუთარ მდუმარებაში ჩაძირული, ვერცა ხვდება, ცხადია თუ სიზმარში ჩაქსმის საკუთარი გულისცემა, ექო-

დაც რომ ვერა სწვდება გარშემო წამომართულ მთებს. ჰკვირდა გაყურებული და ელის სასწაულს. მხოლოდ ხანდახან მოეჩვენება, რომ სიყვარულის ანგელოსსა ჰყავს გულში ჩაკრული და რომ ანგელოსის გულისცემის ხმა ამშვიდებს... არადა, ვინ იცის, რა ლაჟვარდებს შესკდომია ამ ზარის გულისცემა. რა გაზაფხულები წამოუფრენია ციხე-გალავანთა ჩაბნელებული ტალანებიდან, რა მერცხლები გამოფრენილან ჟვილ-ხვილით იმის სათოფრებიდან და სარკმელებიდან. მერე კი ისე ჩაძირულა მდუმარებაში, როგორც ყვავილები ჩაღიან უკანვე მიწაში ფეხაკრეფით, რიდით, უჭირისუფლოდ. თავად ზარი ვერც მორღვეულ კიბის საფეხურებს და ვერც ჩამოწყვეტილ საბელს ამჩნევს, რადგან არც თვალი აქვს და არც რამე კანონსამართალი, გარდა ერთისა: ჩამოჰკრან, რომ საოცარი ხმით ისევ შეეხმინოს მარადისობას და აგრძნობინოს თავისი არსებობა.

ასეთი სახიერი და გასულიერებული სამშობლო, მგონია, ქართველებს გარდა არავის ჰყავს. ჩვენ დიანხაც გვყავს სამშობლო, ვერც აკადრებ, თქვა — გვაქვსო. დედაა, ძირითადად. მამაც — ხან! ჩემთვის ჩვილია, ყრმაა აკვანში, მარადიული ყრმა, ლამის. ერის ცნობიერების კოლექტიური პროდუქტია ეს. წარმოსახვისა კი არა, უფრო გამოცდილებისა, დროსთან, უამებთან, სამყაროსთან ცოცხალი ისტორიული თანაცხოვრების შედეგად დაბადებული. ჩვენ ამ „ქონების“ „ყოლა“ გარდასახვის წყალობით ვართ, რომ ვართ... ესაა ვალდებულებებისა და მოვალეობების, ურთიერთ დამოკიდებულებების მთელი სისტემა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ისევე გაასულიერა, სდლაც უჩინარ უხილავ სივრცეში სამშობლო და მასთან იდენტიფიცირებული ჩვენი ერი, როგორც ღმერთი და ანგელოზთა დასია სრულიად სარწმუნო, შენსავ გვერდით არსებული, თუმც თვალთ უხილავი კატეგორია. „მამული, ენა, სარწმუნოება“ — დაგვიხარა ერთმა ილიამ, მეორე — ახლა გვიქადაგებს: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“... ხანდახან ასე გადაქანცულებს და გადაღლილებს არსებობით, თავიც კი გვინდა დავიცვათ ხოლმე ჩვენივე სამშობლოსაგან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩათვლების წამის წამია! მხოლოდ წამის წამი! იგი, ანუ სამშობლო, ჩვენი ისევე დედაა, ისევე მამა, ისევე ყრმაა, ისევე სიცოცხლეა, ისევე ენაა, ისევე ღმერთია და ისევე არის და იყოს მრავალკამიერ! თავისუფლებას ხომ არ გიზღუდავს? თუ მართლა ძლიერი და სავეს ხარ, მის ნიაღში შეძლო უნდა თავისუფლების მოპოვება... მას უყვარს თავისი თავისუფალი შვილები, როგორც ხატს — უნჯი და ნაფიცო ყმები. უნდა შეგეძლოს, ერთი რამეც ირწმუნო: ჩვენი სამშობლო ღვთაებრივი სიმღერის — სალოსობის გამოვლინებაა... სალოსია ჩვენი საქრთველო, დიდ მადლშია, რომელსაც დიდი „სიგიჟით“ ჰფარავს. რთულია მის გვერდით ჩვენი ადამიანური სიმშვიდე მოვიხილოთ... ზამთარ-ზაფხულ შიშველი ტერფებით, უჭმელ-უსმელი, გაბრაზებული, მოყვანე, უპოვარი, დაძინებული და არაამქვეყნიური სინათლის მაშუქებული ცრემლიანი თვალებიდან. მოდი, ემთხვიე...

აფქალი — ძველი შუმერული მითოლოგიური ტექსტები სათუთად და პატივით ინახავს 7 ბრძენკაცის (იქნება და ქალიც ერია მათში?), შვიდი აფქალის სახელს, ღვანლსა და გამოსახულებას. ისინი წარწვნიანდელი ეპოქის არსებობა ერთი დასია, რომლებიც კაცთა მოდგმას განასწავლიდნენო. ამბობენ, რომ ისინი აბზუს წყალში იშვნენ. „წმიდა თევზნიო“, ამბობენ, თავიანთი უფლის, ეას მსგავსად გონებასრულნიო. ცისა და მიწის განგებათა სწორად წარმართველნიო. ეს „წყალში შობა, თევზობა“ უძველესი პირველსახეა ქრისტიანული სინათლისა და სიბრძნისა, რომელიც მერე, დიდი ხნის მერე დაუბრუნდება სამყაროს მესიის სახით. ჯერ არც ვარსკვლავი კიაფობს ცაზე, არც მოგვნი მიდიან ბეთლემისკენ. აფქალის სახელი განზოგადდა და ბრძენისა, მოძღვრის შინაარსი შეიძინა. მათ ააშენეს გალავნიანი ქალაქი, ანუ წესრიგი შექმნეს, ქალაქი ხომ წესრიგია უპირველესად. მათ დაუდეს საფუძველი კულტურას — განა კულტურ

რა სამყაროს უმაღლესი წესრიგი არ არის? შვიდი ბრძენიო. ჩვენც გვიყვარს ეს შვიდი ბრძენი, იქნებ ცხრაც იყო? იქნებ ჩვენი „ქართული ქალაქის“ გალავანი ცხრა ბრძენმა აგვიშენა. „ფარნავაზ, შოთა, საბა, დავითი, ტატო, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“ ასე უნდა იყოს. მაშენებლები ისთვის კი სამხარს ერთი ქალი — ნინო ამზადებდა და ყოველდღე დაჰქონდა მათთვის უხილავი პურ-ღვინო. განა ცოტაა „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“? მაგრამ ისინი ნამდვილად იყვნენ შვიდნიც, ცხრანიც და ცამეტნიც, ქართულად მეტყველნი საზღვრის იქით-აქეთ...

ინგილოური ახალი წლის რიტუალი კაფე „ქრავანში“... ეს 2010 წლის 11 იანვარს ჩატარდა. ჩემი ორი საბავშვო წიგნის პრეზენტაცია („ნანინები“ და „ნატვისრის თვალს მზისაო“, „პეგასმა“ რომ გამოსცა) რეჟისორმა ვანო-იოანე ხუციშვილმა მეგობრულად იდო თავს... და დღემდე გოცუბული ვარ იმ პროფესინალიზმით და პროფესიონალის პასუხისმგებლობით, როგორადაც იგი მიუდგა საქმეს... განვასახიერეთ ბარბაროზიდან ახალწამდე ყველა ქართული ხალხური ნეს-ჩვეულება... და ბოლოს როცა ხორბლის მარცვალის პეშვებით ვაპნით ირგვლივ, როცა ვარდისწყალი ვღვარეთ კოკიდან, როცა თავლის ჯვრები ვახატეთ ხელზე მწერალ სტუმრებს, როცა ნითელი ვამოღეთ ვაგორეთ და როცა მათოფრის მორთმული შოთები დავტყვით და ზედ კაკლის ლებნებიც დავანყვეთ, როცა კაფის მენეჯერს თვალეში სიბრაზე უელავდა, რადგან ასეთ მდგომარეობაში თავისი კაფე ვერასდროს წარმოედგინა, დავიწყეთ დიდი, ვეება ფერადი თოკის გორგალის გაშლა და ვახვიეთ ყველას მაჯაზე, და შემოვატარეთ ყველა მაგიდას და კუთხე-კუნჭულს და ინგილოურად შევხვდით ახალ წელს... როცა ბერდებოები თეთრი ძაფის გორგალს შემოავლებენ ღამით დედაბობს და ჭურჭელს და დგამს და ბავშვების მაჯებს და ყველაფერს ერთ დიდ ღვთიურ წრეში მიუჩვენენ თითქოს ადგილს, ყველაფერს ღმერთის კარზე აბინავებენ... და მეგობრებიც ამ წრეში არიან. ჩემი ადამიანები, ჩემი ნინონინები, ჩემი ეკა-კატოები, ჩემი სანათომარიაშვილები, ჩემი ქეთო-ნანიკოები, რომელთა მსგავსნი ბევრნი როდი არიან სამყაროში... მშვიდობა მათ და მათ დედამინას!

მაქვს ისეთი ნანარმოებები, რომელთაც სიდიდის გამო (ლექსის კვალობაზე) ვერც ვერსად ვბეჭდავ, ვერც ვერსად ვეკითხულობ და სულ განვიცდი ამას. მგონია, რომ დანაშაული მიმიძღვის მათ წინაშე. ვთქვით „სიზმარი აღმოსავლეთზე“, ვთქვით „ქვები“, ვთქვით „თეთრი ხბორები“ ან „ელი“, ან „კარნავალი“. ამ უკანასკნელზე ორი სიტყვა მინდა ვთქვა: „პერესტროიკის“ შემდეგ ბევრი ტაბუირებული მასალა გამოქვეყნდა. მათ შორის ცვეტაევას „თეთრგვრიდიული ლექსების ციკლი“ (ცირა ინკირველის თარგმანი). ჩემთვის მტკივნეულია მტრის ხოტბის პოეზიად კითხვა. თუმცა არც ის მაინცდება, რასაც ჩემი მოგვარე, ბერდებო ლელა ნიკლაური პასუხობს ანა კალანდაძეს ერთ ლექსში დასმულ შეკითხვაზე: „რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდებო?“ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა კავკასიაში დღესაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მე ეს მოზრდილი ნანარმოები (რომელსაც პუბლიცისტიკის სურნელიც უდის) შემაქმნევინა იმის სურვილმა, რომ პოეტმა მხარი უნდა დაუჭიროს ზნეობას და არა საკუთარი სახელმწიფოს ჯარსა და იმ დიდებას, რომელიც პატარა სახელმწიფოებისა და ერების სასიკვდილო განაჩენად ქცეულა. აკი ცვეტაევაც მსხვერპლი შეიქნა იმავე რუსეთისა. მიყვარს ეს ავტორი და „კარნავალი“ მას „ვესაუბრები“ ჩვენი სამშობლოების უდიდეს პრობლემებზე... ლიტერატურა გვაძლევს ამის საშუალებას. ასეა, შეგიძლია ჰომეროსსაც ელაპარაკო... მაგრამ, გპასუხობენ კი?!

„საბავშვო“ ისეთივე უძველესი მწერლობაა, როგორიც „სადიდო“. შუმერებთანაც კი გვხვდება პერსონაჟი, ონავარი მამუნი, ლუსილუსი. სავარაუდოდ, ეს მამუნი

ნი, საბავშვო ლიტერატურის უძველესი პერსონაჟია. საბავშვო ლიტერატურასთან ურთიერთობისას ერთ დასკვნამდე მივდი: **საბავშვო ლიტერატურა საერო ლიტერატურის ყველაზე სარწმუნოებრივი დარგია, რადგან იგი დაუქვემდებელი რწმენის მატარებელია, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა.** სადილო ლიტერატურა კი სულ ეჭვებს ებრძვის და ვერც ამარცხებს ასე პირწმინდად, როგორც საბავშვო; ადამიანი საბავშვოს წიაღში სულ გამარჯვებულია და ფსიქოლოგიურადაც, სულიერადაც ფანტასტიურად გრძნობს თავს.

ჩინელი მწერალი, კლასიკოსი, ფუ-სინ-გლინი (ფსევდონიმით ლიაო ჭაი, 1622-1715) ქალბატონებმა ლიუ ყანდარელი-კუანგვენმა და რუსუდან ქუთათელაძემ ქართულად თარგმნეს. ამ თარგმანების გაცნობა ჯერ კიდევ წიგნის გამოცემამდე მომიხდა. მისტიური სამყაროს არსებობა იმდენად რეალურად არის წარმოდგენილი ჩინურ კულტურაში, იმდენად სჯერათ და სწამთ ამ ნახევრად მაქციური და ნახევრად რეალური არსებობა და სამყაროთა თანარსებობა, ალბათ არასდროს გაუჩნდება ეჭვი ჩინელ მკითხველს თავისი მწერლის პერსონაჟების მიმართ. სად ქართული, სად ჩინური, მაგრამ რატომღაც ლიაო ჭაის შემოქმედება გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული სამყაროს გასაღებადაც მეჩვენება. საიდან სადო, იკითხავთ? ძველი ხალხების მითოსიც, აზროვნებაც და სამყაროს ხილულ-უხილავი მხარეებისადმი დამოკიდებულებები რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, რაც უნდა განსხვავებული იყოს მათი ყოფა, კულტურა, რელიგია, ნეს-რწმუნებები, და ტრადიციები. ბევრი რამ შეიცვალა სამყაროში და, უპირველესად, ადამიანი. თანამედროვე ცივილიზაციის ნაყოფს უკვე უჭირს, დაიჯეროს ზღაპრული მისტიკის რეალურობა და რაც მეტად უჭირს, მით მეტად აწარმოებს ამ ტიპის სანახაობებს, შოუს, ფილმებს, წიგნებს. კომპლექსი უჩნდება ადამიანს: შინაგანად არ სჯერა, ამიტომ სულ ამას უყურებს, რომ ეგებ დააჯეროს თავიც და უცხოც, რომ არც ისე მარტივი, ზედაპირული და უსულოა მისი საარსო. არადა, „ვისაც სინამდვილის გარდა არაფრის სჯერა, არაფერი უნდა აღიროს სინამდვილის გარდა“ (ბესიკ ხარანაული). გოდერძი ჩოხელის მთელი სამყარო სწორედ ეს სინამდვილისა და სინამდვილის მეორე, მიღმა მხრის ურთიერთობაა. და ეს სინამდვილე, და მიღმა სინამდვილე, ეს აქეთ-იქითობა, ნაღმა-უკულმა სივრცე, ხან ადამიანი და ხალხია, ხან დრო და ჟამია, ხან სიცოცხლე და სიკვდილია. ერთი სიტყვით, ეს მთლიანი სამყაროს მიმართ იმ ადამიანის დამოკიდებულებაა, რომელსაც გრძელი ფესვი აქვს: აქვს ტრადიციით, რელიგიით, ზნეობრივი კოდექსებით ნასაზრდოები ვალდებულებები და შინაგანი სრული თავისუფლება. ჰყავს წერა-მწერალიცა და აქვს თავისუფალი ნებელობაც.

ლიტერატურა ყოველთვის სიმბოლოების ენა იყო, ფოლკლორი იქნებოდა ეს თუ სიტყვაკაზმული მწერლობა. საბჭოთა პერიოდში მწერლები ცდილობდნენ, ბევრი რამ ეთქვათ შეფარვით, ქვეტექსტებით დაპატიმრების, გადასახლებისა და დახვრეტის რეალური შიშის გამო. დღევანდელ მწერალს, საბედნიეროდ, არ აქვს ასეთი პრობლემა, არ არსებობს ცენზურა, მაგრამ შინაგანად მაინც ვერ გვეთავისუფლდით. ვგულისხმობ იმას, რომ ახლა, ხშირად, ეპატაჟსაც იგივე დანიშნულება აქვს, რასაც უწინ ანიჭებდნენ ნანარმოებში ბელადის ან ხუთწლიეების ხსენებას. ახლა ეს გაცილებით ამაზრუნად მიმაჩნია. დღევანდელი „პარავოზებია“: ჰომოსექსუალიზმის, სადიზმის, ცინიზმის, ანტირელიგიურობის, ანტიეროვნულობის, ცრუ ინოვაციების, დეჰუმანიზაციის პროპაგანდა და ისევე საბრალაო ის შემოქმედი, რომელიც წიგნის ბაზრის კანონების გათვალისწინებით ასეთ მეთოდებს მიმართავს. ის არც განსხვავდება დიდად იმ კომუნისტური რეჟიმის ავტორებისაგან, რომლებსაც ხშირად თავადვე დასცინის. მეჩვენე

ბა, რომ მწერალი, ხელოვანი, ანუ ის ადამიანი, ვინც თავისუფლების ჭურჭელი უნდა იყოს, ვინც უნდა გარკვეულწილად თავისი შინაგანი თავისუფლება აქციოს საზოგადოების თავისუფლების გარანტიად, თავადვე განიცდის შინაგანი თავისუფლების დეფიციტს. თავადვე ექვემდებარება ყოფითი არსებობის კონფორმისტულ კანონებს. იქნებ მეჩვენება, რომ ახალმა საუკუნემ ჩვენ თავისუფლება კი არ მოგვანიჭა, არამედ მოგვცა საშუალება, არჩევანი გაგვეკეთებინა თავისუფლებასა და მონობას შორის. ჩვენ კი, ჯერ კიდევ ვფიქრობთ, რა სჯობს.. ეტყობა, ძალიან ხანგრძლივია ინერციის ეფექტი და შეუძლებელია, უზნეობის ნიადაგზე ზნეობა აღმოცენდეს.

ერთი ძველი შუმერული თქმულების მიხედვით, ღმერთი მდინარეში საბანაოდ ჩასულა და ნაპირზე დაუტოვებია თავისი ღვთაებრიობის ძალა, რომელსაც „მე“ რქმევია. მერე ეს „მე“ არწივს მოუტაცნია და ჩრდილოეთის მთებისკენ გაფრენილა, იქ, სადაც ენგური დიოდაო. მერე დიდი ამბები მომხდარა, რომ „მე“ დაებრუნებინა თავის პატრონს. სხვა ღმერთები ჩარეულან ამ საქმეში. და ამ მითის კითხვისას შეუძლებელია, არ დაფიქრდე, რომ სწორედ ჩვენს ქართულშია პირის ნიშნად შემორჩენილი სიტყვა „მე“ — პიროვნების ყველა ღირსებისა და მეობის განმსაზღვრელი, ღვთაებრივი მადლისა და ძალმოსილების სიმბოლო. „მე!“ ო, თურმე როგორ უნდა ვატაროთ ეს „მე“, როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ მას, როგორ ინახება თურმე ჩვენი არსობის მთელი სიძლიერე ჩვენსავე „მე“-ში. და რამდენი ზღაპარი, ლეგენდა და მითი მოგვითხრობს ამ ღვთაებრივ ძალაზე, რომელიც არასდროს უნდა მოიცილო, რათა მადლი არ გაეუღაყეს. ეს საარსებო ძალაა, მაგრამ გაბუღაყებულია თავკერძობის „მე“-დ როდისღა იქცა, რა მუტაცია განიცადა ასეთი?

გურამ რჩეულიშვილი, ესმა ონიანი, ერლომ ახვლედიანი — თავისი თავის პატრონები... თავისი თავის შვილად მიმღებნი... აბა, ასე რომ არ იყოს, განა გაუფრთხილდებოდნენ ასეთი ერთგულებით თავიანთ ნიჭს, განა შესძლებდნენ მის მორიდებას სხვათა თვალთაგან, განა გიშერს სიმარტოვისას და განდგილობისას, გულზე დაჰკიდებდნენ თავიანთი ნაწერების წმინდა სიწვილეს?

პროფესიონალიზმი! აი, სიტყვა, რომელიც უპირობო პატივისცემას იმსახურებს! მაგრამ ხანდახან რა მწარედ უნდა ზღო ადამიანმა ამ სიტყვის გამო, რა მკაცრი, რა დაუნდობელია ეს სიტყვა: უშეღავათო, სასტიკი, შეურაცხავი ცი. ერთხელ ქუთათისის თეატრის დასს წარმოდგენისათვის ძალიან სჭირდებოდა თურმე ფული. უფიქრით ბევრი, უმსჯელოთა და გადაუწყვეტილთ, ვასო აბაშიძე გაეგზავნათ ფინანსური დახმარების სათხოვნელად ერთ მდიდარ და ახირებულ ბანკირთან. ამ ბანკირს კი, ეტყობა, თავისი უპირატესობის შეგრძნება მოსვენებას უკარგავდა. შანსს არ უშვებდა, რომ სხვაზე ძლიერი გამოჩენილიყო. ალბათ, ამ უპირატესობის დემონსტრირებაც მოსურვდა და აბაშიძისათვის უთქვამს: თუ მართლა გჭირდება ფული, მოდი და აქვე ჩემს წინაშე შეხტი და შეპრონიალდიო!!! ვასო აბაშიძეს კი, იმდენად სურდა სპექტაკლი დაეგა დასს, ერთი წამით არ დაყოვნებულა და ეს დიდად პატივცემული კაცი, რამდენჯერმე შემხტარა და შეპრონიალტებულა ყველას თვალწინ. განა უთაკილია ბანკირის ახირება? განა უფიქრია, ეს რა მაკადრა ამ ფულის გუდამო? ჰოდა, ბანკირსაც დაუფასებია მისი მონადინება და პროფესიული პასუხისმგებლობა. ყველას როდი აღმოაჩნდებოდა ასეთი პროფესიონალიზმი? ვინ იცის, მანანს შეურაცხყოფად მიეღო ეს და დუელშიც კი გამოეწვია ფინანსისტზე? ვგიჟდები საქმისათვის ასე თავდადებულ ადამიანებზე! სწორედ ისინი არიან ნამდვილი პროფესიონალები!

ამბიციური ლექსარომბი

შოთას ვინმე მესხის შემდეგ ვარ მეორე ვინმე მესხი! არა ხარო, ვერა ხარო - იმ დღეს თავზე რას დამესხი! თვითონ მიკვირს, როგორ მოხდა - ვარ მეორე ვინმე მესხი! თუ არ დამიჯერებ, ნაღდად მენყინება, ნაღდად მენყი... ნება თქვენი არის, მაგრამ ვარ მეორე ვინმე მესხი! თუ არ გჯერათ, ჩემს რძალს კითხეთ - ჩემი რძალი - თვითონ მესხი! თქვენ არ გჯერათ! თქვენ კი არა, მე რომ მე ვარ, თვითონ მეც კი მიკვირს, როგორ მოხდა, რომ მე ვარ მეორე ვინმე მესხი! სუყველაფერს გავასწორებ, რაც მაქვს ვალი, რაც მაქვს სესხი! თქვენ რომ ფიქრობთ, ის არა ვარ - ვარ მეორე ვინმე მესხი!

ფისუნია კატაო... (ინფანტილური)

რა ვქნა, ცუდად მაქვს დაცდილი - გადამირბინა კატამ! კატამ შენც გადამირბინა? - პაპავ ძვირფასო, ადამ! იქნება ჩვენს პლანეტასაც გადაურბინოს კატამ! - სხვას რას იფიქრებ, რომ ხედავ ამდენ წყალბადს და ატომს... ვერ მოისყიდა ფერებამ, ვერც ნუგბარმა და ქაღამ - ყოფა უტირა ქვეყანას გადარბენილმა კატამ... ძვირფასი სასახლეებიც და ლარიბული ხატაც გაქრება, თუ რომელიმეც გადაურბინა კატამ... ეს დედამინაც გაქრება და სილამაზეც ცათა...

ვილოცოთ - ამ ცას ვერასდროს გადაურბინოს კატამ... ო, თქვენც, ძვირფასო მარიამ, გადამირბინათ კატამ!

ჯერ კიდევ როდის - დუჩეს, გერინგს, ჰიტლერს თუ სადამს, ჯერ კიდევ როდის - ლენინს გადაურბინა კატამ!

რომ ისხდნენ ლაბორატორიებში - ჩასციცინებდნენ ატომს - ჯერ კიდევ როდის - პლანკს და ტელერს, ოპენჰაიმერს, ჯერ კიდევ როდის - მათაც გადაურბინა კატამ!

მსოფლიო ჩემპიონი ნამში გააკრეს ტატამს - თურმე წინადლით მასაც გადაურბინა კატამ!

შვიდ გადასარევე ვაჟკაცს რომ უღალატა ლელამ, ცხრა სახელოვან კაცს რომ რქები დაადგა ტატამ - ნეტავი, რომელ მათგანს გადაურბინა კატამ!

არ ვიცით, მაინც როდის, და არც ის ვიცით - რატომ! - ჩვენ ერთხელ მაინც - ყველას გადაგვირბინა კატამ!

ვერც ლოცვამ გვიშველა და ვერც ვერაფერმა ჯადომ - ჩვენ ყველას - ერთხელ მაინც - გადაგვირბინა კატამ!

P.S. რატომ ვერ მოაღწია ჩვენამდე იმ დღეს გოდომ! - ალბათ პატივცემულსაც გადაურბინა კატამ...

*** მოტანილი ქარის - არ წაილო ქარმა... უგულოსაც - დარდმა დაუმიძიმა კარმა... სწორედ დღეს და ჩემთვის - არ დარეკა ზარმა... ყველაფერი მაქვს და არაფერი არ მაქვს... მიღალატა შაშმა... მიღალატა ჩარმა... კიდევ ერთი წიხლი. კიდევ ერთი სარმა... აბრეშუმებს, შალებს - ჩაენაცვლა ნარმა... ... ისე უცებ დაკლეს - ვერც იბღავლა ხარმა...

*** სიყვარული? - მაგარია! იმიტომაც მოგერია! სიყვარული! სიძულელი! - ქვეყნად მხოლოდ მაგ ორია! უღამაზესს, უსაყვარლესს - მღერის, მღერის მაგ არიას! ჩვენც ვლიღინებთ მაგ არიას!

რა უნდა ვთქვა! - მაგარია! საყვარელი! სანატრელი! სალოცავო! მახარია! სუყოველთვის ყოვლისშემძლე, სუყოველთვის ახალია! სიყვარული - უხარია! სიყვარულით - მწუხარია! ძლიერია! ლაჩარია! კეთილია! ოხერია! „სიცოცხლეს და სიკვდილს შუა სიყვარული ტიხარია!“ - მახსოვს ჩემი ძველი ლექსი და ბავშვივით მიხარია!

ტარიელ ქანტურია ნიბნიდან: საიტ.უმლო ბარათი — 3



პარიანტი ...მთელი სამყარო ლოგინში მინევს - ვუვლი პლანეტებს... ვარიგებ მინებს... თანავარსკვლავედს იმდენჯერ ვიცვლი - მიკვირს, გული რომ აქამდე მიცემს! დავეძებ ყველგან პლანეტებს - ღვიძლებს! მიკვირს, გული რომ აქამდე მიძლებს! ...მათუსალასი მეც მშურდა ერთ დროს - სულელი ბიჭი - ვნატრობდი მის წლებს... ახლაც ბოდიში ჩემს ძვირფას მკითხველს - ენა რომ მისწრებს... ლექსი რომ მისწრებს...

სიკვდილი (პოეტის ბოლო დღე)

...მერე რაც მოხდა - ეს მოხდა: მოულოდნელად, იჩქითად - ხალხით გაქეძილ დარბაზში სიკვდილმა შემოიჭყიტა... აქ მსახიობი ვის უკვირს, მაგრამ მის გამოჩენაზე ტაში არავის დაუკრავს... იდგა ის მარტოდ, სცენაზე... ჯერ გაგვაშუშა ყველანი, მერე ხალხს თვალი მოავლო, და თითქო ფარდა დახურა ფრაზამ: მე ისევ მოვალ...

ტიპა ჯაჰ-პოტი მოიბო!

და, მოიგო თუ არა - არიქა და არიქა! - არიგა და არიგა! არიგა და არიგა! არიგა და არიგა! არიგა და არიგა!

ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, ეზო-ეზო, კარი-კარ - არიგა და არიგა და არიგა და არიგა!

რა ქნას - ღმერთმა ეს ინება - გააჩინა ტარიგად! სხვის მსახურად, სხვის პატრონად, სხვების მოყვრად - ტარიგად!

ისიც ადგა - არიგა და არიგა და არიგა!

— ხალხნო! ფულებს არიგებსო - ატყდა ერთი პანიკა, და იმანაც - არიგა და ბოლომდე დაარიგა! ... ალბათ ვერც ჩვენ მოვიქცევით, ჩემო კარგო, სხვარიგად!

შიინარი ლექსი

ხელში ჩავიგდე სიჩუმე... ძლივს. ბოლოს. როგორც იქნა... არ გინდა? - იქვე სიჩუმედ - უმშვენიერეს წიგნად... აღარც ყაყანი, ბუზღუნი, ჩურჩული, ლანძღვა, ლიქნა... ჩამოდგა დიდი სიჩუმე. ძლივს. ბოლოს. როგორც იქნა...

რაც მე იმ მღვრიე ცხოვრებამ და იმ ხმაურმა მიქნა!.. გამეფდა დიდი სიჩუმე! ძლივს. ბოლოს. როგორც იქნა... აღარც ის კატა მიკნავის, აღარ მიკნავის, მიკნა... მთლად სიკვდილივით სიჩუმე ჩამოდგა, როგორც იქნა...

დუმს თხა, პოეტის საფლავზე ბალახები რო კიკნა... მარადიული სიჩუმე... ძლივს... ბოლოს... როგორც იქნა...

სანაღს ცრემლი გაუშრა...

ვერ ახერხებს, დაუსვას დარდს ცრემლების წერტილი... უნდა შეიძლებოდეს - დიახ, დიახ, სისხლივით - უნდა შეიძლებოდეს ცრემლებისაც გადასხმა...

ზის ბუხართან სანყალი, ზის და ისმენს სევდის და ათასნაირ ტკივილის გულისმომკვლელ ათას ხმას!

ნეტა შეიძლებოდეს ცრემლებისაც გადასხმა...

უნდა შეიძლებოდეს ცრემლებისაც გადასხმა...

შენ - უბანში ცნობილი მელექსე და მეპირე - რა გინდოდა, ზურგიდან რატომ წამომეპარე! ამდენს რომ იფურთხები, ქალბატონო იმანო, ამას იქნებ ის ჯობდეს - ლექსი გამოიბანო!

დარდი გამოძახებით... - შედეგები ძაგების... სერიები სიზმრების... სერიები წაგების... დეფიციტი ნამდვილი ძმობისა და გაგების... მოთხოვნები დათმობის ანუ ფეხქვეშ გაგების... ძმები - არაკაცები - ეს ნამდვილი ქაქები... ცრუ იმედი ოცნების ოქროს კოშკის აგების...

ხომ არსებობს სიკვდილიც - ისიც - გამოძახებით...

ანტირაქალა

ალკოჰოლური სასმელები, ქილერები და ჰაკერები! ღონის და გონის მძარცველები, მუდამ მიზეზი „ჩაკერების“...

მსხვერპლი? - მრავალი... უთვალავი... მერკურები და ჯაგერები... რატომ ვწერ ამას? - გუშინ, დილით, პროცესს წავანყდი ჩაკერების...

თუმც ბევრი მისვამს ძმებთან ერთად, მაინც ვერავისში აგერევი! თავს ვიკავებდი! ახლაც ვცდილობ! - რა ვქნა, მკლავს შიში „ჩაკერების“...

უსაქმური ლექსარომბი ეძღვნება ჩემს ზარმაც იპოსტასს

ხელმწიფე ხარ? მონა მისი? მწყემსი? მუშა? გლეხი? კინტო? დროს? დროს მოკლავ, როცა გინდა! საცა გინდა! რითაც გინდა! გიერთგულა? გიღალატა? დაგინდო? თუ - არ დაგინდო! დროს ვერაფრით დაიბრუნებ! მოკვლით - მოკლავ, როცა გინდა!

გინდ შექსპირი იყო, გინდ პო,
შოთა, კაფკა, რემბო, დიდრო...
დროს მოკლავ და თანაც ისე,
არ დახარჯავ კაცი დიდ დროს!
მოკალი თუ ვერ მოკალი, ვერაფრით ვერ დადგინდება! —
მკვდარია, ჰო! რა ქნას მეტი —
სისხლი ხომ ვერ დადინდება!

ხუმრობაგარეშე

გვერდითი მოვლენა – ცოლი –
ოსტატი კოცნის და წოლის!
ჩაი და
ყავა და
ნემსი!
ტყუილის, ჭორების ბოლი!

ბრწყინვალედ შესრულებული
მეტი ან ნაკლები როლი!
ამაყი – ჭკვიანი ქმრის და
ჭკვიანი შვილების ყოლი!

გვერდითი მოვლენა – ცოლი! —
გვერდით რომ გიდგას და გინეცს,
და, გული როდესაც გიცემს,
ხან – შენი, ხან – მისი გიცემს...

იმ ოქროს საუკუნით და
ოქროთი სავსე ტომართ
და შოთას წიგნით უკვდავით
უკვდავი გახდა თამარი...

არ გვეყრა შოთას დაკარგვის
და არც სასწაულ თამარის –
უკვდავი ქალის სიკვდილის
და ცხრაგან გაჭრილ სამარის...

და დარჩა ოქროს ქვეყანა
მოლოდინების ამარა,
და ხედავს ყველა – **თამარი**
თანდათან ხდება... თამარი!

**თავის გასამართლებელი ლექსკომპიტი
თამაზ ტყემალაძეს**

ყვითელი ყვავილი მის ცისფერ თმაში –
ეს არის თამაში, უბრალო – თამაში!
სოლდი, ნაგებული სამ საწყალ დამაში –
ეს არის თამაში. თამაში. თამაში!
იმედი, ჩადებული ურწმუნო თომაში –
ესეც თამაშია – ნაგებული თამაში!
სიკვდილ-სიცოცხლეც – ეს არის თამაში! —
სამუდამოდ ნაგებული, ლამაზი თამაში...
ბალნარი, ნალკოტი შენს კარმიდამოში –
ეგეც მომხიბლავი საქმეა – თამაში!
ეკა, გაცვლილი მოლაღატე თამაში –
ცხადია, თამაშია – უფულო თამაში!
ბევრი რამ ვერ შევიდა დღევანდელ თემაში –
კიდევ ასანირი არსებობს თამაში...
ქართველთა საკითხი დამპყრობლის დუმაში –
ესეც თამაშია – ჭუჭყიანი თამაში!
მოგებული დიდგორი! ნაგებული ტამიში!
ეს – კარგი, ის – ცუდი, და მაინც თამაში...
აქეთ – გიორგი და იქით – თოხთამიში! —
თამაში! — სისხლიანი, ცრემლიანი თამაში!
...
და ბოლოს – პოკერი! — ლამაზი თამაში!
ცდებიან, ვინც კაცებს ხელს გვიშლის ამაში!

პოეზია – შეჯიბრი სიმაღლეზე ხტომაში!
რილკე. გალა. ბოდლერი. ვაჟა. დილან ტომასი...
შეჯიბრება ლიმილში. სმაში. კარტში. თომარში...
უმალლესი ჰანგები — ბრამსი. გრიგი. ბომარში...
პოეზია – შეჯიბრი მეცხრე ცისკენ ხტომაში!
პოეზია – შეჯიბრი სულის ამოხდომაში!
პოეზია – შეჯიბრი პოკერში და ყომარში...
პოეტია? – ეს ნიშნავს – ნამყოფია კომაში...
პოეზია – შეჯიბრი სიყვარულით კვდომაში!
სულ სიცოცხლის სურვილში...
სულ სიკვდილის ნდომაში...

ცამეტი – თარსი რიცხვი

შეუძლია – როცა უნდა,
მოგკლას, მოგსპოს მეცამეტემ!
თარსი რიცხვი – მეცამეტე –
ავირჩიე მეც ამიტომ!
რას შერებო, გაგიუფიო –
მახსოვს, როგორ მეცა მიტო!
მე რაც მჭირსო — ყველაფერი
მჭირს იმ ჩათლახ მესამითო!

ამ გზით ვცადე, მე საწყალმა,
ყველაფრისთვის თავის მოკერა –
ესე იგი – თარსი რიცხვის
დახმარებით თავის მოკვლა...
მე უბედურს, ხელი არც ამ
ბნელმა რიცხვმა გამიმართა –
ყველაფერში ხელმოცარულს
არც სიკვდილში გამიმართლა...

იჯდეს ასი და იფიქროს ას წელს –
იმას უფალი ერთ წამში ასწრებს –
ნახავს და მერე ჩვენს ნაცვლად თვითონ
ასწორებს იმ ჩვენს უმნიშვარ აზრებს...
რაც ჩვენ არ ვიცით, ვერ ვბედავთ რასაც –
იმას ასწავლის გამბედავ წაწლებს...
მართლა მაგარი ვინმეა, ძმაო –
მუდამ რომ ყველგან ყველაფერს ასწრებს...
ეს საცოდავი პლანეტა ჩვენი
სანამ საცოდავს დაარტყამს ას წრეს –
ის – მილიარდჯერ, ის – ტრილიონჯერ,
ამ საქმეს ისე უბრალოდ ასწრებს...
ჩვენ სულ ტყუილად ვემდურით იმ წლებს,
ჩვენ სულ ამაოდ მივტირით ამ წლებს...
ეს იმიტომ რომ – ვერაფერს ვასწრებთ! —
არ გვეყოფნის წლები – ვერაფერს ვასწრებთ...
ვემლიქვნელებით – ვაშენებთ ტაძრებს...
ვემუდარებით – ვაშენებთ ტაძრებს...
...ათასში ერთი – ვილაცა, სადღაც,
რაღაცას, ზოგჯერ, ჰგონია, ასწრებს –
სულ ვამუნათებთ გამბედავ კაცებს –
ჩვენზე ჭკვიანებს და ჩვენზე მკაცრებს –
გული რომ ტკივათ, გული რომ წყდებათ! —
რა ქნას იმ კაცმა – ვერაფერს ასწრებს...
ვინ დაგამატებს შენ ამ დროს ას წელს
და, მით უმეტეს – იმ ნანატრ ას წელს –
ის ხომ კარგია – თვითონ რომ ასწრებს –
თვითონ რომ ყველგან ყველაფერს ასწრებს...
აცარიელებს ბოთლს, ქვევრებს, კასრებს,
სულ ეჩვენება, ჰგონია, ასწრებს;
წევს ლამაზ ქალთან — ჰგონია, ასწრებს;
მიდის, წვავს ტაძარს — ჰგონია, ასწრებს...
ცვლის საბრძოლოთი ცარიელ მასრებს...
ჰგონია, ასწრებს... ჰგონია, ასწრებს...

ჰგონია, შეძლებს... ჰგონია, გაძლებს...

ის კი ჯერ მხოლოდ იმედებს გაძლევს...

ასაკი

ამ გადარჩენილ ვნებებს,
უკეთ – ვნებების რესურსს –
რა უნდა შენგან, იცი?
რას გთხოვს, რას ნატრობს, რა სურს...
რა პასუხს გასცემ ნეტავ
მომავლის ცბიერ კითხვებს,
ანდა დღეისდღე ჯობს კი? –
ჩამქრალ, გარდასულ წარსულს...

...სიცოცხლეს ხარკი უნდა –
ლამაზ, ჭირვეულ ასულს...

გაბრკელება

ასგ ზის რუსთაველო, და ათასგ ზის განდო,
შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს – მსურს, სიცოცხლე განდო!
ყველა დინჯზე დინჯო, ყველა მარდზე მარდო,
შენთან რომ ვარ, მხოლოდ მაშინ არ ვარ მარტო...
სუყველაზე ჩვენი, სუყველაზე სანდოვ,
სულ მადლობას გიხდის ეკაც, ანაც, სანდროც...
რა იქნება, ღმერთო, ერთხელ მეც რომ გამართო –
არასოდეს არსად არ დაგტოვებ მარტო...
ხალისს მაძლევ დაღლილს, და მონყენილს მართობ...
არასოდეს არსად არვის ტოვებ მარტო...

უფრო თითქოს – ჩვენო... უფრო თითქოს – მათო...
შენ თუ იტყვი – ცხელა...
შენ თუ იტყვი – მათოვს...

ზის და ცრემლებს იბარებს –
დედისას და შვილისას,
შვილისას და მამისას,
შეყვარებულებისას –
იმისას და ამისას...
ბატონისას,
მონისას,
სახელოვან დამისას;
ადიულტერის წევრისას –
იმ საწყალ მესამისას...
ცრემლებს უღმერთოსას და
ცრემლებს დიდმონამისას...

ზის და ცრემლებს იბარებს...
ხელს თვალეზე იფარებს...
თვითონ ცრემლი არა აქვს...
სხვების ცრემლებს იბარებს...

იმატა ცუდი სიზმრების რიცხვმა
და ერთმანეთის ლანძღვამ და კიცხვამ,
ვერ გავარკვიეთ ვერაფრით დღემდე,
რუსეთის ვართ თუ ამერიკის ვართ!
იმატა ლამის ყველაფრის ფასმა –
გაძვირდა პური. სუნამო. ბასმა...
ტარიელს აღარ აქვს ფრიდონის დარდი,
ნესტანი ფეხებზე კიღია ასმათს...
იმატა ლალატმა... სინანულმა იკლო...
გაუკაცრიელდა სნო, ფარსმა, დიკლო...
სულ ახალს და ახალს მოველით ცუნამს,
სხვადასხვა სახელის წამლეკავ ციკლონს...
კი, გზები გაყავთ! რად გინდა მერე –
ყველა, გასაქცევად, ხომ იმ გზებს ადგას!
ენის და წინაპრის საფლავის ერთგულს –
ექებო – ათასში ვერ ნახავ ათ კაცს!
ჩამოგივალო მოლაღატეები? –
თავი გავიმეტო? – რა ძალა მადგას!
თქვენ უჩემოდაც მშვენივრად იცით –
ცნობთ ყოველ მათგანს,
გრძნობთ ყოველ მათგანს...

გვეფერებიან – მოსასპობად და
გასაუქმებლად ვჭირდებით რადგან... –
გინახავთ ყველას – გულქვა ყასაბი
როგორ ეფერება დაკვლის წინ ბატკანს...

ელეგია

საწყალ ქვეყანას ქვეყნის ამრევი –
ყავდა და ახლაც ყავს უამრავი! —
ბრიყვი. რეგენი. ყრუ. მოლაღატე.
სულის მკვლელი და გულის ამრევი...

ხსოვნაში რწმენა, როგორც ნამკვდრევი...
იქვე – დავითის ტახტის ნამტვრევი...
ხანდაზმულ დედის გარდაცვალება –
შვილისთვის – მძიმე და ნაადრევი...

რა არის, მაინც, სული ოხერი –
მინაზეც, ცაშიც — ყველგან ნათრევი...



აბრამი აღარ, მას უკვე აბრაამი ერქვა.

ქვეყნიერების მამამთავრად, „მრავალთა მამად“ გადანათლა მისი სახელი არსთა-გამრიგე და აბრაამიც შეუდგა მამობას — ახალი მოდგმა უნდა აღმოეცინებინა ახალ მინაზე. ღმერთთან ძალიან ახლოს იყო, ისე ძალიანაც კი, რომ როდესაც კაცთა მოდგმის ცოდვათა გამო მისი დასჯისა და გადაშენების საკითხი დადგა, აი ამგვარი დიალოგის მომსწრენი გახდნენ ძველი აღთქმის მკითხველები: — 50 მართალი რომ ვიპოვო ქვეყანაში, ხომ დაინდობ მას და არ გადაბუგავ? — კი ბატონო, იპოვე და დაინდობ. — 45 რომ აღმოჩნდეს მხოლოდ? — მაგასაც შევიწყალებ. — 40? — თუ ვპოვე სოდომ-ქალაქში 40 მართალი, დაინდობ მთელ მაგ ადგილს შენი გულისთვის. — შენი ნაცარი და მტვერი ვარ, მაგრამ მაინც ვაგებდავ — 30 რომ აღმოჩნდეს? — 30-საც. — 20? — არ დავლუპავ იმ ოცის გულისთვისაც. — ნუ გამიწყობ და, ამ ერთხელაც ვიტყვი — ათი? ათი რომ იყოს? — არც ათის გამო არ გადაბუგავ სოდომ-გომორას.

გაუჭირდა აბრაამს ათი მართლის პოვნა ქვეყანაში და გადაბუგა ღმერთმა სოდომ-გომორა. არ იყო საშუალება. ცოდვა ძირში უნდა მომწვარიყო, როგორც სიმსივნე.

გადამწვარი ქვეყნიდან მხოლოდ აბრაამის ოჯახი გადარჩა. ეს უცნაური, თავისი დრამატიზმის მიუხედავად მაინც უჩვეულოდ მსუბუქი და გამჭვირვალე ეპიზოდი ერთ ფრაგმენტსაც აღიბეჭდავს, როგორც ნუთისოფლის ბრწყვიალა აპოკალიფსის — აბრაამთან ერთად სოდომ-ქალაქი მისმა ძმისწულმა ლოტმაც დატოვა, თავის ოჯახთანად. ყველანი გაფრთხილებულნი იყვნენ, ისე გასცლოდნენ იქაურობას, უკან არავის მოეხედა. ყველამ შეასრულა ეს, მხოლოდ ლოტის ცოლს, გამოსვლისას, ბოლო ნაბიჯზე წასძლია სულმა და მოტრიალდა. და მაშინვე მარილის სვეტად იქცა.

შესაძლოა ახლაც იქ დგას ის სვეტი, დედამიწის რომელიღაც ადგილზე, მცხუნვარე მზისა და ხორმაკი ქარების საუფლოში, დგას მოლაპლაპე უდაბნოსკენ პირმიქცეული და თავისი მარმარილოს ფესვით დედამიწაზე სიკვდილს აკავებს. საბრალო და მოწყენილი, ფორმებჩამოღვენილი და ბუნდოვანი სილუეტით, მაგრამ მაინც დგას როგორც ხსოვნა სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც შესაძლოა ერთ დღეს ქვად იქცეს.

და ეს სვეტი დგას ერთ ქართულ მოთხრობაშიც, რომელზეც ახლა მინდა დაგწერო და რომლის სიმძლავრემ და მასშტაბურობამ ნაკითხვიდან რამდენიმე ხანს მეც გამაქვავა და შემზარა.

ცირა ყურაშვილის მოთხრობაა — „უკან არ მიიხედო“. ეს მოთხრობა პირველად ჟურნალ „ალიტერნატივაში“ დაიბეჭდა. ორი ღია ინფორმაცია ნაკითხვამდევე ეძლევა მკითხველს — პირველი: მოთხრობა ეძღვნება მღვდელმონაზონ ანდრია ყურაშვილის და მეუღლის — გივი ადრეულის ხსოვნას, და ბოლო: მოთხრობა დანერგულია 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 1994 წლის იანვარ-თებერვალში.

ეს ყოველივე უკვე თავდაპირველი ელდის მომგვრელია: თუ აფხაზეთში, კომანის მონასტერში მონამეობრივად აღსრულებული 27 წლის მღვდელმონაზონის, მამა ანდრეას შესახებ არ სმენიათ, რომელსაც გარდაცვალებიდან 3 დღე თბილისის სიხლი სდიოდა და რომლის საფლავიც დღესაც აფხაზეთშია, კომანის მინაში და ამ საფლავზე აღსრულებული კეთილი საქმეების მოწმობით, დანარჩენ საქართველოს იქიდან დარაჯობს; მაშინ 1993-94 წლების შესახებ მაინც იცის ყველამ და ისე მწარედ, რომ ბევრს იქნებ გახსენებაც არ მოუნდეს, ჰოდა ამ მოთხრობის სული სწორედ ამ სამანებს შორისაა მოქცეული და თავდაპირველი შთაბეჭდილებაც ამ ნიშნებით აღიბეჭდება.

თუმცა, ვერც ვერსად შეხვდებით მთელ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში სხვა ტექსტს, ჩვენი უახლესი წარსულის თემებისადმი მიძღვნილს, რომელიც ისე განსხვავებულად სწორედ ამ თემატიკის-გან, ისე დამოუკიდებლად „ქმნიდეს“ ეპოქას — მე-20 საუკუნის მძაფრი 90-იანების, გახლეჩილი და ბეჩავი საქართველოს რეტროსპექტივას, როგორც ცირა ყურაშვილის მოთხრობა „უკან არ მიიხედო“.

ეს ერთდროულად ძველთაძველი ტექსტიცაა და ახალთახალიც. ბიბლიური


პასაჟები, ბიბლიური ალუზიები და არქეტიპული გალერეა მის ძველთაძველობას განაპირობებს და მწერლის შინაგანი ალლოს საოცარი სიმძაფრე და მხატვრული ოსტატობაც ისაა, სწორედ ამავე ბიბლიურმა ფონმა განსაზღვროს ტექსტის ახალთახლობაც. როგორც იტყვიან, ის ჯერ კიდევ „წასაკითხია“, ან, შესაძლოა ასეც ვთქვათ — მუდამ წასაკითხი. უფრო სწორად, საკითხავი (სწორედ ამიტომ არ „ვინანე“, რომ მე ის ახალა წავიკითხე, დაწერიდან და პირველი დაბეჭდიდან ამდენი წლის მერე).

„ლოტის ცოლი ერთ-ერთი პირველი ბედნიერი ქალია ამ სამყაროში“ — იწყებს ფიქრის თხრობას მთავარი პერსონაჟი, რომელიც ამავედროულად ლოტის ცოლიცაა, მისი მწერალ-გამომგონებელიც,

ნინო სადღობელაშვილი

უკან ვინ მიიხედავს?

შთაბეჭდილება ცირა ყურაშვილის მოთხრობაზე — „უკან არ მიიხედო“



ერთი ბედკრული ოჯახის დიასახლისიც, პოეტიც, დედაც, ანგელოზადქცეული ძმის დედამამიშვილიც და მთელი დედამიწაც, დიას დიას, მთელი დედამიწა — გაუზვიადებლად და გადაუმალაშებლად — რომლის მთავარი თვისებაა სიცოცხლე შობოს. საერთოდაც, მოთხრობაში უამრავი პლასტი და ფენაა, პერსონაჟები, პლატონის იდეათა სამყაროს მსგავსად, თვითონვე ირჩევენ თავიანთ აჩრდილებს და თამაშობენ ბიბლიურ სცენებს, ასე ვთქვათ, სამყაროს სცენებს ცხოვრებათა ნიგნიდან; გამოგონილი პასაჟების, უცნაურად მყლერ-სახელებიანი სოფლებისა და ქალაქების, ადამიანების გვერდით (თუ მიღმა) უცებ ჩნდება რეალური სურათი, რეალური საქართველოს (და სამყაროს) პანორამა; თხრობა ისეა დაძაბული, რომ ამ თავებუდამხვევ მონაცვლეობას სიგიჟის, შემოიღობის ფარული ხიბლი მსჭვალავს და კიდევ უფრო ამძაფრებს მწერლის მიერ „სამეზობლად“ აღებულ თემას — დრამატულ ეპოქას, რომელსაც, აღსანიშნავად და გადმოსაცემად სწორედ ამგვარი გიჟური რიტმი თუ გაუძლეველი ენობრივ სივრცეები; ეს ხომ ის ეპოქაა, როცა ანგელოზებიც კი შემოიღობივით დასდევენ უკან ადამიანებს, მათი საქციელით, მათი სიბნელით და სიგიჟეებით შეძრწუნებულნი, და ერთ-ერთი მათგანი, მფარველი ანგელოზი, თავის წილ გაოცებას მოთხრობაშიც წამოიძახებს: „რაა ეს უთავბოლოება, ვინ შემოდის ამ მოთხრობაში და ვინ გადის, ვერ გაიგებს მკითხველი“.

ქალ მწერლებზე ვფიქრობდი. ისინი ყველა ქვეყანაში არიან და, ალბათ ყველაზე მთავარი, რაც აერთიანებთ, პროტესტია იმ სტერეოტიპის მიმართ, რომლის მიხედვითაც მათი შემოქმედება უპირობოდ „ქალურ მწერლობად“ აღიქმება. ეს ყველაზე გამაღიზიანებელია, — ამბობენ ისინი — რას ნიშნავს „ქალური“ და „კაცური“ მწერლობა? სამყარო ისედაც შედგება ამ ორი საწყისისგან და კონფლიქტიც აქედან იზადება. კონფლიქტი, სახელად ცხოვრება. საქმე ალბათ უფრო სხვა რამეშია — დამოკიდებულებაში, განწყობაში, ტონალობაში, რომელშიც მყლავნდება ბუნების ფემინური საწყისი და

თუ ძალიან კარგად და ღრმად დაუკვირდებით, ის საწყისთა საწყისამდეც, საერთოდ — დასაბამამდეც მიდის. შესაბამისად, სამყაროს მთელი მრავალფეროვნების, მისი ტრანსცენდენტური პლასტების სრულყოფილად გადმოცემა შეუძლებელი იქნებოდა ქალი მწერლების გარეშე. რადგან მათ მყიფე გარსი აქვთ, რომელიც გარესამყაროს განსაკუთრებული მგრძობელობით ირეკლავს და, კიდევ — გუმანი, ალლო, რომლითაც ისინი ჯერარდაბადებული შვილების სურნელივით წინასწარ იცნოსავენ მომავალს.

მაგრამ არიან კიდევ უფრო უცნაური-ილბიანი ქალი მწერლები. ისინი, რომლებიც იმპერიის, ან ყოფილი იმპერიის, ან პატრიარქალური, მოკლედ — არაჯანსაღი სოციუმის ნიაღში იშვინენ და წილად

ხვდით, ატარონ მწერლის მძიმე და მტანჯველი ხვედრი. ამ მწერალ ქალებს რალაც ემართებათ — ისინი კაცებივით იწყებენ წერას (ანუ, არაცნობიერად თავადვე დავადასტურე ის საპროტესტო სტერეოტიპი, რომ „ქალური მწერლობა“ მართლაც არსებობს), ისინი იმაზე მეტად იხარჯებიან, ვიდრე ეს შესაძლოა ჩვეულებრივ მწერლურ ცხოვრებას ევალებოდეს, მათ მეტი ტვირთი აქვთ და, ცოტა შორიდან თუ შეხედავ, სრულიად არაპათეტიკურად, შეამჩნევ, ეს — სამშობლოს, იმ სოციუმის, არაჯანსაღი საზოგადოების ტვირთია, რომელიც ამ მწერალმა ქალებმა თავიანთი სუსტი მხრებით ცოდვის ბუნაგად ქცეული ქვეყნის მთავარი მოედნიდან აათრიეს და, როგორც ჭეშმარიტმა ქალებმა, სამყაროს დედებმა, იმ თანდაყოლილი ალლოთი მომავლისკენ ნაიყოლეს.

ისინი ივდითს გვანან, ხანაც დებორას, მთელი ქვეყნიერების მრუმე და პირქუში ხმები სულ მათ ნიაღში იყრის თავს და, როცა მღერიან, ზუსტად ასე — სამშობლოს ხმას გამოსცემენ. და ვინღა იტყვის მერე, რომ სწორედ სამშობლოსგან შეჩვენებული და ტკივილებისგან გულდაისრული ფორუყ ფაროხზადის პოეზია ქალური მწერლობაა მხოლოდ ან, გოლი თარაყის თავისუფლებასმონატრებული გმირები არიან „ქალი მწერლის“ პერსონაჟები — ისინი ყველანი რალაც უფრო დიდზე და სამუდამოზე, უფრო შორეულზე და საშინლად მშობლიურზე მოგვითხრობენ.

ცირა ყურაშვილი მწერალია, რომელიც ქალზე წერს. აქ ორი რამ თანხვედება — ქალი წერს ქალზე. თუმცა ორივე შემთხვევაში, საქმე მოსაწყენ, ბანალურ სინამდვილესთან და სტერეოტიპებთან კი არა, ნამდვილ ლიტერატურასთან გვაქვს. „უკან არ მიიხედო“-ს მთავარი გმირიც, ლოტის ცოლი, მწერალია, რომელსაც, ფრანსუაზა საგანის შორეული ალიტერაციით ნაკარნახევი ერთადერთი რომანი „ნემეზიდას დაბრუნება“ ომის დროს სახლთან ერთად დაენვა. იმ რომანშიც ქალზე წერდა, და საერთოდ, ეს მისი შეგნებული არჩევანია, მთავარი თემა — წეროს ქალზე, რადგან როგორც თვითონ ამბობს — „ქალზე ცოტაა დანერგილი. ქალზე ტყუილებია დაწერილი“. „ლოტის ცოლი“ ამ არჩევანის გამო ისჯება, რადგან საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობს, ქალზე წერა (ანუ „ფრანგული პროზის მსახურება“) ბოზობას ნიშნავს და ამ ავი ბრალდების ხელისმომწერი პირველ რიგში მისივე ქმარია, ლოტი, თვითონაც პოეტი (უფრო სწორად, დეტექტიური რომანების მწერალი) და მართალი კაცი.

გეცნოთ ცხოვრება? ის ზუსტად ისეთია, როგორსაც თქვენ ხშირად, თითქმის ყველგან გადაყრისხართ, „ქართლის დედით“ მთადამშვენებული ქალაქის და ამ ქალაქის პატრონი ქვეყნის გაუკუღმართებულ, პარადოქსებით სავსე საზოგადოებაში. ეს ის ადგილებია, (მოთხრობაში მათ სხვადასხვა ტოპონიმი აქვთ — ბონკო, ცოლარი, ხოლო ყველაზე მკაფიო და მშობლიური ცოდვის სადგურის დასასახელებლად უკვე თავს ვეღარ იკავებს ავტორი და განწირული სიყვარულით „სოდომად“ მოუხმობს), სადაც ქალის, დედის პატივის-

ცემის ტრადიცია, ჰიპოსტასური პლასტებით გამყარებული (ლვთისმშობლის წილხვდომილობა, ქალი წმინდანისგან გაქრისტიანება, თამარ-ქეთევანის ხატება და ა.შ.) ხშირად ისეთ უცნაურ სახეს და ფორმას ლეზულობს, ქალის კი არა, ზოგადად, ძებორციელის გამჩენი გაგინყრება; აქ, ამ ადგილებში, ამ სოფელ-ქალაქ-ქვეყანაში ხომ ეს ღვთისმშობლის ჩამონატეხი ქალები და დედები იმისთვისაც გასწირეს მათმა ღვთისმშობლებმა კაცებმა, ოდესღაც მტერ და ავ, ახლა კი ბიზნისთვის სარფიან ახლოაღმოსავლეთში საპლანეტარულ სახედრებზე დაგეგმვათ და წლების მანძილზე ამ ბედკრულ ქარავანს ერჩინა შინდატოვებული ოჯახები, სახლები, სამეზობლოები...ეს ის ადგილებიცაა, სადაც ქალებს ტრადიციის ძაფისგან მორჩილების ფარდაგებს აქსოვინებენ, ხშირად ზედტალახიანი ფეხი რომ შეინმინდონ, ან კი ხანდახან თვითონაც ჩანენენ და ხელუხლები სიყვარული იტირონ, იყვირონ...

„ლოტის ცოლი“ ბევრი მიზეზი აქვს, ისე დატოვოს ცოდვის ქალაქი, რომ უკან არ მოიხედოს.

პირველი მიზეზი: ოჯახი

ქმარი, ლოტი, ნადირეთა სამგუნება-სამგუნეშური საგვარეულოს წარმომადგენელი, კუდიანობით განთქმულთა ჩამომავალი; სამი პატარა გოგონა, სამი მირანდულინა, დედას შეკერილი ქურთუკები რომ აცვიათ, დედასვე ამოქარგული ფრანგული ასოებით: ფ.მარიტა, ანუ ფირმა მარიტა. ე.ი. სამი პატარა მარიტუნა, ფრანგულ პეპლებზე ლექსების მცოდნე სამი ჩიტუნა; დედამთილი — ნაღია ნადირე — ქვისგამხეთქი შელოცების და პატარა-პატარა ცხოვრებისეული საიდუმლოებების მეთავისებურე. ოჯახში კონფლიქტია — მესამე მირანდულინაზე ორსულ ლოტის ცოლს ქმარი მუცლის მოშლას აძალავს, რადგან აღარ სჭირდება ოჯახს ასული, ოჯახს ძე უნდა, ვაჟი, გვარის და ჩამომავლობის გამგრძელებელი. ცოლი ასულს მაინც აჩენს და ლოტი მას სახლდან აგდებს. ამიტომ, როცა მარჯვენა მხართან მფარველი ანგელოზი ადგას და უკიჟინებს, ისე დატოვოს ცოდვის ქალაქი, რომ უკან არ მოიხედოს, წესით, არც არაფერი უნდა ეზიდეოდეს ლოტის ცოლს, უკანმოსახედი. ოჯახმა ხომ ის თვითონ გასწირა... „ვინ განმამორა მე ქრისტეს სიყვარულს?“ — კითხულობს ერთი პერსონაჟის რომანის პერსონაჟი და არა აქვს პასუხი.

მეორე მიზეზი: ქვეყანა

სახელად ბონკო, ხანაც — ბიბლიური ცოლარი ან სოდომი. მოთუხთუხე გეოგრაფიაა, იუმორის ქვაპირილით შეზავებული ტექსტი-ქვეყანა, სადაც ადამიანები მუდამ ერთი ადგილიდან მეორეში გადარბიან და იმ პირველს წვავენ, ბუგავენ, ცხრილავენ; სადაც, ერთიმეორეზე უხერხული და გაუგონარი ამბები ხდებიან, თითქოს სიყვარულმა სამუდამოდ აიკრა გუდა-ნაბადი და უკანმოუხედავად სადაც გადაიკარგა; სადაც, საქველმოქმედო დაფინანსებაზე მყოფი გაზეთების რედაქციებში ყველაზე მეტი მასალა აბორტებზე და ექსტრასენსებზე იწერება, რადგან მოთხოვნილებათა მკითხველისგან ასეთი. ყველგან საგიჟეთია, მეფე კი მოკლულია და ვინ იცის, იქნებ ოდესმე დრო მოვიდეს და ხალხმა ის მთაწმინდაზეც დაკრძალოს (ეს პასაჟი განსაკუთრებულად სუნთქვისშემეკვრელია, რადგან ავტორსაც და მოთხრობის გმირსაც უნებლიე ნათქვამი აუხდათ — გავიდა დრო და ხალხმა, მეფე“ მთაწმინდაზე მართლა დაკრძალა, დიდი წინაპრების გვერდით). წესით, არაფერი უნდა ექაჩებოდეს ლოტის ცოლს, გაქცევისას უკან რომ მოიხედოს. „ვინ განმამორა მე ქრისტეს სიყვარულს?“ — კითხულობს ერთი პერსონაჟის რომანის პერსონაჟი და არა აქვს პასუხი.

მესამე მიზეზი: სამყარო და ადამიანი

„ჩვენ მარსიანის სახელსონოში ვისხედით. ყველა იქ მყოფს ერთი სიყვარული გვაერთიანებდა, ეს მაიას სიყვარული იყო. მე მაია ჩიქოვანზე, ამაყ ქალზე ლექსი მქონდა. კანტი ბერეკაშვილს პოემა და მოთხრობა მაია ქურასხედიანზე, მარსიანს ლექსები, მოთხრობა თუ დაუნერელი რომანი და გრაფიკული ნამუშევარი — დიდი მაია... მაია ხან ქალი იყო, ხან მინა, ხან ქალაქი, ხან პლანეტა, ხან გაზეთი. მაია ილუზი იყო.“ არაფერმა რომ არ მოგანიჭოს შეგება ამ

მიმცა საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება მწერალი, რომელსაც უარი ჰქონდა ნათქვამი საკუთარი ნაწარმოებების ეკრანიზაციის უფლების გაყიდვაზე ისეთი ცნობილი პროდიუსერების, მსახიობებისა და რეჟისორებისთვის, როგორებიც იყვნენ სემიუელ გოლდვინი, ბრიჯიტ ბარდო, ბილი უაილდერი, სტივენ სპილბერგი... თუმცა, მსგავსი მწერალი ნამდვილად არსებობდა და მას საკუთარი პრინციპებისთვის სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია.

რითი იყო გამოწვეული მისი სიჯიუტე? რატომ შეიძულა ასე ჰოლივუდი? რამ ათქმევინა მის ლიტერატურულ გმირს, ყველაზე უფრო კინოს ვერ ვიტან — ჭირივით მძულს, ნურც მისხენებო? როგორც ჩანს, ჰოლდენ კოლფილდის სიყმაწვილის-დროინდელ ორეულს, ჯერომ სელინჯერს, ნამდვილად ჰქონდა საამისო მიზეზები. სელინჯერსა და ჰოლივუდს შორის დაპირისპირება 1948 წელს დაიწყო, მისი მოთხრობა „კონექტიკუტელი კუტი ძიას“ მიხედვით გადაღებული ფილმის ჩაფლავების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლივუდის აგენტი დოროთი ოლდინგი მწერალს პირდაპირად, კარგი ფილმი გამოვაო, კინოსურათმა წარმატება ვერ მოიპოვა. უფრო მეტიც, სცენარისტებმა ისე გადააკეთეს მისი მოთხრობა, რომ მას უკვე „კონექტიკუტელი კუტი ძიასთან“ აღარაფერი აკავშირებდა, თვით სათაურიც კი. ამან, რაღა თქმა უნდა, მწერლის აღშფოთება გამოიწვია და საბოლოოდ ათქმევინა უარი საკუთარი ნაწარმოებების ეკრანიზაციაზე.

თუმცა, ჰოლივუდთან დაპირისპირებას უნდა ჰქონოდა უფრო ღრმა მიზეზებიც საქმე ის იყო, რომ გასართობი ხასიათის ჰოლივუდურ ფილმებს სელინჯერი ანტიხელოვნებად და მასობრივი ჰიპნოზის ერთერთ საშუალებად მიიჩნევდა. „გათავდა საშობაო წარმოდგენა და ეს ოხერი კინოც დაიწყო“, — ვკითხულობთ რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“. მწერლის ლიტერატურული გმირი, ჰოლდენ კოლფილდი, მოკლედ ყვება ფილმის შინაარსს, რომელიც მთლიანად ტრაგიკომიკურ იაფფასიან ეფექტებზეა აგებული და ტრადიციული ჰევი ენდით სრულდება. ომში წასულ ინგლისელ არისტოკრატს, ალექს, ამწეზია ემართება. „გამოვა ჰოსპიტლიდან, ხელში ჯოხი უჭირავს, საცოდავად მიჩლახუნობს, მთელს ლონდონს მოივლის, მაგრამ ვინაობა არ იცის! სინამდვილეში ჰერცოგია, მაგრამ არ ახსოვს... მერე უცებ ერთ უბრალო შეუხედავ ალალ გოგოს გადაეყრება. ავტობუსში ადის ის გოგო და ქარი ქუდს მოსტაცებს. კაცი წაავლებს ქუდს ხელს და მისცემს. ავლენ ავტობუსში, დასხდებიან და ჩარლზ დიკენსზე გააბამენ საუბარს. ორივეს საყვარელი მწერალი აღმოჩნდება. ის კი არადა, ამ კაცს თურმე მუდამ თან დააქვს „ოლივერ ტვისტი“. ასევე გოგოსაც სწორედ აქედან იწყება სენტიმენტალური აბდაუბდის მთელი სერია. ჩვენ ვეცნობით დიკენსზე შეყვარებული ქალის ძმას, რომელიც „ომში თურმე ექიმი იყო“, მაგრამ შემდეგ დეპრესია დაეწყო და გალოთდა. ქალი გამომცემელია, მაგრამ კარგად ვერ მისდის საქმე, რადგან ლოთი ძმა ფულს უხარჯავს. ბოლოს ამწეზიით დაავადებული ჰერცოგი წიგნს დაწერს, რომელსაც მისი ახალი ნაცნობი გამოუცემს და „ბლომად ფულს მოხვტავენ და ის არის ჯვარი უნდა დაიწერონ, რომ უცებ საიდანაც მერე ქალი გამოჩნდება, მარსია“, რომელიც თურმე ადრე ჰერცოგის შეყვარებული იყო, მანამ ის მეხსიერებას დაჰკარგავდა. მარსიას ალექსი დედამისთან მიყავს, რომელიც, როგორც ირკვევა „ღამურასავით ბრმა ყოფილა“. შეუხედავი ქალი ალექს ძალით აგდებს, რადგან არ უნდა მასა და მარსიას ხელი შეუშალოს. „წავა ეს კაცი, მაგრამ მეხსიერება მაინც არ დაუბრუნდება“. საქმეს ვერც მისი დიდი დანიური ძალ-

თემურ გაბუნია დაპირისპირება ჰოლივუდთან

„ჟურნალისტი: მწერალი კომპრომისზე მიდის, როცა თანხმდება კინოსთვის იმუშაოს? ფოლკნერი: უუჭველად, რადგან კინოხელოვნება თავისი ბუნებით კოლაბორაციონისტულია, ნებისმიერი კოლაბორაციონიზმი კი კომპრომისსაც გულისხმობს. დამთმე, რომ სანაცვლოდ რაღაც მიიღო, სიტყვა კომპრომისიც ხომ სწორედ ამას ნიშნავს“.

ნაწყვეტი 1956 წელს ჟურნალ The Paris Review-ში გამოქვეყნებული ინტერვიუდან.



ლი შველის, რომელიც შეახტება და ელაქუცება, ვერც სათამაშო დათუნია, ბავშვობაში გვერდიდან რომ არ იმორებდა და ვერც ბრმა დედა, სახეს ხელებით რომ უსინჯავს. „მაგრამ არა და არა“, ჰერცოგს „მეხსიერება არ უბრუნდება“. და აი, ფილმის რეჟისორი ორიგინალურ გადაწყვეტილებას პოულობს: „ერთ დღეს ბიჭები კრიკეტს თამაშობენ ეზოში და ბურთი უცებ ამ კაცს არ მოხვდება თავში!“ კრიკეტის ბურთმა ყველაფერი თავის ადგილას დააყენა: ჰერცოგს მეხსიერება დაუბრუნდა; იმ შეუხედავ ქალს კი, წიგნი რომ გამოუცა, მალე ცოლად შეირთავს; მისი „ლოთი ძმა ნერვებს დაიშვინდება და ალექსის დედას თვალბინი ოპერაციას გაუკეთებს“; ქალს მხედველობა უბრუნდება. „მერე ლოთი ძმა და მარსიაც შეიყვარებენ ერთმანეთს. სულ ბოლოს ყველანი დიდ სუფრას უსხედან და სიცილით მუცელზე იფხრინებიან, რადგან ის უშველებელი დანიური ძალით შემოვარდება და ლექვებს შემოათრევს...“ ჰოლდენ კოლფილდს არ ესმის, რა აცინებდა ხალხს, აქამდე ალბათ „ხვადი თუ ეგონათ ძალი“ — ამბობს ირონიულად მწერლის ლიტერატურული გმირი. ჰოლდენს ყველაზე მეტად ის ანცვიფრებს, რომ ამ ბითურულ სურათზე მაყურებელი ტირის, მსგავსი ფილმების სანახავად კი ლამის კილომეტრიან რიგებში დგებიან. მას ის კი არ უშლის ნერვებს, ხალხი კინოში რომ დადის, მოცალეობის ფაშს კაცი შეიძლება გაერთოს კიდევ, ფილმისმწერელი — ანტიხელოვნების გაფეტქიშება და მისი ფანატიკური სიყვარულია, ჰოლდენს მიაჩნია, რომ ამ ფილმებით გულაჩუყებული ხალხის უმეტესობა, ყოველ შემთხვევაში, ათიდან ცხრა მაინც ნაბიჭვარია და გულბინი. რადგან შეუძლებელია, ის, ვინც მსგავსი თვალთმაქცობით იხილება, თავად არ იყოს თვალთმაქცი.

აი, ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა კომერციული ხასიათის გასართობი ფილმებს სელინჯერის ლიტერატურულმა გმირმა... თუმცა, იმავე ნაწარმოებში მკითხველი ეცნობა კიდევ ერთ პერსონაჟს — ჰოლდენის უმცროს დას, ფიბის, რომელსაც არათუ უყვარს კინოხელოვნება, არამედ ზოგიერ-



თი ფილმი ზეპირადაც კი იცის. რაც მთავარია, ფიბის, მიუხედავად იმისა, რომ ასაკით პატარაა, კარგი ფილმის ცუდისგან გამორჩევის უნარიც გააჩნია, რითიც ჰოლდენი ამაყოფს კიდევ: „ეთქვათ, ბითურულ სურათზე ნაიყვანე, მაშინვე მიხვდება, რომ ბითურული სურათია. კარგ სურათზე ნაიყვან — კარგი სურათიაო, გეტყვი... ყველაზე უფრო „ოცდაცხრამეტი საფეხური“ უყვარს, აი, რობერტ ლონათი რომ არის შიგ. ზეპირად იცის მთელი ფილმი, იმიტომ რომ ათჯერ მაინც გვექნება ნანახი...“ როგორც ირკვევა, ჰოლდენსაც უამრავჯერ უნახავს ეს ფილმი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არც ის იყო გულგრილი კინოხელოვნებისადმი, უფრო მეტიც, სელინჯერის ქალიშვილის, მარგარეტის მემუარული წიგნიდან „Dream Catcher“ ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ „ოცდაცხრამეტი საფეხური“ არა მხოლოდ ფიბის, არამედ თვით მწერლის საყვარელი ფილმიც იყო, ისევე, როგორც „გიგი“ და „ქალბატონი ქრება“. კომედიური ჟანრიდან მას თურმე ყველაზე მეტად ლაურელი და ჰარდისა და ფილდის ფილმები მოწონდა.

სელინჯერს კინოხელოვნება რომ უყვარდა, ამას მისი ძველი მეგობარი, „ნიუ იორკერის“ ჟურნალისტი და ლიტერატორი, ლილიენ როსიც ადასტურებს. მისი აზრით, სელინჯერს ახასიათებდა ზოგიერთი მსახიობის გამორჩეული შეყვარება, ზოგიერთის კი პირიქით, მოძულეობა. მაგალითად, ძალიან მოწონდა ენი ბანკროფტი, ოდრი ჰეპბერნი კი არა. ხოლო რაც შეეხება „დიდი ილუზიას“ — ჟან გაბუნის მოწონილებით, ის თურმე უამრავჯერ ჰქონდა ნანახი...

თავისებური შეხედულება ჰქონდა მწერალს თეატრალური ხელოვნებისადმი. აი, რას ურჩევს მის ლიტერატურულ ორეულად მიჩნეული ბაიდი გლასი უმცროს ძმას, ზუის, მსახიობობა რომ გადაუწყვეტია: „ეთქვათ და თეატრი აირჩიე, ილუზიები არც ამ შემთხვევაში უნდა გქონდეს. გინახავს კი ოდესმე მშვენიერი წარმოდგენა ალუბლის ხის? არ მითხრა რომ გინახავს. რადგან მსგავსი რამ არავის უნახავს. შენ შეიძლება ნანახი გქონდეს „შთაგონებით სავსე“ ან

„კომპეტენტი ტურნი“ დადგმები, მაგრამ არა მშვენიერი. არ არსებობს ისეთი წარმოდგენა, სცენაზე მყოფებს ზუსტად რომ გადმოეცათ ამ პიესის ყველა ნიუანსი... ჩეხოვის ტალანტი კი ბოლომდე მიეტანათ მაყურებელამდე“. „ფრენი და ზუიში“ საუბარია ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ იდეალური ეკრანიზაციის შეუძლებლობაზეც, რადგან თვით გენიალური რეჟისორიც კი ვერ მოახერხებდა მთელი რიგი აღწერილობითი ეპიზოდების ეკრანზე გადატანას მათი „არაფოტო-

გენურობის გამო“. ფილმს ვერც დიმიტრი პოპკინის მუსიკა უშველიდა და ვერც რომელიმე ვარსკვლავის, ვთქვათ, ანა მანიანის თამაში ნატამას როლში. სელინჯერის აზრით, ტოლსტოის ტალანტის ეკრანზე სრულფასოვნად წარმოჩენას ვერცერთი რეჟისორი და მსახიობი ვერ შეძლებდა. ამრიგად, მწერალს თვით სცენებისა და დიალოგების სიუხვით ცნობილი „ომი და მშვიდობის“ ეკრანიზაცია მიაჩნდა რთულ და თითქმის შეუძლებელ საქმედ, ამიტომ, რა გასაკვირებელია, ძირითადად შინაგან მონოლოგებზე აგებულ საკუთარ რომანზე ფილმის გადაღების მოსურნეები ცივი უარით რომ გაესტუმრებინა? გავისხენოთ, რა მისწერა მან 1956 წელს ერთ-ერთ პროდიუსერს, მისტერ ჰერბერტს:

„თამაში ჭვავის ყანაში“ რომანის ყველა თვისების მქონე რომანია. მასში არის მზა „სცენებიც“ — ამას სულელიც ვერ უარყოფს — მაგრამ, ჩემი აზრით, წიგნში აქცენტი გაკეთებულია მთხრობელის ხმაზე, მის ამოუწურავ თავისებურებებზე, გამორჩეულ და სრულიად ინდივიდუალურ დამოკიდებულებაზე მკითხველისადმი, რომელიც, ამავე დროს, მისი მსმენელიცაა; მის კომენტარებზე ქუჩის გუბებში ჩაღვრილი ბენზინის ცისარტყელების შესახებ; ფილოსოფიურ დამოკიდებულებაზე ტყავის ჩემოდნებისადმი, ან ვთქვათ, კბილის პასტის ცარიელი ყუთებისადმი... დიახ, აქცენტი ყოველივე ამაზე, ანუ მის შინაგან სამყაროზე კეთდება, ამიტომ არ იქნება ლეგიტიმური, მთხრობელი მისთვის თხრობის მანერისგან რომ დავაცალკევოთ... რა თქმა უნდა, შესაძლებელია მისი ფიქრები უხეში ჩარევის შემდეგ დალოგებად გადაკეთდეს ან ცნობიერების ნაკადთან მიმსგავსებულ გაბმულ მონოლოგად, მაგრამ ეს მართლაც რომ ნაწარმოებზე ძალადობა იქნება და სხვა არაფერი. თუკი რომანში მარტო დარჩენილი ლიტერატურული გმირის ფიქრიცა და საქციელიც ძალიან ბუნებრივი გვაჩვენებს, სცენაზე, თვით საუკეთესო დადგმის შემთხვევაშიც კი, ეს ყველაფერი ფსევდოსიმულაციად იქცევა, თუკი ასეთი სიტყვა საერთოდ არსებობს (თუმცა, გმირი, არც არსებობს)“. სელინჯერს ვერც კი წარმოუდგენია, როგორ შეძლებენ მსახიობები მისი რომანის პერსონაჟების, ფიბისა და ჰოლდენის, განსახიერებას. „გინახავთ ოდესმე ისეთი მსახიობი ბავშვი, ფეხმორთხმით რომ ჩამოჯდება სანოლზე და ეს ბუნებრივად გამოუვა? დარწმუნებული ვარ რომ არა“. მწერალს არც ჰოლდენ კოლფილდის როლის შემსრულებელი მსახიობი ეგულება სადმე და არც ისეთი რეჟისორი, რომელიც რომელიმე ახალგაზრდა, მგრძობიარე და თუნდაც ნიჭიერი მსახიობს აუხსნიდა, თუ როგორ ეთამაშა ეს როლი...

ის, ვისაც ნაკითხული აქვს სელინჯერის 1946 წლით დათარიღებული წერილი ჰემინგუისადმი, უთუოდ მიხვდება, თუ რატომ ვერ წარმოედგინა მწერალს ჰოლდენის როლში ჰოლივუდის რომელიმე მსახიობი... მიზეზი მარტივი იყო. ცივ სანგარში მდგარი უფროსი სერჟანტი სელინჯერი, რომლის ირგვლივაც ყოველდღიურად ილუზიოდნენ თანამებრძოლები, ხოლო ზოგს კი ფეხები ეყინებოდა, თავადვე ოცნებობდა საკუთარი მოთხრობის „მცირე ამბოხი მედი-სონ-ავენიუზე“ ლიტერატურული გმირის შესახებ პიესა დაწერა, მთავარი როლი კი თვითვე ეთამაშა და არა ვინმე სხვას...

ჰეტერეგვალდის სისხლიან ბრძოლებში სასწაულით გადარჩენილმა სელინჯერმა მართლაც დაწერა რომანი (და არა პიესა) ჰოლდენ კოლფილდზე, რომელიც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, მაგრამ, ბუნებრივია, ის სხვას ვერავის ანდობდა ჰოლდენის როლის თამაშს, რადგან ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამის უფლება ჰქონდა, თავად მწერალი ჯერომ დევიდ სელინჯერი იყო!

სამყაროში, ოცნება მაინც მოგანიჭებს. ილუზია მაინც გაგაშლევინებს ცოტახნით ფრთებს, წამოგაყენებს შენივე ხორცის კუბოდან და შეგახედებს უფუმბათო ჭერში — ვარსკვლავებში, რომლებიც ძალიან გვანან შენგან გაუჩენელ შვილებს და ვინ იცის, რა სიყვარული გააბა მათთან...

ლოტის ცოლს ხშირად შველის სახელოსნო — ანუ სამყარო, რომელიც მიეცა მას, რათა თავი იგრძნოს ადამიანად. ამ სამყაროში პოეტები ცხოვრობენ და ისინი ერთმანეთს ლექსებით ელაპარაკებიან. ისინი ამერიკაზე ლაპარაკობენ — როგორც გალნევის, თავდახსნის, გადარჩენის გზაზე, ისინი ღმერთზეც ლაპარაკობენ და წუხან, რომ გადაფხვილ

ფრესკებად იქცნენ... ისინი სამყაროს ზედაშეები არიან — სახელოსნოს პოეტები, და ისინი ანგელოზების აწრდილებიც არიან, ერთ-ერთი მათგანის პერსონაჟი კი ყველას სათქმელს ამბობს: „ვინ განმამორა მე ქრისტესი? სიყვარულს?“

საერთო სიყვარულის ობიექტი — მაია — ილუზიაა. ეს ადამიანები ილუზიამ დალუპა. მთელი ეს ქვეყანაც ილუზიამ დალუპა და იმიტომაც გაჩნდა ახალი გზა — ამერიკა. წესით, არ უნდა უნდოდეს უკან, ილუზიისკენ მიხედვა ლოტის ცოლს, წესით, არც იქ უნდა დარჩენოდეს რაიმე...

ასე იშლება ერთი ქალის ცხოვრების ფონზე მთელი ქვეყნის რეტროსპექტივა, თავისი ლოკალური თუ ზოგადკაცობრი-

ული ნიუანსებით. ეს „მეორედმოსვლისწინა“ მოთხრობაა, სადაც განზოგადებულია მთავარი ტკივილი — უსიყვარულობის ტკივილი. უღმერთობის მიზეზი. გადარეცხილი ფრესკის — ადამიანის — შედეგი.

და ისეთი შემადრწუნებელია ეს ტკივილი, ისეთი მწარეა საკუთარი თავის ტყავიდან გამოსვლა, ეს თავისთავში აყრა და გადაბარგება, როცა უკვე აშკარად გიხმობენ, როცა ათი მართალიც აღარაა დედამიწაზე და, ერთადერთი გზალა დაგრჩენია, რათა გადარჩე, ისეთი მწარე და ძნელია ეს ყოველივე, რომ ათასჯერ გულში უნდა იმეორო: უკან არ მიიხედო! უკან არ მიიხედო! თუ მართლა გიყვართ, უკან

აღარ მიიხედო! თუ მართლა გწამთ, არ მიიხედო! საქართველოს გაფიცებთ, შვილებს გაფიცებთ, ქრისტეს გაფიცებთ — დიახ დიახ, ხომ თავი მოგაქვთ ქრისტიან ერად — უკან არ მიიხედო! გეცალათ თქვენს წარსულს, გათავისუფლდით ყველაფრისგან, რაც უკან დაგრჩათ, უკან იზრუნონ უკნისა, უკან წარსულია, უკან მომავალიცაა, რომელიც, თუ მიიხედავთ — შეგებარება!

ათასჯერ უნდა იმეორო და არასდროს გაიხსენო, რომ ამ ცდუნებას ვერ გაუძლო ლოტის ცოლმა და მიიხედა. ორივემ — ბიბლიაშიც და ამ პატარა მოთხრობაშიც.

და შეცრად იქცა ვეება სიყვარული მარადისობის მარისსვეტად.

დეკემბრის ლექსი

გადავბარე ლიტმუზეუმს ჩემი არქივი, დამრჩა რვეული, ეს სარკმელი, ბალი, ქარ-წვიმა და ის უცნობი, ჰოროზონტს რომ უმზერს მაგივით, ვინც დედამინა აკვანივით გულში არწია.

ქოთნის მცენარის მინა ისე ბედნიერია, რომ ყვავილებად ამზეურებს თავის სინრფელეს და მტვერი, სხივში მოფუსფუსე, მათი მტვერია, გუშინ რომ იყვნენ, დღეს არყოფნა რომ შეიფერეს...

შენ აქვე ხარ და მონდობილი მთელი არსებით, გეძებ, გპოულობ და მე შენი ღამის მეხრე ვარ, თავს მაკითხებენ გარდასული დროის არზები და თქვენი ფერფლი ნამცეც-ნამცეც მხრებზე მეყრება.

მე ისევ ჩემი ცოდვის ცოდნა თუ ამამალლებს, სხვისთვის კი არა, ჩემთვისაც კი ვიქვეც იგავად, თითქოს ჩემში ხარ, თან არა ხარ და ის მანალვლებს, რომ მე არ ვიცი და სადაც ხარ, სულით იქა ვარ.

ვინც ფერებს ართმევს ამ ველ-მინდვრებს, იგი შემოსავს ამ გარეუბანს და ამ დღეებს ჩვენზე დაგემილს, სასწაულია ჩემ წყვილადში შენი შემოსვლა და ეს სიმდიდრე, უკიდურეს სილატაკეში?!

რეჟრანი

დროდადრო რაღაც გვაკლდება და ვაესებთ ერთმანეთს — სუნთქვით, საუბრით, მინიშნებით, გულის სიტბოთი, მე შენგან მხოლოდ სიყვარული მინდა, ღმერთმანი და რომ შემეძლოს მთელ სამყაროს შენ დაგიტოვებდი..

მაგრამ აქ არ ხარ, პარალელურ დროში ბინადრობ და ძველებურად ამა სოფლის არ ხარ სტუმარი, საკმარისია გამოვიხმო და მოვინატრო, რომ შენს უნებურ სიახლოვეს ვხვდები გუმანით.

როგორც ზღაპარში, შენი სული ალბათ ჩიტია, შემომჩრვიე და თავს იქცევ გულში შეფრენით და შენი ფრთების აღმადრენა ისე მჩატეა, როგორც სიმღერა, სულის მოთქმის ბოლო რეფრენი...

...შენ ნელთბილი ხარ...

გახსოვს, საიდან ჩამოვარდი, როცა პირველი სიყვარული მიატოვე?!

ვერ მოიცალე სინანულისთვის, გულისთვალი დაგეხუჭა და ველარ ახელ, ველარც სიტყვა ამოღერლე და გულშიაც ველარ გაივლე...

შენ ნელთბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი ხარ... მოინანიე, ღამე ფიქრში გადაათერე და განთიადი გაჩუქებს ვარსკვლავს...

ველარ ხედავ, ეს ნათელი ციდან ჩამოდის, თუ უდაბნოა და მირაჟით გეთამაშება?!

იგი ჩანს, როგორც ქვიშის საათი, უჩუმრად გვინოვს და ქვიშად გვაქცევს და ჩვენ, როდესაც მზის პეშვიდან ჩამოვიცლებით — ჩვენივე ფერფლი თავზე გვეყრება...

არ დაიჯერებ, ვიდრე ხელით არ შეეხები, ვიდრე თვალით არ დაინახავ, არ დაიჯერებ, როგორ მიმოდის შვიდ ღამპარს შორის, და უთვალავი თვალი შეჰყურებს...

შენ სულში არ ხარ, რადგან სულმა მიგატოვა, სული შენგან ამოიპარა...

იგი, ერთხელაც, დაბრუნდება და შენს ღამპარს ვიდრე გადასწევს, მოიზილება შენი ბედი, როგორც აყალო, იქნებ მოასწრო, იქნებ ბგერამ ამოაღწიოს და სიტყვას გული ამოაყოლო.

ჩამოიქროლებს დასავლეთის ყმანვილი ქარი, სულს მეუბერავს ღრუბლის იალქნებს, აქ ყველა სეზონს თავის ხიბლი აქვს და ძველებურად მაფორიაქებს.

...რაც აქვე ხდება

ადევნებია ყოველდღიურ ზრუნვას და ფუსფუსს წყვეტილ ფრაზებზე ამოღწეულ ფუგის თანხლებას, ის ირინდება, პრელუდიის მიმალულ ფოსფორს ინახავს გულში და არ იცის, რა ენაღვლება,

გივი ალხაზიშვილი



ან რატომ არის ყველაფერი ფერისცვალებით გაჟღენთილი და გამსჭვალული და მზის ნათებით აღსავსე გულებს ეხილებათ გულის თვალები და ჩვენი ჩრდილით დროს ითვლიან მზის საათები.

მე აქვე ვცხოვრობ, სადაც ბგერა კვიპაროსივით ამოიზარდა და ფესვებით გულს მოეჭიდა, მე შემეშინდა, რომ დისკანტმა არ მომიპაროს და მე ჭუპრივით ამოფრინდი ბებერ ეჭვიდან.

რა ნათელია ყველა ბგერა, ნუთი, სალამი და ეს სიტყვები მტევენებია ჩამოკრეფილი, არის ვენახი, არის ლერწი, არის წალამი, სთვლის მილოდინი და ცხოვრება აპოკრიფული.

ვისაც კი თვალი გავაყოლე, ის ჩემში დარჩა, ვისაც კი გული გავატანე, თან წამიყოლა, აბა, რა ვუთხრა ნუთისოფელს, ამ ბებერ ფარჩაკს, აღარც კი ვიცი, ის იყო თუ არა იყო რა...

რადგან უშენოდ ნუგემიც კი არაფერია და ამ სოფელში ამოა ყოფნა უშენოდ, რომ შენი სუნთქვა ცის ბაგიდან დანაბერია და ვცდილობ სიტყვით სამალავი ამოვუშენო.

ჩვენ ხომ იმ ნუთში ვიბადებით, რომელშიც ვკვდებით, განსხვავებული არსებობა დროის ფანდია, მე მჯერა შენი დუმილის და უხილავ კდემის, სხვა დანარჩენი, რა თქმა უნდა, სიაფანდია.

ჩემი დღეები, რაც მეუბოძა, ზოზინით მიდის და ეს ცხოვრება დროებითი მისამართია, არის იმედი, არის რწმენა და არის მითი და გულისცემა... ახლა გული მზის საათია.

ვისთანაც სულის მოთქმა შემეძლო, ისინი თითქმის აღარ არიან...

მიკვირს ჩემი მარტოობის უწონადობა...

ეტიუდი

ამეხილება ზოგჯერ თვალი და სიველურის იელვებს ნუთი: ფინიშამდე ასი მეტრია; და ვეფერები, ვძერწავ როგორც იუველირი ამ სიმარტოვეს, ამ სიმძიმეს, ასიმეტრიულს.

ის აქვე დარჩა, და ბნელ ფონზე ისე თეთრია, დაველოდები და იზრუნებს ხვალე ხვალისთვის, ვამჩნევ შენ ფიქრებს, შენს სურვილებს,

რა სიმკვეთრეა! ამოდი ჩემთან, ამო, ამო, ამოხალისდი...

მწვანე თვალბში მოლისფერი დარდი გადადის, შემოხვალ, კალთას შემოჰყვება სუნი მკათათვის...

კრეტიწკოსს

ის გამუდმებით სიცრუეს ჩხიბავს, ჯღაბნის და ჯღაბნამ აქცია ჯღიბად...

წინასახალწლო აპისტოლე ბანალური დასასრულით

ხელოვნურ ნაძვისხის ფერადი ბრჭყვიალი გამოსცრის სიცივეს, — ღამის ცას ედრება... და დრო არც სულელი, მაგრამ არც ჭკვიანი, სადაც ჩვენ ვარსებობთ, მხოლოდ იქ ეთრევა.

ბავშვებს კი თვალბში მუდამ აქ ჩრებოდათ და მიაცილებდი სიმღერით შინამდე, იქ ღამე გახსნიდა ზღაპრების ჩემოდანს, მოხსნიდა გუდასაც და მერე... ფშვინავდნენ

ისინი, ვინც წაჰყვანენ ბურთებს საჰაეროს, თვითონ რომ ბერავდნენ და ვილაც ფუშავდა, ჰო, ზოგი თამაშის სუნთქვა საჰარაა და ზოგჯერ ვარდნასაც ხომ არა უშავდა?!

დილით კი მინებზე ყინულის მაქმანებს შეეძლოთ თამაშის ფრაგმენტი ენატრათ და ის, რაც ხსოვნაში გულდასმით დაგმანე, შენში გადაიქცა ჩრდილების თეატრად.

გადავსებულია შენი კულისები მუსიკით, საუბრით და უსახურობით და ყველა მათგანში შენ იგულისხმები და ყოველ მათგანსაც შენ ემსახურები

შენი წარმოსახვით, ძველი რეკვიზიტით, სიტყვით, მოთმინებით, ვორდით და სისხლითაც და შენ ხარ მაგნიტი, უნდა მიგიზიდო, რომ მზე ამოვიდეს სინათლის მისხლიდან.

რადგანაც თვითონ დრო დროის მპარველია, ზოგისთვის ყულფივით ნუთის გამნასკველი ყოველი სუნთქვა — პირველია, მუდამ პირველია ან უკანასკნელი..

ვის გაუგია აქილევსი და უიმ-ქუსლოდ, თან უიმ-მითოდ, უიმ-ქვეყნოდ, თანაც უთავოდ, წინ მივიწინაფით გამუდმებით, მხოლოდ უკუსვლით და უკუსვლითაც შეიძლება წინსვლა უდავოდ.

მთლად აქილევსის ქუსლი ხარ და არ მებრალები ან ეგ სიტყვები სიცრუეზე ვინ აგილესა?! არარსებულმა ცეცხლმა, თვალში რომ გიბრიალებს, ვერც ვირტუალურ სივრცეებში იაქილევსა.

მხარად დასალიღინებალი

გამკაცრდა ტონი გვიანი შემოდგომის, ხმაში ქარ-წვიმა და ჟღერავს გაერია, ჩემი საფიცარი ისევ გაეროა და მშობლიური ჰაერია.

სვამენ, ილხენენ, მოიცალეს, ღიმილი იმ სიტყვის ოვალაია, რომელიც არ ამოთქვა ჩინოვნიკმა, რადგან დუმილის მოვალეა.

გამკაცრდა ტონი შემოდგომის, დასრულდა ნარდი ორით ორი. მე ეს საგუშავო შემეყვარდა და ჩემი ევროპელი მონიტორი.

რუსეთი ისევ რუსეთია, ძლიერი უამრავ მონით არი, ანგრევეს, აჩანავებს, ანადგურებს... დღიურში აღნიშნავს მონიტორი.

მშვიდია ძილი დასავლური, კომფორმისტულად მო-ნეტარ-ო, რუსი რომ მიტაცებულს ისაკუთრებს, გულდასმით აკვირდება მონიტორი.

გამკაცრდა ტონი გვიანი შემოდგომის, ხმაში ქარ-წვიმა და ჟღერავს გაერია, ჩემი იმედი გაეროა და პატრიოტული ჰაერია.

დედა ტერეზას ნამბობიდან

ნამცვეც-ნამცვეც შეექცევა მშობერი ბავშვი და პურის ნაჭერს გულში იხუტებს...
— ჭამე, პატარავ, შენ ხომ გმია?
ნუ გერიდება!
— მერე პური რომ გამითავდეს?!

ერთი ნაბიჯი

არა. კარამდე ნუ გამაცილებ და გზაში თვალსაც ნუ გამაყოლებ, ნუ გამომყვები არსად მიმავალს, მთელი სულით და მთელი არსებით, დახუჭე თვალი ღია სარკმელთან და მადლიერი იყავ დუმილის და უსიტყვობის სულით ავსების.

რადგან შენ ჩემში ისეც დარჩები მუსიკით, ფიქრში რომ შეაყოვნე, გიცნობ ფინჯანი ყავის ორთქლივით, შოპენის ვალსის ნაღვლიან ტრელით, ტემბრით... ყველაფერს ნუ მომაყოლებ.

მე ხომ ყოველთვის სადღაც მივდივარ, მაშინაც, როცა თითქოს აქა ვარ, მზითავს მზის სხივები გზისკენ, რომ გამოვტაცო დროს შენი თავი, ველარაფერმა ვერ შემაკავა.

რა სათუთია ჩვენი შეხვედრა რა სათუთია და ეს სათითო არყის თვალს ახელს და მალე ხუჭავს, სიმღერასავით დაუვლის ძარღვებს, იგი ჰიზნია და შენ გადიდებს!

შენ უთქმელადაც იგებ ჩემ ამბავს და უსიტყვობით აღწევ ჩემამდე, და მე არ ვიცი, რა უნდა გითხრა — ერთი ნაბიჯი მრჩება ყოველთვის — აღსასრულიდან გადარჩენამდე.

ისევე შენს სუნთქვას ვაყურადებ, მიხარია, შორიხლოს რომ მეგულები, სიჩუმეს შენი გული რომ უცემს...

რა სიფრიფანა კედლებია...

ნუხს მეზობელი და ფიქრობს ქალზე, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ ასთმურ სპაზმებს შორის არსებულ დროში და აღარ ბრაზობს, რომ იგი ახლაც სიმშვიდეს ურღვევს, გაბმულ ხველებით, არ ელოდება, როდესაც ქალი — სულს მოიბრუნებს ხელოვნურ სუნთქვით და გადაღლილი იპოვის სიზმარს, რომელსაც მუდამ კარგავს და მერე ისევე იბრუნებს.

რა სიფრიფანა კედლებია...

ახსოვს შორეულ ბავშვობაში, მდინარეში დაღრჩობას რომ გადაარჩინეს და წვლებით სული მოითქვა და სამყარო რომ შეისუნთქა და თვალში რომ შუქი ჩაუდგა... ის იქვე იყო.

ნაირი მეორე

ძვირფასო ღიზა, შენ სიმართლე გეხამუშება და გახსენებაც აღარ გინდა, რაც ამოშალე მეხსიერების უფსკრულიდან; ის კი მუშაობს, ზოგჯერ ხმამალა, ხან ჩურჩულით წამოროშავენ.

ვერას გაანყო, ალბათ, პირსაც ვერ მოუკუპრავ, შენ ხომ ერთი ხარ, ისინი კი ათასებია, აბა, შენს ამბავს რას გაუმხელ ცას მოუქუფრავს, ვერც ვინმეს, ვისაც ავსულები არ დასევია.

შენ, უცნობილეს გარდაცვლილთა ჭირისუფალო, დედაზე მეტად, ძმაზე მეტად, ანუ უფრო, უცნობ-ნაცნობის სატკივარს რომ გინდა უფარო და ყმანვილკაცებს ნაკენესებით თვალს რომ უბროლებ.

მახსოვს შენი და, გაანათლებს ღმერთი საბრალოს, მოხუცი დედაც, სხვა დროის და სივრცის შვილები, ხომ შეიძლება ძველმა ბზარმა არ ინაპრალოს და მარტის ქარში შინ დაბრუნდნენ და შეშლილების

კაბის ნიავეთ შექანება ფერად ბუშტების, რომლებიც თურმე გაუბერავს შოთა ჩანტლაძეს, დამწყვედულ სუნთქვას პოეტისას გაუყურებები, არც მზექალაზე აღარ ვფიქრობ, აღარც ჩათვლაზე.

ჩვენი თვალები მარტობის აუზებია, მილიარდების სიმარტოვეს მწყემსავს მსოფლიო, სავსე რაც იყო, ახლა ისევე აღუვსებია და შერჩი დუმილს, შენისთანა ბებერ სუფლიორს?!

ნაირი მისამე

გიორგი ბაქანიძეს (ბრატს)

ის ერთი ხმაა, რომ იღვიძებს და მეორდება, მაგრამ კი არ მეორადდება.

დინებას უსმენ. რალაც მუდამ მიედინება, მოდის და მიდის, მიდი-მოდის გაუჩერებლად, ის მზეს ირეკლავს, ცრემლს სათვალე შეემინება, როცა იხსენებს წარსულს ქცეულს ვაუჩერებად.

ის ერთი ხმაა, რომ იღვიძებს და რუტინულად კვლავ იმეორებს: გა... გა... გაკუპ... გაკუპონება... გაუჩეხიათ ეს ტყეები ამერი-იმერში და აგრძელებენ სახატე ტყის გაკუპობას.

კუბოკრულია ეს პიჯაკი ანტალიური, ყურმოკრულია ყველა სიტყვა, რაც გაიგონე, ვინც კუბო იკრა, საცოდავი იქ ნევეს უფსონოდ და ნაღვლობ ძმობილს, უნებლიეს მისდევ სტრიქონებს: ღმერთო, უშველე, სხვებსაც თვალი არ დაუვსონო...

ეს გოგო, ვერცხლის ქალღმერთი მუდამ ჭრიჭინა და ვერცხლისფერი, გაურყოლებით ეძებს შოკოლადს, მასში რომ იდო და თავი რომ გამოიჩინა და მწარე წლებმა მიანყველა, მიაქოქოლა..

შენც ხომ ფიქრობდი, რომ მოწყვეტი ტაშს და გვირგვინებს და უმწეობამ რომ მოგწყვიტა, საუბედუროდ, შენ უნდა ჩანვე შენს ღამეში, ამოიგმინო და დამღრწვალ ჰაერს ხელი უნდა წაუფათურო,


რომ იქნებ რამეს მიაკვლიო ხელი ხელებით და მოიხელო, რადგან ისე ვეღარ ირწმუნე, ხელუხლებელი ქიმერები და სახელები, დგახარ და ეძებ, ვერ პოულობ და მხრებს იწურავ.

ბედზე მოგისწრო მოლიდინე გიორგობისთვემ, აგასაუბრა, აგაზრახა, დაგცა ქადაგად, საით მიდიხარ, ამოხაპულ დღეებს რომ მისდევ, დროში, რომელსაც ბოქლომით ადევს ყადაღა.

შეგეკუმშება ვერნატქვამი სიტყვა გულივით და გულთან ერთად სიტყვანასულს ეძებ პაუზას და სულისმოთქმის მოლოდინი გამოუღვევი შენში ქცეულა ოკეანის წვეთად — აუზად...

გაუაზროვდა ყოველივე უსიყვარულო და ამ ქაოსის დაღლილობა ითხოვს სიმწყობრეს, ატონალურად ძვირფასო და მუსიკალურო, აღარც კი გახსოვს, სად და როდის გადაიცხოვრე...

ამ უცნობ ხალხში ერთი ხმაა, თავს რომ არ ეძებს, ის ჩვენთვის ისმის, რომ დავიხსნათ თავი იმ წრიდან, ყულფად რომ გვექცა და ვერ ვამჩნევთ, ისე ვიღრწობით, და ვერც კი ვიგებთ, ჩვენი სიტყვა რომ დაინრიტა, ჩვენ დავბრუნდებით შენ ძახილზე, მეუთვალავე უხმო ტირილით ამოვალწვეთ წრეთა სიმწრიდან.



ლიტერატორი

მანანა კვაჭანტირაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, ლიტერატურული წერილისა თუ ესსეის ავტორია. გამოცემული აქვს წიგნები: „მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“, „ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები“, „წერილები ლიტერატურაზე“, „გამეორება“. არაერთი წელია, ქალბატონი მანანა პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა და მდიდარ მეცნიერულ გამოცდილებას სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს უზიარებს.

მის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს, ვფიქრობ, განსაკუთრებით გამოარჩევს ის, რომ ქართულ მწერლობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილავს და მკითხველს საშუალებას აძლევს, ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებას ყველაზე მაღალი მხატვრული აზროვნების „გადმოსახედიდან“ შეხედოს, აშავდროულად ძალიან ახლოს მივიდეს მასთან, ხელით შეეხოს, სიღრმეებს ჩანვდეს და იპოვოს, თუ რამ საპოვნელია.

— ლიტერატურის მკვლევარი, კრიტიკოსი, უპირველესად, ერთგული მკითხველია. ამის შესახებ ერთგან წერთ კიდევ. თქვენშიც „მკითხველმა“ ხომ არ განსაზღვრა პროფესიული არჩევანი?

— ლიტერატურის ერთგული მკითხველი ბავშვობიდან ვიყავი. ოჯახში ყველა კითხულობდა და საერთოდ, ჩემს თაობაში ლიტერატურით დაუინტერესებლობა ცუდ ტონად მიიჩნეოდა. პირველი გამოცდა „ერთგულეობაზე“ რვა წლისამ ჩავაბარე, როცა დიდი ძალისხმევით ბოლომდე წავიკითხე მოზრდილი საბავშვო წიგნი „იან-ლუქსეს პატარა ამბები“. მახსოვს, ბალტიისპირეთის პატარა სოფლის ისტორიები იყო, მოსაწყენი და უცნობი გარემო, დუნე სიუჟეტები. შეიძლება, მაშინ მეჩვენებოდა ასე. დღემდე ვერ ამიხსნია, რა ძალამ მიმაყვანინა ბოლომდე. სამაგიეროდ, ამის მერე ჩემთვის აღარ არსებობდა საბავშვო და არასაბავშვო, ძნელი და ადვილი წიგნი, ყველაფერს ვკითხულობდი. ლიტერატურისადმი პროფესიული ინტერესი გაცილებით გვიან გაჩნდა, უნივერსიტეტში სწავლის ბოლო ეტაპზე, გრიგოლ კიკნაძესთან ჩემი სადიპლომო ნაშრომის წერის პროცესში. მანამდე ჯერ ფილოსოფოსობა მინდოდა, მერე ხელოვნებათმცოდნეობა, ერთ ხანს კონსერვატორიაშიც ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას.

— ერთ-ერთი იმ კრიტიკოსთაგანი ხართ, ვინც ძალზე აქტიურად მუშაობს — ინტენსიურად აქვეყნებს წერილებს, წერს წიგნებს. რა არის, ზოგადად, ლიტერატურაში თქვენი ინტერესის საგანი? რას ეძიებთ მხატვრულ ტექსტებში?

— ეს ინტერესი სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. დღეს ჩემი ინტერესის საგანი მხატვრული ტექსტის ენაა, ენა — სემიოტიკური გაგებით, როგორც განსაკუთრებული სახის საკომუნიკაციო არხი. მანტირებს, რას ემყარება მკითხველისა და ტექსტის ურთიერთობა, რას შეიცავს მხატვრული ენა ისეთს, რაც ასე განასხვავებს მას სასაუბროსაგან, მაშინ, როცა სხვაობა, ერთი შეხედვით, არც ჩანს; როგორ იქსოვება ის რთული და უცნაური ფაქტურა, რასაც მხატვრული ტექსტი ქვია, როგორ ახერხებს ენა „შესაძლო ცხოვრების“ ილუზიის შექმნას, რომელსაც ჩვენ ისევე ვეხებით, განვიცდით და განვსჯით, როგორც რეალობას; როგორ ახერხებს ამ დამატებითი, ერთდროულად პარალელური და გადაშვენილი განზომილების ასე დამაჯერებლად შემოტანას? ერთი სიტყვით, მაინტერესებს საკითხთა დაახლოებით ის წრე, რომელსაც ერთ ჩემს წერილში შევვხე. წერილს „რატომ ვკითხულობთ ლიტერატურას“ ქვია.

— როგორია მხატვრული ტექსტის შეფასების თქვენური კრიტერიუმი? როგორ ან რის მიხედვით აფასებთ ნაწარმოებს და ამოიცნობთ ხოლმე მასში დიდ ლიტერატურას ან არაფერს მთქმელ, ცრუ მრავალსიტყვაობას?

— შეფასების კრიტერიუმი სათქმელის სიღრმე და მის გამოსახატავად ენის ფლობის უნარი. ან-ან გამორიცხულია. დიდი ლიტერატურა ვერც ერთის გარეშე ვერ შეიქმნება. ენამ უნდა შეძლოს ამ სიღრმეში შეღწევა, მაგრამ ეს კარი მხოლოდ სიყვარულით იხსნება. შევეცდები, ავხსნა: ენა, სიტყვა, თუნდაც ფორმა მინიმალური ენერგიების მიქცევა-მოქცევაა, სასიცოცხლო ენერგიებისა. ამ ენერგიით შექმნა სიტყვამ სამყარო, ამიტომ „იყო ღმერთი და ღმერთთან“, ამიტომ ახლდა სიცოცხლის შერხევას „პირველთაგანვე“.

ის „ამოფრქვევები“, რომლებსაც დიდ ლიტერატურაში ვხვდებით, მხოლოდ დიდი ენერგიების გაცვლით ხერხდება. ამ ენერგიების გამოწვევა კი მხოლოდ სიცოცხლის შემქმნელ რაღაც ძალას შეუძლია, რომელსაც სხვას ვერაფერს უნდადებ, თუ არა სიყვარულს. ამ დროს ენა განსაკუთრე-

ბული ინტენსივობის „რეჟიმში მუშაობს“, რომელიც მხოლოდ ინფორმაციას კი არ გადასცემს, არამედ სიცოცხლის ჩვენთვის შეუცნობელ ფორმებს, ენერგიის აუცილებელ ულუფებსაც ქვაზივიზუალური და ემოციური ხატების სახით გვანდის და ამით ჩვენთვის მიუღებელი რეალობის დაძლევაში გვეხმარება. დააკვირდით, რამდენი ხნის ისტორია აქვს ლიტერატურას, რა სამსახურს უწევდა კაცობრიობას და ჩემი სიტყვების დაჯერება არ გაგიჭირდ-



ბის „შეხვედრის“ შესახებ.

— ეს შეხვედრები, საერთოდ, ძალზე უცნაურია და დროსა და სივრცეში რაღაც-ნაირ ორმხრივ მზაობას გულისხმობს. ხანდახან იმის თქმაც კი ძნელდება, შენ ირჩევ თუ ტექსტი გირჩევს. ტექსტი ხომ ცოცხალი ქსოვილია და შეიძლება პარტნიორობაც გაგინიოს საქმიანობაში. მოკლედ, ერთ მხარეს მკითხველია, მეორე მხარეს — ტექსტი. თუ დავუშვებთ, რომ ტექსტიც ირჩევს თავის მკითხველს — რაღაცნაირი ფარული მიზიდულობით, გარემოებათა დამთხვევით — მაშინ ამ შეხვედრების მეტაფიზიკური ალიარებაც მოგვინევს, ვთქვით, ასე: რაღაც, ჩვენთვის უცნობი აუცილებლობის ძალით სწორედ ამ სამყაროში ვხვდებით და არა სხვაში, სწორედ მასზე ვინყვით ფიქრს, მას განვიცდით, მასზე ვწუხვართ და ვიტანჯებით. ეს გამოცდილება მერე ჩვენი რეალური ცხოვრების სხვა გამოცდილებას ედება საფუძვლად და ასე შემდეგ. ცხოვრება ხომ ტრანსლიტერაციია; კავშირები რეალურსა და წარმოსახვითს, მოვლენასა და მის აღქმას შორის კი — ძალზე პირობითი და მყიფე. მაშ, რით არ არის ეს შეხვედრები საიდუმლო, რომელსაც ჩვენი უხილავი შინაგანი სამყაროს შეძერა და გარდაქმნა,

„მწერლობა უნდა დააბრუნოს რეალობა“

მისი აფეთქება შეუძლია? შეიძლება ზედმეტად რომანტიკულად აღვრდეს, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ასეა. რაც შეეხება ჩემს მოკრძალებულ გამოცდილებას, ვერცერთ წერილზე ვერ ვიტყვი, შემთხვევით დაინერა-მეთქი. თითქმის ყოველ მათგანზე მუშაობას ახლდა რაღაც აუცილებლობა, ძირითადად, ჩემთვისაც ბუნდოვანი. „თამაში და ეთიკური პასუხისმგებლობა“ — ასე განმარტავს თანამედროვე სამყაროში მწერლის საქმიანობის არსს როლან ბარტი. ჩემი კორექტივი ასეთი იქნება: სერიოზულობა და ეთიკური პასუხისმგებლობა, რადგან რეალობაში — შესაძლოა, თვით თამაშის ბუნებიდან გამომდინარე — ჩვეულებრივ, იგი ეთიკურ უპასუხისმგებლობას უწყვილდება ხოლმე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა სულერთია, რითი შეივება ჩვენი სასიცოცხლო დრო, რა ტიპის „შესაძლო ცხოვრებით“ — საქმით თუ თამაშით? იქნებ, თანაფარდობა გადაგვემონებინა?

— ხშირად წერთ მწერლობის დანიშნულებაზე, მწერლის მისიაზე...

— მგონი, დღევანდელი რეალობის კონტექსტში ამ კითხვას პასუხი არა აქვს. მწერალთან და მწერლობასთან დაკავშირებით დანიშნულების, მისიის, ფუნქციის, სტრუქტურის, მოვალეობის მნიშვნელობები კრიზისშია. თუ თანამედროვე მწერლობა საკუთარ დანიშნულებას რაიმეში ხედავს, თუკი რაიმე მისიას აკისრებს საკუთარ თავს, სწორედ ამ ცნებებს უნდა დაუბრუნოს მნიშვნელობა, ღირებულება — იერარქიაში მათი კუთვნილი ადგილი უნდა აღადგინოს. შემდეგი პრობლემა მნიშვნელობათა ტოტალური კრიზისია, ეს კი, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა ენის, ღირებულების კრიზისი. ამ კრიზისის პირობებში სერიოზულ და დიდ ლიტერატურას არსებობა არ უნერია, ყოველ შემთხვევაში, ტრადიციული გაგებით, რომელიც საზოგადოების, ერის, ადამიანის სამსახურს გულისხმობს. სამსახური, როგორც პოლ ვალერი ამბობს, ამქვეყნად ყველაზე ძნელი საქმიანობაა და დღევანდელი მწერლობა ამ საქმიანობაზე უარს ამბობს. ის, რასაც ის აკეთებს, უფრო თამაშს ჰგავს, გართობას, სიამოვნებას, ანუ, ისევე და ისევე საკუთარი თავის სამსახურს. ასეა ბევრგან, მაგრამ ეს გამართლებად ვერ გამოდგება, როცა პატარა ქვეყ-

ნის შვილი ხარ და იცი, რამხელა და რა საპატიო მისიას ასრულებდა შენი მწერლობა. თუ ეს არ შეგიძლია, მწერლობას თავი უნდა დაანებო, პატიოსნად გადგე განზე და სხვა საქმიანობას მოჰკიდო ხელი, ისეთს, შენი კეთილდღეობას რომ უზრუნველყოფს.

კიდევ ერთი პრობლემა რეალობის კრიზისია. რეალობა ქვაზივრეალობა და ფიქცია ჩაენაცვლა. მწერლობამ უნდა დააბრუნოს რეალობა, ფაქტი, მართალი და ღრმა ხედვა. ცოტათი მეტად უნდა გაისარჯოს, რადგან ჩვენი გამქრალი რეალობა, შესაძლოა, სადმე სხვაგან, სიღრმისეულ პლასტში აღმოჩნდეს, ფსევდორეალობის სქელი ჭაფის ქვეშ. ან სულაც წარსულში და არა აწმყომი, მოკლედ, სხვაგან და არა იქ, სადაც ვეკლით. მას ძებნა სჭირდება, ძებნას კი — ალლო, ინტუიცია, მახვილი თვალი და მხურვალე გული. იმ არაბი ამბობს: სიყვარული — ესაა ნიჭი, დინახო უხილავი და შეიგრძნო არარსებული. მწერლობამ უნდა დააბრუნოს ნამდვილი ადამიანი — შესაძლოა, დანგრეული, გამოფიტული, შეძრწუნებული და უძლური — მაგრამ ნამდვილი. დააბრუნოს სიყვარულით, თანაგრძობით, რწმენით, აუცილებლად რწმენით, მისი მომავლის, სიკეთის, ძალისა და სულიერების რწმენით. ეს პათეტიკა არაა, ეს აუცილებლობაა. მწერალი დღეს ადამიანისა და სამყაროს ჩურჩულსა და ჩქამს უნდა ისმენდეს, სამყაროს ტექსტის თითოეულ შერხევასა და ჩქამს უნდა იჭერდეს. სამწუხაროდ, ასე არაა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები საკუთარ პრობლემებზე არ ლაპარაკობენ. თავისას კი არ წერენ, სხვისას წერენ. იქნებ, მეჩვენება, მაგრამ ქართული მწერლობა არასოდეს ყოფილა ისეთი არაგულწრფელი, როგორც დღესაა. შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში ეს ნიჭის ნაკლებობითაც აიხსნას, მაგრამ ძირითად მიზეზად მაინც პოზიციის არქონას დავასახელებდი.

— ესეში „ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება თქვენს თვალში ჩემი სამყარო“, რომელშიც ოთარ ჭილაძის შემოქმედებაზე საუბრობთ, მსოფლიოს საუკეთესო მწერლობის კონტექსტში განიხილავთ და მკითხველს უჩვენებთ, რომ „სამყაროს ტექსტის ამოკითხვის“ ხელოვნებით, „წინასწარმეტყველებული გუმანიტი“, „ადამიანების ძველისძველი ჭეშმარიტების“ გაანმეოვებით, ამ ავტორებს, მათ თხზულებებს ბევრი აქვთ საერთო. ისინი ერთმანეთს გვანან?

— დიახ, ცხადია, ყველა დიდი ლიტერატურა რაღაცით გავს ერთმანეთს. ისეთ სიღრმეებს ხედავენ, ისეთ „ბნელ გვირაბებში გადინან“, რომ ხანდახან ათვლის წერტილი გეკარგება: აღარ იცი, ზემოთ მოხვდი თუ ქვემოთ. ერთი სიტყვით, სხვა განზომილებიდან გველაპარაკებიან. ისინი რაღაც მთლიანობას ხედავენ, რომელიც ჩვენთვის დაშლილია და ვაბრუნებენ ამ მთლიანობაში, რომ დროებით მაინც, ამ მთელის ნაწილად ვიგრძნოთ თავი. აჩქარებული დროის, დანანეკრებული სივრცის, ღირებულებების დეფიციტის პირობებში ისინი მონესრიგებულ კონომოს ქმნიან და ხელახლა შემოაქვთ სინამდვილის ღირებულებითი აღქმა. ისინი ადამიანის დაუდუმებელ ხმას ისმენენ, ხან ძახილს რომ გავს და ხან ჩურჩულს, მაგრამ ყოველთვის — გულისხმას, და ისმენენ გულისყურით. გოლსურისი ამბობდა, იმ-იტომ ვკითხულობთ, რომ სიცოცხლის სხვა რიტმები შევიგრძნოთ. სხვა რიტმები კი, მოგვსვენებათ, ჩვენთვის უხილავ, ან სულაც დაკარგულ რეალობაზე, ამ რეალობის სხვა შესაძლებლობებზე მიგვანიშნებენ. ეს დაკარგული და „სხვა“ შესაძლებლობები წარსულის ლიტერატურულ ტექსტებშიცაა მიმოფანტული და სრულიად ბუნებრივია, თანამედროვე მწერლობა ამით რომ ინტერესდება. მაგრამ ძველ ტექსტის გაცოცხლება, „მეორადი რეალობის“ რეანიმაცია ახლის შექმნაზე არანაკლებ ძნელი საქმეა. აუცილებელია საგანგებო ოსტატობა და პროფესიონალიზმი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად ფაქიზ სმენასა და ხედვასთან ერთად. აქ ხომ „ხმადაკარგული“, თითქმის უსიცოცხლო ენობრივი სხეულის ფეთქვა უნდა იგრძნო! სხვათა შორის, ამ კუთხით წარმატებით მუშაობენ სამხრეთამერიკელი ავტორები. ძალიან მომწონს აკა მორჩილადის „რიმიეკები“.

— ერთგან, მაღალმხატვრული ლიტერატურული ნიმუშების განხილვისას

მედეა მეტრეველი

„ნიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“ კულტურის სამინისტროში 2009 წლიდან ფუნქციონირებს. მისი მიზანი ქართული ლიტერატურის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარება, ქართველი ავტორების ნიგნების სხვადასხვა ენაზე თარგმნა და მათი უცხოელი მკითხველისთვის გაცნობაა. ეს უკანასკნელი ქართული მწერლობისთვის განსაკუთრებით აქტუალურია, მით უფრო, თუ გვინდა, ჩვენი ლიტერატურა ქვეყნის ფარგლებს გაცდეს და სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეშიც შევიდეს. სწორედ ამიტომ რჩება თარგმანი კულტურის სამინისტროსა და ამ პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტად. 2010 წლიდან დღემდე 10-მდე უცხოენოვანი ნიგნი გამოიცა, მათ შორის ლაშა ბულაძის, გავა ნახუცრიშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის, თამთა მელაშვილისა და სხვათა ნაწარმოები. გაკეთდა რამდენიმე ანთოლოგიაც, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის უცხოელ მკითხველს თანამედროვე ქართული ლიტერატურაზე.

ნიგნების გამოცემის გარდა სამინისტრო ხელს უწყობს ავტორების უშუალო ურთიერთობას მკითხველთან და სხვადასხვა ქვეყანაში აგ ზავის, სადაც მათი შემოქმედებითი საღამოები და რიდინგები იმართება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც „ნიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება, საერთაშორისო ნიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებში მონაწილეობაა, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის პრესტიჟულია. თითქმის 15 წელია ქართული ლიტერატურა ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე გადის. შარშან პირველად ჩვენი სტენდი ლაიფციგშიც გამოჩნდა. სწორედ ამ თემით დავიწყებთ საუბარს პროგრამის ხელმძღვანელ მედეა მეტრეველთან.

— ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც ჩვენი პროგრამა ახორციელებს, ქართველი გამომცემლებისა და ავტორების წარდგენაა ნიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. საქართველო თითქმის 15 წელია მონაწილეობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე. 5 წლის წინ ამ საქმეში კულტურის სამინისტრო ჩაერთო და პროცესს უფრო ორგანიზებული სახე მისცა. ბოლო წლებში ქართული სტენდის მიმართ ინტერესმა იმატა. გაიზარდა პრეზენტაციების რაოდენობა, უფრო მრავალფეროვანი გახდა ფორმატი — დისკუსიები, შეხვედრები, მიღებები, ზოგადად ქართული ლიტერატურის წარდგენა და ამ ფაქტს ბაზრობის ხელმძღვანელობაც აღნიშნავს. ვიცე-პრეზიდენტის, ტობიას ვოსისა და პრეზიდენტ იურგენ ბოსის თქმით, შარშან, როდესაც ხორვატიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა რჩევა სთხოვეს თავიანთი ლიტერატურის უკეთ წარმოჩენისთვის, მათ საქართველოს სტენდთან მისვლა და ჩვენი გამოცდილების გაზიარება ურჩიეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი შეფასებაა.

ზოგადად, სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე ლიტერატურის პოპულარიზაცია რთულია. თარგმანი დიდ თანხებს მოითხოვს და მარტო მწერალი აქ უძლურია. მხოლოდ თარგმნაც არ არის საკმარისი, ნიგნი ისე უნდა შეფუთო, რომ უცხოელი მკითხველი დაინტერესდეს.

— ანუ გარკვეული პიარ-პოლიტიკა საჭიროა.

— აუცილებელიც არის. ამიტომაც ვცდილობთ, კიდევ უფრო გაავფართოვოთ ჩვენი მოქმედების არეალი. თუ აქამდე საქართველო მხოლოდ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაში მონაწილეობდა, შარშან პირველად ლაიფციგშიც ვიყავით. ეს არის ხუთსაუკუნოვანი ნიგნის ბაზრობა, ძალზე ძველი და ანგარიშგასაწვეი. ამბობენ, რომ მასშტაბით ჩამოუყვარდება ფრანკფურტს, მაგრამ თავად ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია. არანაკლებ მასშტაბურია და შესაძლოა, უფრო საინტერესოც, რადგან მეტადაა ორიენტირებული ლიტერატურა-სა და მწერლობაზე. ფრანკფურტში უფრო ბიზნეს-გარემო სუფევს, ლაიფციგში კი ლიტერატურის ზეიმი და ეს ქალაქშიც იგრძნობა. 5 დღის განმავლობაში ადამიანები ნიგნით ცხოვრობენ. ყველა სალონი და კაფე წინასწარაა დაჯავშნული, მიმდინარეობს რიდინგები, დისკუსიები, პრეზენტაციები. ფრანკფურტისგან განსხვავებით, სადაც უფრო საერთაშორისო ატმოსფერო იგრძნობა, ლაიფციგში გერმანული და გერმანულენოვანი გამომცემლობების სიუხვეა, თუმცა ხარისხით ამ უკანასკნელს არ ჩამოუყვარდება. საქართველო პირველსავე ჯერზე სოლიდურად წარდგა აუდიტორიის წინაშე. 2012 წლის მარტში სამი პრეზენტაცია გავმართეთ: მკითხველს შევთავაზეთ თამთა მელაშვილის „გათვლა“, რომელიც შარშან შევიცარიამი გამოიცა; მოეწყო ზურაბ ლეჟავასა და ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობების კითხვა. ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმიტაც, რომ ბევრი შეხვედრა შედგა გერმანულ ჟურნალისტებთან, კრიტიკოსებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამაში აქტიურად იყო ჩართული იმდროინდელი

ლი მინისტრიც. საბოლოო ჯამში ჩვენს პირველ სტუმრობას ლაიფციგში ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა.




„**ჩვენ მიმართ ინტერესმა იმატა**“

— რა ინტერესებდათ გერმანულ ლიტერატორებსა და ჟურნალისტებს?

— მეტი ინფორმაცია ქვეყანისა და ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. კლასიკა ნაკლებად იზიდავთ, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, თუმცა ამ მიმართულებაზე ორიენტირებული გამომცემლობებიც არსებობს. მათ შორისაა ცნობილი გერმანული გამომცემლობა „მანესი“, რომელთან ერთადაც ქართველი კლასიკოსი მწერლების სერიის გამოცემას ვგეგმავთ. რასაკვირველია, მთელ ქართულ ლიტერატურას ვერ მოვიცავთ, მაგრამ რაღაც ნაწილი აუცილებლად შევა.

— ვინ არჩევს ავტორებს ამ ტიპის გამომცემების ან თუნდაც ანთოლოგიებისთვის?

— მხოლოდ და მხოლოდ გამომცემლობა, რომელსაც უკვე აქვს ინფორმაცია კონკრეტული ავტორებისა და ჩვენს მწერლობაში მიმდინარე პროცესების შესახებ. წყარო სხვადასხვაა: ზოგჯერ ნიგნის ბაზრობები, ზოგჯერ — პირადი ურთიერთობა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი ერთია: გამომცემლობას შემოაქვს განაცხადი, სადაც სამინისტროს კონკრეტული მწერლის თარგმანის დაფინანსებას სთხოვს.



ოვს. ჩვენს ინტერესში შედის, რაც შეიძლება მეტმა ქვეყანამ გამოსცეს ქართველი ავტორი, მაგრამ გამომცემლობის დონეც მაინც ვაქცევთ ყურადღებას — ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება აუცილებელია. იმაშიც დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს მიერ დაფინანსებული თარგმანი კარგი ხარისხის იქნება და ქართული ლიტერატურის სახელს წაადგება. ამის გარანტია კი ავტორიტეტული გამომცემლობაა.

— თქვენ კი ამბობთ, რომ უცხოეთში ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესმა იმატა, მაგრამ არსებობს აზრი, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გამომცემული ნიგნები ზღვაში წვეთია და ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება.

— ვერ დავგეთანხმებით. ასე, ალბათ, ის მწერლები ფიქრობენ, რომელთაც თავიანთი ნაწარმების სხვა ენაზე ხილვა სურთ, თუმცა დღევანდელი კონკურენციის პირობებში ეს არცთუ მარტივია. ყველაზე დიდი გერმანული გამომცემლობის, „ზურკამპის“ დირექტორმა მითხრა, რომ მათთან დღეში 50-დან 100-მდე ხელნაწერი შედის. წარმოგიდგინათ, რა ადამიანური რესურსი სჭირდება ამ ყველაფრის გაანალიზებას? როგორც წესი, მხოლოდ პირველ

ელ აბზაცებს კითხულობენ და ასე არჩევენ ტექსტებს. მსგავს ვითარებაში რთულია თავის დამკვიდრება. ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია იოლი საქმე არ არის, მით უფრო, რომ ჩვენს წინააღმდეგ უამრავმა ფაქტორმა იმუშავა — ენობრივი პირობებმა, იმან, რომ წლების განმავლობაში ჩაკეტილ სივრცეში ვიმყოფებოდით და ასე შემდეგ. საბჭოთა პერიოდში ასეთი დახშული გარემო არ ყოფილა — იმავე რუსულ და აღმოსავლეთ ევროპის ენებზე, გერმანულადაც ბევრი რამ ითარგმნებოდა. ამ სიტუციის ნგრევის შემდეგ 10-15-წლიანი ვაკუუმი შეიქმნა, რამაც ინტეგრაციის პროცესს თავისი კვალი დაატყო. საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის გამოცოცხლება 2000 წლიდან დაიწყო და სულ რაღაც 10-12 წელიწადს გრძელდება, რაც მნიშვნელოვან შედეგებამდე ვერ მიგვიყვანდა, ამიტომ სამინისტრომ თვალის გაუსწორა პრობლემას და უფრო მასშტაბური გადამწყვეტილება მიიღო — გაგვეკეთებინა განაცხადი 2015 წლის ფრანკფურტის ბაზრობის სტუმრის სტატუსის მოსაპოვებლად.

— რით არის მნიშვნელოვანი და რას აძლევს ქვეყანას ეს სტატუსი?

— უპირველესად, იზრდება ქვეყნისა და მისი ლიტერატურის ცნობადობა და ინტერესიც მატულობს. სხვათა შორის, მოხდა უპრეცედენტო რამ — პირველად ფრანკფურტის ბაზრობის ისტორიაში, გადამწყვეტილების მიღება ძალიან გაინელა. როგორც წესი, მომდევნო სამი წლის სტუმარი ქვეყნები ბაზრობის დასრულებიდან ორ კვირაში ცხადდება, ამჯერად კი პირველი ორი დასახელდა, მესამეს ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

— ვინ არიან ჩვენი კონკურენტები?

— ინდონეზია და მექსიკა.

— სტუმარი ქვეყანა რაიმე კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?

— მთავარია, ქვეყანაც და მისი ლიტერატურაც ევროპისთვის ცნობილი და საინტერესო იყოს, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი არ მოქმედებს. პირად საუბრებში ბაზრობის ხელმძღვანელები საქართველოს მიმართ ინტერესს ადასტურებენ, თუმცა ჯერჯერობით პასუხი არ გვაქვს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტუმრის სტატუსი მხოლოდ ბაზრობის დღეებით არ შემოიფარგლება. ეს არის ერთწლიანი პროგრამა, რომელიც მთელს გერმანიაში ამ ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციას ითვალისწინებს. განსაკუთრებული აქცენტი მწერლობაზე კეთდება. თავად ფრანკფურტი ზრუნავს იმაზე, რომ ადგილობრივი ბაზარი სტუმარი ქვეყნის ლიტერატურით გაჯერდეს. ეს პროცესებს ადგილიდან დაძრავს და გარკვეული კონტაქტების დამყარებას შეუწყობს ხელს. მერე უკვე ნიგნი თავად გაიკვლევს გზას. ეს არ ნიშნავს სამინისტროს ფუნქციის შესუსტებას, განსაკუთრებით მთარგმნელობითი პროგრამის თვალსაზრისით. ცალკე თემაა ნიგნების ხარისხი, ანუ რამდენად ღირებულ ტექსტებს შექმნიან ქართველი მწერლები, თუმცა ევროპულ ლიტერატურას რომ ვაკვირდები, ჩვენი ავტორები იქაურებს არაფრით ჩამოუყვარდებიან.

— აქვე მათი ძირითადი „ნაკლი“ — ჩაკეტილობა და ლოკალური პრობლემებით შემოფარგვლაც უნდა ვახსენოთ, რაც კრიტიკოსების აზრით, ქართულ ლიტერატურას უცხოელთათვის ნაკლებად საინტერესოს ხდის.

— მიზეზი მხოლოდ ეს არაა. ფაშუქმა დაწერა რომანები, სადაც სუფთა თურქული გარემოა ასახული და პრობლემებიც ლოკალურია, მაგრამ მისი ტექსტები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აინტერესებთ. მთავარი მაინც ავტორის პროფესიონალიზმია. საზრუნავი ეს არის.

— ჩვენ ძირითადად პროზაზე ვლაპარაკობთ, პოეზიის მიმართებით რაც ხდება, გაცილებით მტკივნეული თემაა საქართველოშიც და, რამდენადაც ცნობილია, დასავლეთშიც.

— ეს მართლაც მტკივნეული საკითხია. იშვიათად თუ ინტერესდება გამომცემლობა პოეტური სერიებით, თუმცა წელს ლონდონის ნიგნის ბაზრობაზე გავიცანი ინგლისელი ქალბატონი, რომელიც პატარა ქვეყნების პოეზიის კრებულებს უშვებს და საქართველოშიც დაინტერესდა. მოითხოვა ავტორთა ჩამონათვალი, რომელთაც კრებულში შეიყვანდა, თუმცა ჩვენი მხრიდან ასეთი სიის განსაზღვრა არასწორი იქნებოდა. ამიტომ თბილისის ნიგნის ბაზრობაზე მოვიწვიეთ, სადაც თავად ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს ქართველ პოეტთა შემოქმედებას. ამ შემთხვევაში ჩვენ შუამავლის როლს ვასრულებთ და პოეტებს უცხოელ გამომცემლებთან ვაკავშირებთ. ლექსების გამოცემა ძალიან რთულია და განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდება. მთხრობების განაზრევა კი პრობლემებს ვაწყვედებით. ძირითადი მოთხოვნა რომანზეა. ბოლო რამდენიმე წელია გაიზარდა ინტერესი დრამატურგიის მიმართ. არსებობს სპეციალური გამომცემლობები, რომლებიც მხოლოდ პიესებს ბეჭდავენ და რამდენიმე ქართველი ავტორისაც დაინტერესდნენ.

— გერმანიის გარდა სხვა ქვეყნების ბაზრობებზე მონაწილეობა თუ იგეგმება?

— ბიუჯეტის გათვალისწინებით, ჯერჯერობით, ამ ორ ბაზრობაზე ვართ ორიენტირებული. გვინდა, მაქსიმალურად კარგად წარვდგეთ, თუმცა გეგმაში გვაქვს გეოგრაფიის გაფართოვება და ლონდონისა და სტამბულის ნიგნის ბაზრობებზე გასვლა. უახლოეს მომავალში ლაიფციგის ბაზრობა გველის, სადაც ქართული ჯგუფი 13 მარტს გაემგზავრება. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი იმდენად, რამდენადაც ქართულ დელეგაციას მინისტრის რანგში პირველად წარუძღვება გურამ ოდიშარია. ჩვენთან ერთად მოდის რამდენიმე ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი, თამთა მელაშვილი, ეკა ტოგონიძე, დათო ტურაშვილი და ზაზა ბურჭულაძე. გერმანიაში შემოგვიერთდება იქმცხოვრები ქართველი მწერალი ნინო ხარატიშვილი. იგეგმება რამდენიმე პრეზენტაცია, მათ შორის „ქართველ მწერალ ქალთა ანთოლოგიის“, შეხვედრა ზაზა ბურჭულაძესთან და ნაწყვეტების კითხვა მისი რომანიდან „გასაბერი ანგელოზი“, რომელიც გერმანულად ითარგმნა. ნაჩვენები იქნება დათო ტურაშვილის რომანის მიხედვით ზაზა რუსაძის მიერ გადაღებული ფილმი „ბანდიტები“, ჩვენების შემდეგ შედგება დისკუსია. გაიმართება ბონდო



ირმა
არჩუაშვილი

გაცნობა

ჩემს ექიმ მეგობარს,
ქეთევან ტომარაძეს

ნომბრის თვესმეტში ჩაფრინდა ნია მოსკოვში. ვნუკოვოს აეროპორტში დედამისის ბიძაშვილი, ბავშვობაში ერთადერთხელ ნანახი სვეტა უნდა დახვედროდა. ბოლოს გუშინ საღამოს ელაპარაკა თბილისიდან ტელეფონზე. უკვე ათი წუთია დგას, ის კი ჯერ არ ჩანს. შეიძლება თვითონ ვერ ხედავდა მიღების ხალხში. დედამ როგორც აღუწერა, დაბალი, პუტკუნა ქალი უნდა ყოფილიყო, აპრეხილი ცხვირითა და დაბაზიანი ნიკაპით; მაგრამ აქ ზუსტად ასეთი გარეგნობის იმდენი რუსის ქალი ნახა უკვე ნიამ, რომ სვეტას პოვნის იმედი საერთოდ დაკარგა.

გაჩერებაზე იდგა, სადაც დათქვეს. ძალიან სციოდა. ქართული თბილი შემოდგომის მერე, მინუს ჩვიდმეტი გრადუსი ტემპერატურა მისთვის ნამეტანი აღმოჩნდა. თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ სიცხეზე უფრო ახლა ნერვიულობისგან უკანკანებდა კბილები. საკმაოდ მძიმე, გრძელი შავი სამგზავრო ჩანთა, რომელსაც ცოცხალი თავით ძირს არ დებდა, ორივე ხელით ფეხებზე მიკროდა ხან ერთ მუხლს ურტყამდა ნერვიულად, ხან — მეორეს; ზოგჯერ კი ორივეს ერთად — თანაბარი მოძრაობით. — თუ მოსულია, თვითონ უფრო უნდა მიცნოს, — საკუთარ თავს ელაპარაკებოდა ნია, თან აქეთ-იქით იყურებოდა. — ტელეფონზე გასაგებად აუუსხენი, როგორი გარეგნობისაა ვიყავი და რაც მეცმებოდა; თუმცა აქ შავგვრემანი გოგოც იმდენია და ჩემი მანტოს ფერი ქურთუკიც იმდენს აცვია, ალბათ იმასაც გაუჭირდება ჩემი პოვნა. თუ არადა, ბოლოს და ბოლოს, რა მანერვიულებს, მისამართი ვიცი, ჩავჯდები ტაქსიში და წავალ. სწორედ ამ დროს, როცა ნიამ გადანყვეტილება მიიღო და ცოტა გულზე მოემვა, მის წინ სწრაფი ნაბიჯებით მიმავალმა დაბალმა ქალმა ჯერ ფეხი შეანელა, მერე უკან დაიხია და ნიას ყურისთვის მოუჩვენებელი, გასხეპილი, სწრაფი მოსკოველი რუსული თქითხა:

— შენ ნია ხომ არ ხარ?

— დიას მე ვარ. თქვენ კი ალბათ სვეტა ხართ, — სახე გაუნათდა ნიას. — გამარჯობა სვეტა, როგორ ხარ, დიდი მადლობა, რომ დამხვდით, — ნიამაც არანაკლები სისწრაფით, ერთი ამოსუნთქვით მიაკარა სვეტას თავისი საშინელაქცენტიანი რუსული. თან ჩანთას ნელ-ნელა ხელი გაუშვა, რომ ახალგაზრდა დედის გადაკოცნაში ხელი არ შეეშალა. ის კიდევ, თითქოს არც მოკითხვა გაუგია, არც საკოცნელად მისკენ განუღი თავი დაუნახავსო, მოულოდნელად დასწვდა ნიას ჩანთის ცალ ყურს და ისევ სხაპასხუპით, საქმიანი იერით უთხრა:

— აბა, წავედით, წავედით ავტობუსისკენ. დაგვაგვიანდა. შორი გზა გვაქვს გასავლელი.

— კარგით, ახლავე, — უთხრა დაბნეულმა და, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილმა ნიამ, მორჩილად მოკიდა ჩანთის მეორე ყურს ხელი და სვეტას მიჰყვა. ავტობუსში ასვლამდე ხმა არც ერთს აღარ ამოუღია. არც მერე, ჩანთა რომ დადეს და სკამებზე დასხდნენ. ცივმა დახვედრამ ისე გაუფუჭა ნიას გუნება, რომ გადანყვიტა,

სიტყვაც აღარ ეთქვა ამ უცნაური ქალისთვის, სანამ თვითონ არ გამოეღობა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ბოლოს, მართლაც, ისევ სვეტა მიუბრუნდა და შემრიგებლური ტონით უთხრა: — ჩვენ მეტრო „იუგო-ზაპადნაისთან“ ჩამოვდივართ. იქიდან კიდევ ორი გადაჯდომდა, მერე კი ავტობუსით ვივლით სახლამდე.

— როგორც იტყვი, — თავაზიანად, მაგრამ დაჭერილად უპასუხა ნიამ და სახე ავტობუსის ფანჯრისკენ მიაბრუნა. იცოდა, კიდევ რაღაცის თქმა იყო საჭირო საუბრის გასაბმელად, მაგრამ თავს ვერ ერეოდა, წელანდელ გულგრილობას ვერ პატიობდა სვეტას. არადა, გრძობდა, როგორ ელოდა ქალი, როგორ წრიალებდა და შფოთავდა სკამზე. ავტობუსი უკვე მთელი სისწრაფით მიქროდა აეროპორტიდან ქალაქისკენ მიმავალ მოფიფქულ ტრასაზე. სვეტაზე რომ არ ეფიქრა, აქამდე მხოლოდ ტელევიზორში ნანახი, არყის ქათქათა ხეების თვლა დაიწყო ნიამ. ჯერ ცალობით ითვლიდა, მერე ორ-ორობით დათვლაზე გადავიდა, შიგადაშიგ სამ-სამსაც გამოურევდა ხოლმე. თავიდან კარგად გადააყოლა გული თამაშს, მაგრამ ცოტა ხანში უაზრო ციფრებმა თავი აურიბა, დაუმძიმა, რასაც ავტობუსის მომთენთავი სითბოც დაემატა და ნიას მოულოდნელად ძილმა წაართვა თავი.

— შინ აქ ორი კვირით ჩამოხვედი არა? — ძილბურანში ჩაესმა სვეტას მკაცრი, სუსხიანი ხმა. ნიამ თავს ძალა დაატანა, დამძიმებული ქუთუთოები ასწია და შეძლებისდაგვარად კეთილგანწყობილმა, თითქმის წყნარადავლილმა, დალოილი ხმით უპასუხა სვეტას: — დიას, შეიძლება უფრო ადრეც წავიდე, — ექიმს ვნახავ და როგორც საჭირო იქნება, როგორც ის მეტყვის, ისე მოვიქცევი. ვნუხვარ, ოჯახური მყუდროება რომ უნდა დაგირღვიოთ, — ეს სიტყვებიც, სვეტას კითხვაზე პასუხით დალოიანი გულწრფელად მიაკარა ნათქვამს, მაგრამ გვიანი იყო, სვეტას მოთმინების ფიალა უკვე ავსებოდა: — მაინც ვერ გამოვიდა, აქ რატომ ჩამოხვედი, — იფეთქა უცებ, — თქვენთან ხომ კარგი ექიმები არიან? თან მამაშენმა მითხრა, ძალიან ცუდად არისო. გადამდებია ხო, შენი დაავადება? როცა ასეთი რამე გჭირს, არ ჯობია სახლში დარჩე და იქ იმკურნალო — თქვენს საავადმყოფოებში, თქვენს ექიმებთან? აქ რატომ ჩამოდიხარ? თქვენ, ქართველებს ხომ რუსები არ გიყვართ? საბჭოთა კავშირი დაშალეთ, გამსახურდისას გაჰყვირეთ, დროშებს იქნეთ, ჩვენგან კი გინდათ ყველაფერი მიიღოთ — ექიმი, ნამალი, საავადმყოფო... იქით — ჩვენებმა დაიწყეს ომი, აქეთ სომხები, სოჭში ხო ხარ ნამყოფი, მამაჩემის სახლში, ხო დადიოდით ზღვაზე ბავშვობაში დასასვენებლად — აგარაკს მედავებინა, წართმევა უნდა... ახლა შენ ჩამოხვედი აქ, არ ვიცი რა გჭირს, რა დაავადება გექვს, არ მეუბნები, არ მელაპარაკები, ჩემთან უნდა იცხოვრო და თავი მალა გიჭირავს... ყველანი ერთნაირები ხართ თქვენ — ქართველები, სომხები, ჩინები... კავკასიელები, ყველანი. ამაყები...

რამ გამანარა ეს ქალი ასე, პოლიტიკა

რა შუაშია ჩემს დაავადებასთან, ან რა მჭირს გადამდები? აქ სად გამოიშვეს ჩემებმა? სამკურნალოდ ჩამოვედი თუ ვილაცის ისტერიკული მონოლოგების მოსასმენად? — სვეტას შემხედვარე უკვე ძალიან ნანობდა მოსკოვში ჩამოსვლას საბოლოოდ გამოფხიზლებული ნია; არც დაფიქრებოდა, ახლა ისე ჩაჯდებოდა თვითმფრინავში და ისევ უკან, თბილისში გაფრინდებოდა. — აბა, რას იტყვი, არაფერი გაქვს სათქმელი, არ გინდა, რომ მიპასუხო? — აღარ თუ ვეღარ ჩერდებოდა სახეზე ერთიანად წამოჭარხლებული სვეტა და რატომღაც მკლაზე ებლაუჭებოდა გაოგნებულ, დარცხვენულ ნიას, რომელსაც თავი ჩალუნული ჰქონდა, მაგრამ ცხადად გრძობდა ახლომხლო სკამებიდან მისკენ მიმართული მგზავრების ცნობისმოყვარე მზერას. მერე დაიღალა თუ რა იყო, ცოტა ხნით გაჩუმდა სვეტა, ფანჯრიდან გაიხედა, ალბათ იმის გასაგებად, სად იყვნენ, და მალევე გააგრძელა შეწყვეტილი ლაპარაკი, ოღონდ ახლა უფრო დაბალი და ნაკლებისტერიკული ხმით: — შენ ხომ განათლებული გოგო ხარ, ნია, არ უნდა გენყინოს რასაც გეუბნები, უნდა გამოგ. მე მეგონა... რომ გელოდებოდი... მე ვიფიქრე... ვილაცა „კალბონი-ცა“ ჩამოვა-მეთქი, მაგრამ შენ განათლებული გოგო ყოფილხარ — თანამედროვედ გაცვია, რუსულად ლაპარაკობ, მარტო ჩამოხვედი მოსკოვში... არ უნდა გაბრაზდე არაფერი არ უნდა დამიმალო. მე ოჯახი მაქვს — ქმარი მყავს, შვილი; მამაშენმა მითხრა, რასაც ეტყვი, დაგიჯერებსო; ჰა, ნია, მიპასუხე, ხო დამიჯერებ? — ბოლო წინადადება თითქმის მუდარით წარმოთქვა სვეტამ.

— იცით, სვეტა, — თვითონაც არ მოელოდა, ისეთი მშვიდი ხმა ამოუვიდა ნიას პირიდან, — სიმართლე გითხრათ, არც ვიცი რა ვთქვა, როგორ ვთქვა, იმ ყველაფრის შემდეგ, რაც თქვენ დაუმსახურებელი საყვედურებითა და ბარალდებებით ამავესეთ; მართლა არ ვიცი, როგორ ვიმართლო თავი და ავიხსნათ ყველაფერი, მაგრამ მაინც შევეცდები: დავიწყებ იმით, რომ მე გადამდები არაფერი მჭირს. როგორც მიხვდები, ეს ამბავი ყველაზე მეტად განუხებთ და ადამიანურად მესმის კიდევ თქვენი. უბრალოდ, ჩემი აზრით, შეიძლება, სათქმელი სხვა ტონით და სხვა ადგილას გეთქვით და არა აქ, ავტობუსში; გეთქვათ ეს ყველაფერი თუნდაც გუშინ საღამოს, ტელეფონზე საუბრისას, სანამ ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი. რომ მცოდნოდა, ასე გეშინოდათ ჩემი დაავადების, საერთოდ აღარ ჩამოვიდოდი, ან სხვა გზას მოვნახავდი. ისე, რომ იცოდეთ, არც ჩემთვის იყო იოლი მოსკოვში ჩამოსვლა — არც ფსიქოლოგიურად და არც მატერიალურად. ახლა რაც შეეხება ჩემი ჩამოსვლის მიზანს: მე ოპერაცია უკვე გავიკეთე თბილისში და აქ კონტროლისთვის ჩამოვედი. ჩემმა ექიმებმა მირჩიეს. დიაგნოზის გადამოწმება მინდა, რამდენიმე პროცედურის ხელმეორედ ჩატარება და კიდევ, რასაც აქაური ექიმები ჩათვლიან საჭიროდ, იმის გაკეთება. ჩვენთან, სამწუხაროდ, სათანადო აპარატურა ჯერ არ არის. შემიძლია დიაგნოზიც გაჩვენოთ, მინეროლოგაც. დიდ ჩანთაში მიღვეს, რომ მივალთ, გაჩვენებთ. ყველაზე უფრო მტკივნეული კი, — აქნამით ხმა ჩაუნყდა ნიას, — ჩემთვის მაინც ის არის, რომ თქვენ შეშინებული ხართ არა მარტო ჩემი დაავადებით, არამედ ჩემი ქართველობითაც. ამიტომ, რაღაცას აუქტივებლად მოვიფიქრებ. ამაღამ სად წავიდე, არ ვიცი... აქ მამაჩემის ერთი ახლო მეგობარი ცხოვრობს. ჩამოსვლისას, ყოველი შემთხვევისთვის, მისი ტელეფონის ნომერი დავინერე. დაეურეკავ და... მე ისედაც... მე მხოლოდ ერთხელ მინდოდა „კამირკაზე“ გაყოლა, რომ მენახა სად არის. მერე თქვენ აღარ შეგანუხებდით... და კიდევ... ორიოდ კვირით ღამის გასათევი ადგილი მჭირდებოდა... სულ ეს არის... მეგონა, თქვენ ჩვენი ოჯახის ახლობელი იყავით, ქართველიც, თუნდაც ნახევრად, და ეს არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს... მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ყველაფერი არც ისე მარტივად ყოფილა, როგორც ვფიქრობდი. — აკანკალებული ხმით დაამთავრა ნიამ ლაპარაკი და თვალზე მომდგარი ცრემლების მოსაწმენდად ფანჯრისკენ შებრუნდა.

— რა თქვი? — არავითარ შემთხვევაში, — ღამის სკამიდან წამოფრინდა სვეტა. — სად უნდა წახვიდე, ვერსადაც ვერ წახვალ, მამაშენმა მე ჩამაბარა შენი თავი, შენ ჩემთან ჩამოხვედი და ჩემთან იქნები. სხვაგან წახვალა თუ გინდოდა, თავიდანვე წახულიყავი. ახლა მე ვარ პასუხისმგებელი შენზე. თანაც, მოსკოვი თბილისი ნუ გგონია. არ იცნობ შენ მოსკოვს, დიდი ქალაქია. ის, რაც გითხარი, სანყენად არ მითქვამს. თანაც, ცხვირს მალა სწევ, თითქოს საკუთარ სახლში იყო. ჩემიც გაიგე. არ გიცნობ. უცხო ადამიანი ხარ. მე ძალიან დიდი ხანია საქართველოში აღარ ვყოფილვარ. ყველა მახსოვს, მიყვარს კიდევ — „გოგი ძია“, „ბაბუღია დედა“, — „ძია“ და „დედა“ გამართული ქართულით თქვა — ჩემი ბიძაშვილები, დედაშენი... „ცოთა ქართველიც იცის“ — „არ უნდა“, „მინ-და“, „ციტელი ვამ-ლი გაგორდა“ „მიკვარ-ხარ“... მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, ხომ გესმის. აი, ნახავ, არა ვარ ცუდი ქალი, არსად არ გაგიშვებ, დარჩები ჩემთან... — და აქ, სვეტამ, ხელის მოთათუნებაც კი სცადა ნიასთვის ლოყაზე. მერე კი, თითქოს მთელი ეს უსიამოვნო საუბარი არც ყოფილიყო მათ შორის, ძალიან ჩვეულებრივ უთხრა: — მოვსულვართ ამასობაში, მოემზადე, ნია, მეტროს ვუახლოვდებით, ჩავდივართ.

ხმის ამოღების აღარც თავი ჰქონდა ნიას და აღარც სურვილი. გაკვირების უნარიც საერთოდ დაჰკარგოდა. იჯდა გამოთყვანებული სახით და მწვანე, ჩინურ მაჯის საათს დაჰყურებდა, წამოსვლის წინ მამამ რომ აჩუქა. მოსკოვის დროით რვა სრულდებოდა.

მეტროში შესული ნია დატუქსული ბავშვის გამომეტყველებით მიჰყვებოდა გვერდით სვეტას. მერე, სანამ ის სალაროსთან იდგა და შეტონებს ყიდულობდა, უაზროდ, უნადინოდ ათვლიერებდა მეტროდან დაუსრულებელ ნაკადად ამომავალ ხალხს. სვეტა მალევე დაბრუნდა, ჩანთა მარტომ აიღო და ავტობუსთან გაატარა, მერე კი ისევ ორივემ მოჰკიდეს ხელი აქეთ-იქიდან. ის იყო ესკალატორზე ფეხი უნდა შეედგათ, რომ უკნიდან ქართული „— გოგონა, გოგონას!“... ძახილი მოისმა. ორივემ ერთდროულად მიიხედა უკან. — უკაცრავად, ერთი წუთით მოიცადეთ, არ ჩახვიდეთ თუ შეიძლება!“ — შინდისფერპალტოიანი გოგო ხელის ქნევითა და სწრაფი ნაბიჯით მათკენ მიდიოდა. ნეტავ ვინ არის, რა უნდა ჩემგან? — გაიფიქრა დაბნეულმა ნიამ და სვეტას შეხედა; იმან კიდევ, ისე გაუყარა თვალის-თვალში, გეგონება, ამ უცხო გოგოს მოულოდნელი გამოჩენით, ნიას რაღაცამო გამოჭერა უნდაო.

— იცნობ? — ჰკითხა ისევ ძალიან სწრაფად.

— საიდან, პირველად ვხედავ, — მხრები აიჩიჩა ნიამ.

— მაშინ წავიდე, — უთხრა და ჩანთა გაქაჩა.

— არა, დაველოდოთ, უხერხულია, თითქმის მოვიდა უკვე, — მოულოდნელად ისეთი მტკიცე ხმით თქვა ნიამ, რომ სვეტა ვეღარ შეენინააღმდეგა. ამასობაში, თერთი პირისახის, თაფლისფერთვალად ლამაზი გოგოც მიუახლოვდა. თუმცა მთლად გოგოც აღარ ეთქმოდა, ოცდაათ წლამდე იქნებოდა. — გამარჯობა! — რუსულად, ქოშინით მიესალმათ და სამივენი, შეთანხმებულბრავით, ესკალატორიდან გვერდზე გადაგნენ, სხვა მგზავრებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ. — ბოდიშს გივადით, რომ შეგაყოვნეთ, — მოსვლისთანავე დაიწყო შინდისფერპალტოიანმა. — მე თამრიკო პ-ა ვარ. თბილისელი ქართველი. ახლა აქ ვცხოვრობ, მოსკოვში. აქ ვსწავლობდი, აქ გავთხოვდი და აქვე დავრჩი სამუშაოდ, როგორც ხდება ხოლმე. ექიმი ვარ, ონკოლოგი-გინეკოლოგი. ვმუშაობ ქალაქის ონკოლოგიურ დისპანსერში, — თქვენ ალბათ გეცოდინებათ სადაც არის, მეტრო „ბაუმანსაკაისთან“ — მიუბრუნდა სვეტას; ჩემი საქციელი, ალბათ, უცნაურად გეჩვენებათ, მაგრამ რომ არ მოვსულიყავი, არ შემიძლო. ავტობუსში თქვენ უკან ვიჯექი; უფრო სწორად, მარტო არა — ჩემი მეუღლეც, ირაკლი, ისიც ქართველია, სალაროებთან მელოდება. ჩვენ რაღაც გამოგვიგზავნეს საქართველოდან და თვითმფრინავს დავხვდით. მაპატიეთ, მაგრამ თქვენი საუბარი მოვისმინეთ. ახლა

აქ რომ ვარ, უფრო ირაკლის ინიციატივით. ანუ... რადგან გავიგეთ, რომ ონკოლოგიური პრობლემები გაქვთ, ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ... აი ჩემი სავიზიტო ბარათიც, — თქვა და ნიას გამობარი, სავარაუდოდ, ხელში კარგა ხნის წინ მომზადებული ბარათი გაუნროდა. მერე კი, ნიას მზერა გაუსწორა და უფრო დამთბარი ხმით, ქართულად უთხრა: ჩემო კარგო, — სიმართლე გითხრათ, უფრო ამ ქალბატონის საქციელმა გადაამწყვეტინა თქვენთან მოსვლა. არ ვიცი, რატომ გელაპარაკებოდათ ავტობუსში იმ ტონით, უფრო სწორად, რატომ გეჩხუბებოდათ... ეს, ალბათ, ჩემი საქმე მართლა არ არის, მაგრამ ძალიან მინდა, რამით დაგეხმაროთ. ბარათში ყველაფერი მითითებული — სახლის, სამსახურის ტელეფონის ნომრები, — მალევე გადავიდა ისევ რუსულზე. ხვალვე შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩვენს დისპანსერში. ჩვენთანაც პროფესიონალი, გამოცდილი ექიმები არიან. ნუ მოგერიდებათ. თუ არ მოხვალთ, წარმატებებს გისურვებთ, ღმერთმა ჯანმრთელად გამყოფოთ, — დაასრულა თამრიკომ ლაპარაკი, ღრმად ამოისუნთქა და წასასვლელად მოემზადა. — ჰო, მართლაც, სახელი ნია გქვიათ, არა? არ გაგიკვირდეთ, ესეც ავტობუსში გავიგონე, მაგრამ მაინც გადავამოწმე. ნია, ჩემო კარგო, — ეს ორი სიტყვა ისევ ქართულად თქვა, — აუცილებლად დამირეკეთ, იმ შემთხვევაშიც, თუ არ დაგჭირდებოთ; მაინტერესებს, რას გეტყვიან აქაური ექიმები. ესეც რომ არ იყოს, ქართველები ვართ, ადამიანურადაც ძალიან გამიხარდება, — მერე ორივეს ცალცალკე დაემშვიდობა, ნიას გაუღიმა და გაბრუნდა.

სანამ თამრიკო ლაპარაკობდა, ნია, გარინდებული იდგა და მხოლოდ „რატომ შენუხდით“, „დიდი მადლობა“ „როგორ გეკადრებათ“ თუ რაღაც ამის მსგავს მოკლე ფრაზებს ლულულულებდა დროდადრო ქართულად. ვერც თამრიკოს წასვლის შემდეგაც მოეგო გონს. სვეტაც არანაკლებ დაბნეული სახით გაჰყურებდა უცნობი ქართველი ექიმი გოგოს შინდისფერ ზურგს და რატომღაც, სულ აღარ ჩქარობდა მინ წასვლას.

 ალბერ იცოდა ნიამ, რა ეფიქრა. სულ ცოტა ხნის წინ, ამ პირდაღებულ, სასტიკ ქალაქში, კაციშვილი გულშემატკივარი არ ეგულებოდა, მაგრამ ახლა, სვეტას „რისხვის“ სანაცვლოდ, თამრიკოს სახით, მართლაც ციური მანანასავით ნამოვიდა მის თავს სასწაული.

— რაღას დგახარ, ნავიდა შენი ქართველი „მაშველი“, — გამოიყვანა ნია ფიქრებიდან „პირვანდელსახედაბრუნებულმა“ და კვლავაც კბენის ხასიათზე დამდგარმა სვეტამ. — იმედია, არ დაუჯერებ მაც ვილაც თამრიკოს. კაცმა არ იცის, მართლა ექიმია თუ არა. ასეთი აფერისტი ქართველი უამრავი დადის მოსკოვში. არა მგონია, შენ ისეთი გულუბრყვილო გოგო იყო, რომ ქუჩაში გაცნობილებს ენდო. მატყუარაა ვილაცა. ან ვითომ ქართულად რომ დაგელაპარაკა, ეს რა იყო? რატომ ყველაფერი რუსულად არ თქვა, დასამალი რა ჰქონდა? რა გითხრა, ჩემზე გითხრა რაღაც, არა? — ამ სიტყვებზე სვეტამ სავიზიტო ბარათი თითქმის გამოგლიჯა ხელიდან ნიას და ზედიზედ ორჯერ, ხმამაღლა, დამარცვლით, ნერვიულად ჩაიკითხა. მერე ბარათისთვის თვალის არ მოუშორებია, ისე გააგრძელა დამოძღვრა: — დაივიწყე, ნია, ეგ გოგოც და მისი ექიმობაც. სისულელეა, მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, უკვე ფულს გამოგძალავდა. მერე რა, რომ ქართველია? ქართველები ახლა რუსებს ვეღარ გვჩაგრავენ, — ეს სიტყვები თავანულებმა, რალაცნაირი რიხით თქვა, — და ერთმანეთს ატყუებენ. ასეთი ხალხი ხართ თქვენ... მატყუარა, ზარმაცი... არც წესრიგი გიყვართ, არც მუშაობა... აწყობილი ქვეყანა დაშალეთ... რუსები გძულთ და ისევ აქ მორბიხართ ფულის საშოვნელად... ჩამოსვლა იცით, წასვლა — აღარ!

— დაიწყო ისევ... რა დავაშავე, ღმერთო... — ფიქრობდა ერთბაშად ამხელა დოზით მიღებული დადებითი თუ უარყოფითი ემოციებისგან გონწართმეული, გამოფიტული ნია; ნეტავ მალე მივალნიოთ სახლამდე, რომ როგორმე თავი სადმე მივდო და დავიძინო; დილით კი აუცილებ-

ლად დაფურეკავ მამჩემის მეგობარს და ვთხოვ, შევეხვეწებო, რომ დამეხმაროს. ან... არ ვიცი, არ ვიცი, უკან გავბრუნდე? როგორ დავიბენი, მართლა აღარ ვიცი, რა ვქნა...

ამასობაში ბაქნამდე მიაღწიეს და მატარებელიც მოგრიალდა. „იუგო-ზაპად-ნაია, სლედუშაია სტანცია „პროსპექტ ვერნადსკოვო“, გაისმა ვაგონში ქალის ნკრიალა, სასიამოვნო ხმა. დაქანცული ნია ჩვარივით დავარდა ცარიელ სავარძელზე. სვეტამ მოპირდაპირე მხარე აირჩია დასაჯდომად. — ალბათ იმიტომ, იქიდან კარგად დამათვალისწინოს, — გაიფიქრა ნიამ. ჩანთა ფეხებში საიმედოდ მოიქცია და თვალები დახუჭა. სიამოვნებდა საზურგეზე მისვენებულს მეტროს მატარებლის რბილი ხმაური და ეს ძალიან აკვირვებდა.

 გადაბმული ყვითელი ავტობუსიდან რომ ჩამოვიდნენ, როგორებიც თბილისში კარგა ხანია, აღარ დადიოდა, პატარა, გაბრდვლილებული ბაღი გადაკვეთეს, მერე ვიტრინებდართქლილ მარკეტს გასცდნენ და სვეტას მალსართულიან კორპუსსაც მიაღწენ; და როცა ლიფტიდან მეთექვსმეტე სართულზე გამოსულ ნიას, თბილისში ასევე ისტორიას ჩაბარებულმა, მოვლილი და განათებული სადარბაზოს სიტომ დაუარა გაყინულ ფეხებში, მხოლოდ მაშინლა დამშვიდა ცოტა და სვეტაზეც მოუბრუნდა გული.



სალამომ არც ისე ურიგოდ ჩაიარა. ნიამ სვეტას მუხლზე, ანდრეი და მათი ცამეტი წლის ქალიშვილი, ლენა გაიცნო, საქართველოდან წამოღებული სიმბოლური საჩუქრებიც ჩამოაჩინა და როდესაც „ჭაჭა“ დადგა მაგიდაზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, პირველად დაინახა სვეტას სახეზე ღიმილი. სვეტას შემხედვარეს თვითონაც გაეღიმა და, უცებ, რალაცნაირად, გულწრფელად შეეცოდა ნათესავი ქალი. ლენამ საჩუქრები მიიღო თუ არა, მაშინვე თავის ოთახში შეიყუთა. ანდრეისთან კი, რომელიც სვეტასგან განსხვავებით განონასწორებული, გულლია ადამიანი და მშვენიერი მოსაუბრე აღმოჩნდა, ნიამ მალევე გამოიხარა საერთო ენა. ცოტა ხანი საქართველოზე და პოლიტიკაზე ილაპარაკეს. მერე ნია ადგა, წყალი გადაივლო, ცხელი ჩაი მოხვრიჭა და მყუდრო, პატარა საძინებელში, მისთვის გამოყოფილ საწოლს მიაშურა.

მეორე დღეს, ადგა თუ არა, სვეტას შინ დარეკვა სთხოვა. რას მეკითხები, დარეკე, როცა მოგიხდეს, დამტკბარი, სრულიად უცხო ხმით უთხრა სვეტამ; მაგრამ როგორც კი ნიამ ქართულად დაიწყო ლაპარაკი, სვეტას ხმამ მაშინვე დაკარგა „სიტკო“ და ნიას მკაცრად სთხოვა, თუ შეიძლება, რუსულად ილაპარაკეო. ნიას ვითომ არ გაუგია სვეტას ნათქვამი, ნაუყრუა, თუმცა მალევე დაამთავრა ლაპარაკი; მერე, სვეტაც სარეცხის გასაფენად რომ გავიდა აივანზე, ისევ აიღო ყურმილი და უკვე ნებართვის გარეშე დარეკა მამამისის მეგობარ გივისთან. გივი არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა, ნამდვილი ბიძასავით ელაპარაკებოდა ტელეფონზე; მიეფერა, დაანყარა, მადლობაც კი გადაუხადა, ასეთ ახლობლად

რომ ჩათვალა და არც დაფიქრებულა, ისე შესთავაზა საცხოვრებლად გათხოვილი ქალიშვილის დროებით დაკეტილი ერთთახიანი ბინა მეტრო „ოტრადნოსთან“. გამოიძარა ნიამ. ერთიანად გაუქრა გუშინდელი შიში და უიმედობა. ძლივს, ამდენი დავიდარაბის შემდეგ, ისეთ ხასიათზე დადგა, რომ ეზოს დასათვალისწინებლად ფანჯრისკენ შებრუნებულმა, ლინინც კი დაინყო, რითაც ძალიან გააოცა სამზარეულოში შესული სვეტა.

 „კაპშირკაზაი“, საბჭოთა კავშირში ცნობილი ონკოცენტრში, სადაც თბილისიდან გამოუშვეს, არც ისე კარგი ამბავი დახვდა ნიას: ექიმი, რომელთანაც მინერელობა ჰქონდა, სწორედ ნიას დღეს, საფრანგეთში გაფრენილიყო რალაც საერთაშორისო კონფერენციაზე და ორ კვირაზე ადრე ვერ ჩამოვიდოდა. სვეტას, რა თქმა უნდა, გულს შემოეყარა ამის გაგონებაზე და მთელი უკანა გზა ნიას წინდაუხედავ ჩამოსვლაზე ბუზღუნებდა.

თითქოს ყველაფერი იმიტომ აენყო ასე, რომ ნიას თამრიკოსთან დაერეკა და დახმარება ეთხოვა. სხვა გზა მართლა არ ჰქონდა. ორი კვირა უაზროდ ვერ იჯდებოდა სახლში. სვეტაც იძულებული გახდა, დათანხმებოდა. ოღონდ, კაცმა არ იცის, ქეთინოზე გამოთქმული თავისი ეჭვების დასადასტურებლად თუ გასაქარწყლებლად, „დისპანსერში“ გაყოლა ახლა უკვე თავად მოითხოვა.

ვუთხრა მათ, რა პასუხი გავცე, შენ რომ აქედან ნახვიდე?“ — ცრემლების ღვარღვარით მანამდე ეხვეწა კედელზე გაკრულ, გაფითრებულ გოგოს სვეტა, სანამ არ დაითანხმა. სალამოს კი, ვახშამზე, უკვე დაწყნარებულმა და სასაცილოდ გამოპრანჭულმა, სადღესასწაულო ხმით გამოაცხადა, რომ დღეს საგანგებოდ ნიასთვის გააკეთა „ჩაკოკილი“ და დააცხო უგემრიელესი „ალადიკები“; ასევე „ნიას საპატივსაცემოდ“ შეასრულა ცოლ-ქმარმა „კარტულ-რუსული“ „სულიკოც“; აი, „კალინ-კამალინის“ ცეკვა კი უკვე ნამდვილად ნიას ჩამოტანილი „ჩაჩის“ დამსახურება იყო.

ამის მერე, რაც მართალია მართალია, სვეტამ ნამდვილად შეასრულა პირობა. ავად თუ კარგად, შეეგუა სახლში ნიას არსებობას. ოღონდ, ისევ ძალიან ეშინოდა მისი დაავადების დროდადრო კვლავ უსვამდა ხოლმე ნიას ამ თემაზე კითხვებს და ნიაც გულახდილად პასუხობდა ყოველთვის; ვინ იცის, მერამდენედ უხსნიდა, რომ მას გადამდები არაფერი სჭირდა, მაგრამ, სვეტას გადარწმუნება ასე იოლი არ იყო. ეს საბოლოოდ მაშინ დაიჯერა ნიამ, როდესაც ერთ დღეს, შემთხვევით აღმოაჩინა, რომ მისი თევში, მთლავა, ფინჯანი, ჭიქა, ჩანგალი, დიდი და პატარა კოვზები, საერთო ჭურჭლისგან მოშორებით, ცალკე ენყო სამზარეულოს კარადის ცარიელ თაროზე. საშინლად იმოქმედა ნიაზე ამის დანახვამ. „თავის ოთახში“ შევიდა და ჩუმი, მოგულდული ტირილით იქ მოიხა გული. მიუხედავად იმისა, რომ ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო სვეტასგან წასასვლელად, ნიას გადასვლაზე აღარ უფიქრია. თუმცა ბოლომდე თავდაც ვერ აეხსნა რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ ამით საკუთარ ამპარტანებას აჯობა, ან სულაც იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოდ მოჩანდა იმ მიზეზის ფონზე, რომლის გამოც ის მოსკოვში ჩავიდა.

 თითქმის ყოველ დღე დადიოდა ნია „დისპანსერში“ თამრიკოსთან. იქაურმა ექიმებმა, რომ იცყვიან, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე ჩხრიკეს, სინჯეს და ამონმეს „უკანონო“ პაციენტი. თამრიკო დედასავით დაჰყებოდა ყველგან და პატრონობდა, შეუძლებელს აკეთებდა იმისათვის, რომ ნიას მიზერული დანახარჯებით ჩაეტარებინა საკმაოდ ძვირადღირებულ გამოკვლევები. ზოგჯერ, როცა თამრიკოს დრო ჰქონდა, ის და ნია ქალაქშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს, — ხან კაფეში შედიოდნენ, ხან ეკლესიაში, ხანაც „არბატზე“ სეირნობდნენ და ასე ნელ-ნელა უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს უცნაურ გარემოში გაცნობილი ექიმი და პაციენტი. შინ მისული ნია შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ სვეტასთან საქებარი სიტყვა არ ეთქვა თამრიკოზე. სვეტა ასეთ დროს დღობის ამჯობინებდა ხოლმე და თავისი სიჩუმით, თან თითქოს ეთანხმებოდა ნიას, თან იმასაც ამბობდა, თამრიკოს გამო სულაც არ ვაპირებ ქართველებზე მტკიცედ ჩამოყალიბებული აზრის შეცვლას. იმას კი აშკარად გრძობდა ნია, რომ სვეტას რალაცნაირად, არ სიამოვნებდა მისი და თამრიკოს მეგობრობა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნიას თბილისში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. მოხდა ისე, რომ ნიას ნავარაუდევზე მეტ ხანს მოუღია მოსკოვში დარჩენა, რაც ასევე გმირულად აიტანა სვეტამ და ამის გამო ოდნავი უკმაყოფილებაც არ გამოუთქვამს. ის კი არა, ნიას გამგზავრების წინა საღამოს, თვალებიდან ცრემლებიც წამოსცვივდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დილით მხოლოდ ლიფტის კარამდე მიაცვლა. ოღონდ, ამჯერად, გადაკოცნის მართლა აღარ შეშინებია.

 ნიას დიაგნოზი, სამწუხაროდ, მოსკოველმა ექიმებმაც დაადასტურეს. ამაზე ნიას დიდად არ უჯავრია. ელოდა კიდევ ასეთ პასუხს, თუმცა პატარა იმედი, იქნებ, ქართველი ექიმები შეცდნენო (მაგრამ რომ არ შეცდნენ, ისიც გულწრფელად გაუხარდა), ბოლო წუთამდე გულში მაინც უკი-აფებდა. მთავარი ნიასთვის ახლა უკვე ის იყო, რომ ყველაზე ცუდი უკან ჰქონდა მოტოვებული; თანაც, ახალი ცხოვრების დასაწყებად გადადგმულ თითოეულ ნაბიჯზე, ისე ხელშესახებად გრძობდა თავის ცხოვრებაში ღმერთის არსებობას, რომ დარწმუნებული იყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

გია ხომერიკი

თეთრი ბათობი

საშიშროება უკან დავტოვეთ; იყო გვირაბი, მოჩანს ბალები... წინ გველოდება თეთრი ბათობი, რომელსაც მზე და წვიმა ალბენ.

ვალსი ზღვაში

ლურჯად კამკამა ზღვის დაბალ წყალში მეფერებოდი, ვალსზე მიწვევდი... მე შენ გულიდან ვერასდროს წაგული, მე შენ არასდროს დამავინწყდები.

გაზაფხული და რწმენა

უკვე ორმოც-და-მეჩვიდმეტე გაზაფხულს ხვდები... უკვე ორმოც-და-მეთვრამეტე მნედ მეორდები... ვილაც გიფარავს, ამას უკვე ყოველწამ ხვდები, გფარავს მიმნდობს და ათას რამეს მიდებ-მოდებულს.

დროა: ბავშვური გადაადგო მიამიტობა, დროა: თვალეები გაუსწორო დაქცეულ ტროას — შენი სიმართლის გამართლება არის მითები; ღვინობისა და დაბადების სათუთი დროა.

მოვლენ და ისევ სადღაც წავლენ საშიში წლები, შენ არ იქნები, მაგრამ შენი იქნება კვალი... ბევრს შეშურდება შენი ცრემლი, ბალახზე წვები... და ვარდისფერი ღრუბლებისკენ გიჭირავს თვალი!..

უსწაური სიმატლე

ცეცხლს ჩემზე ვინწევ: გიშველო მიწა... და თითქოს ვილაც მიშლის... მე თვითონ მშველის რაღაცა წმინდა... წმინდა გიორგის ჩრდილში...

პალმის თითები

მოჭრილი თავი დიდ თეფშზე ყველას გრძნობს, თავის გარდა... დგას პალმა, პალმის თითებში შრიალებს ძონის ფარდა...

საკუთარ თავს

ვერც მტერ-მოყვარეს ასხვავებ... ვერც ეჭვებს, შენ რომ გძიძგნის. მარტო ხარ, როგორც: ვარსკვლავი და გადაშლილი წიგნი...

მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები

მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები გაივლის დრო და აღარ ვიქნები გაივლის დრო და სულ არ ვიქნები

ჩემი სიზმრებით, მწარე ფიქრებით შავ ლეოპარდად გარდავიქმნები მოვალ თქვენთან და ოქროს ჭიქებით დაგლოცავთ, თქვენ წინ ჩემთვის მივქრები

თქვენ ისევ ისე კარგად იქნებით თქვენ ისევ ისე კარგად იქნებით

მე კი ავაზად გარდავიქმნები... შავ ლეოპარდად გარდავიქმნები



ალერსიანი თქვენი თითებით ალერსიანი ჩემი თათებით წავალ და ალბათ სადღაც ვიქნები მეც ალბათ, ალბათ სადღაც ვიქნები

თქვენი სიზმრებით, თქვენი ფიქრებით კლიმანჯაროს თოვლში ვიქნები... ან იქნებ სულაც აღარ ვიქნები, რადგან უთქვენოდ, რადგან უთქვენოდ მე უკვე არსად აღარ ვიქნები

შავი ვარდებით, ოქროს თვალებით მოვალ და ისევ თქვენთან ვიქნები მოვალ და მუდამ თქვენთან ვიქნები თქვენთან ვიქნები... თქვენი თქვენი

რადგან უთქვენოდ, რადგან უთქვენოდ მე უკვე ვერსად ველარ ვიქნები!

სიყალბა და წიგნები

ის, რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ლექსი არ არი. ის, რაც შენ ხლართე, ოსტატური სიყალბე გახლავს. შეხედე მყინვარს — შენი ცეცხლი მის ტერფზე გალხვა. შეხედე ჭადარს — წვიმებს გალობს ჩემი ჭადარი...

უდაო ფაქტი

სულის უდაო ფაქტი რომანტიკული ტკივილი — ქუჩაში თოვლი აგდია... მოკლული მობი დიკივით...

სულის ვეკტორი

ოქრო სჯობია ბაჯალლო და ლექსი — სილამაზისა... შენც ის გასურს, რომ ჩააძალო სიკვდილის ჯოჯო ქარიზმა.

თანხმობა

ქალი არასდროს არ ამბობს უარს, მაშინაც, როცა ის უარს ამბობს. ქალს უყვარს, როცა ვილაცას უყვარს... და თუკი ქალობს, ბოლომდე ქალობს.

სიღვა: სიყვარული

სიყვარული პატარა ღარნაკია რომელიც ხელში უჭირავს ღრუბელს სიყვარული მინის სიზმარია რომელიც მიდის ამაყ ფარმევანგთა ხეივანში სფინქსის თვალები ხსნიან სიყვარულის სევდიან ფორმულას რომელიც ვაშლივით ვარდება ხიდან პატარა ზღარბისთვის ზღარბისთვის რომელსაც არ უყვარს გველი და მისი სიბრძნე რომელმაც იცის სხვა იდუმალი აზრი ქვეყნისა აღმოცენებული მისი კეთილი ეკლების ჩრდილში ამ განთიადზე მისი სიმარტოვე მოუხმობს სიყვარულს და ჩუმად მღერის რომ მე ისევ ვარ ახალგაზრდა რათა მიყვარდეს.

ღირსია

ბევრი ვიგრძენ და ვიფიქრე ცხოვრება ასე რთული, მე მიყვარს ჩემი ღირსია, მე მიყვარს სიყვარული...

ღტოლვა

სული შფოთავს და სული დაღლილა, გუშინ სარეცხზე მერცხლები ისხდნენ, გული ძგერს, გულის მაღალ ტალღიდან ცხოველი სვეტი მიილტვის ცისკენ...

მაცრი სილაგაზე

ბევრია სილაგაზე ამქვეყნად ბევრია სამყაროში გალაკტიკა რა სილაგაზეა — აჰხედეთ ვარსკვლავთა იმედიან ციმციმს!.. ვარსკვლავნი მესიზმრა — ავაღ ვიყავ — სიზმარში ვფიქრობდი: „ვიცი ვარსკვლავთა სილაგაზე მკაცრი“ — ვარსკვლავი ვარსკვლავს მიჰყვა... შავ ხვერლში მორჩილად, სასტიკად... სიზმარი იყო მკაცრი! მკაცრი და მწყობრი, როგორც იმ სიზმრით მე ვიყავ ცოდო იმ სიზმრით მე ვიყავ ცოდო ერთი ცოდვილი კაცი ერთი მგრძნობიარე კაცი.

მარბარიტა:

ვერ ვხვდები, მომწონს თუ არა. მე-გობართან გავიცანი. თვალეებიდან ინტელექტი მოჟონავდა. ლაპარაკობდა... ვგრძნობდი, ინტელექტუალური ძაფი გაიბა. ვუსმენდი. შინაარსს ვხვდებოდი, მაგრამ ნახევარზე მეტი მწერლებისა და პოეტების გვარები არც კი მეცნობოდა. ეს ფაქტი გამიხარდა. დავფიქრდი: „გამოდის, მსიამოვნებს რომ ამის ფონზე — ბნელი ვარ“. ფორმულირება უფრო მეტად მესიამოვნა და ვთქვი: „შენ ოსტატი ხარ, მე — მარგარიტა“ და თითქმის დაძალებით ტუჩებში ვაკოცე.

მე მოვრალი ვიყავი და როგორც მჩვევია, ულამაზოდ და თავისუფლად ვიქცეოდი. ოსტატი კი ვითომ შემთხვევით წამოკიდებული თემით აგრძელებდა ჩემს დაგრუხვას მანქანაში: მონოგამია არ არსებობს და ამიტომ ჰყავს უამრავი მეგობარი გოგო.

„ჰმ. ამით მეუბნება, რომ სექსი, რომელიც ჩვენ ახლა გვექნება, არაფერს ნიშნავს, ამიტომ, არც იფიქრო, რომ შენთან სერიოზული ურთიერთობა მინდაო“ — ვფიქრობ გულში, ხმამაღლა იგივეს ვამბობ და მონოგამიის თემას ხელოვნურად ვავრცობ. საქმე ისაა, რომ პოლიგამიას როცა მთავაზობენ — მონოგამია მინდება, ხოლო მონოგამიის შემოთავაზებისას — პოლიგამია. თვითონ ბუნებით მოლაღატე ვარ. მაშ, ოსტატის შემოთავაზება როგორღა მანყობს, როცა არ მინდა? მხოლოდ იმიტომ, რომ მარგარიტასებურად არ შემეყვარდეს? არაა, სად შემიძლია სიყვარული და მისი ბანალურობა?! აჰა! ისევ სასწრაფოდ ჩემს პრინციპებს ამოვეფარე... არადა, პრინციპებს ხომ მაშინ ვიყენებთ, როცა ვსუსტდებით, ცდუნება გვძლევს, ანდაც ეჭვი გვეპარება... გამოდის, პრინციპი სისუსტის სამკურნალო რეცეპტია, რომელსაც თავს თავად ვუნიშნავთ!..“

გულში თავი დავიიმედე: „ყველაზე სერიოზული და აზრიანი — უაზრო და არასერიოზული ურთიერთობაა“ და სახლში გავყევი.

ოსტატს, თურმე, ორგინები მოსწონს და ამჯერად წიგნს წერს, რომელმაც პროზის კულტურა უნდა შეცვალოს ქვეყანაში. ორგია არ გვექონია, მაგრამ არც ის დარჩა კმაყოფილი, არც — მე. „არც კი იფიქრო, რომ იაქტიურო და არც იფიქრო, რომ იაქტიურებს“ — ვუთხარი ჩემ თავს და მეორე დღით უძილობისგან დამძიმებული დავბრუნდი სამსახურში, სადაც ჩემი პრინციპები თაროებზე შემოლაგებული დამხვდნენ — მტვერი გადავუნმინდე, ფანჯრისკენ ვუყავი პირი და მოთმინებით დაველოდე ღამეს, რომ უბრალოდ ამ ყველაფერზე „გადამეძინა“.

ოსტატი:

სამსახურში პრობლემა მაქვს. ერთ თანამშრომელს არ ვევახები, მეტოქედ მხედავს და თავის ძალებს ჩემზე ზომავს, თითქოს მეტრი ვიყო, ანდაც მეტრი... მეტრი, მტერი... მეტრი, მტერი. ეს ორი სიტყვა ისე ჰგავს ვიზუალურად ერთმანეთს, რომ პრინციპში, სულ ერთია, რომელს დავწერ... ჰოდა, ეს ჩემი თანამშრომელი მაგრად მაღიზიანებს. ვცდილობ, თავს მოვერიო და სტრატეგიულად მივუდგე, გეგმა შევიმუშავე, თანამშრომელს ჭკუა როგორ ვასწავლო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც წინასწარ ჩამოვწერე, მაგრამ პირველი სამი პუნქტის ასრულება მეორე დღიდან მაინც დავინწყე — ბოლო ცდა იყო:

- 1. ვპატიობ.
- 2. კარგით ვპასუხობ.
- 3. თბილად ვექცევი.

მერე რედაქციიდან სახლში დავბრუნდი, მარგარიტა დამხვდა, ოთახი დაელაგებინა. ჩემი წიგნის ბოლოთავის დასაწყისი წავაკითხე:

„მნამს ყველაფერი ურთიერთგამომრიცხავის იმიტომ, რომ:

ღმერთის მნამს, ადამიანის — არა; ადამიანის მესმის, ღმერთის — არა.... მიყვარს ორივე, მაგრამ არც ერთს არ ვემორჩილები.

მაქვს ღმერთის მონიწება, ადამიანს ვერიდები.

ადამიანის მემიწია, ღმერთის მერიდე-ბა.“

მარგარიტამ დაიხუპირა და წავიდა.

მარბარიტა:

გარეთ ღამე დგას. „მგონი, ჯობს ავდგე

მანანა კვაჭანტირაძე:

„მწერლობა უნდა დააბრუნოს რეალობა“

დასასრული

წერო: „რა პატარა და უმნიშვნელო თანამედროვე მწერლების მთელი განამანია ამ რომანების სერიოზულობის ფონზე. მთელი ეს ავადმყოფური გულახდილობები, ფსიქოლოგიზმები, „სექსიზმები“ და ცინიზმი“. ასე ხედავთ თანამედროვე ლიტერატურას?

— დიას, და ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. ბევრ ადამიანს ანუხებს ეს პრობლემა. გულახდილობის ნინაღმდეგი კი არ ვარ, იმ ავადმყოფურ და ყალბ გულახდილობებს ვგულისხმობ, რომლის მიღმა ადამიანს ვეღარ ხედავ. რა თქმა უნდა, მწერალს სრული უფლება აქვს გაშიშვლოს, საზოგადოებას შეიძლება გააშიშვლოს, მაგრამ ამას ცოდნა უნდა, რომ შენი სიშოშველეს ესთეტიკურის ფარგლებს არ გასცდეს. მწერალი სხვანაირად მიშვლდება, კი არ იხდის, პირიქით, დამატებით „იმოსება“. ნაიკითხეთ „აველუმი“, „გოდორი“, ბევრი სხვა — ნამდვილი მწერლის დაწერილი გულახდილი ტექსტი — და იგრძნობთ, ენის როგორი ფაქტირია შეგრძნება და რა ტკივილი ახლავს ამ „გაშიშვლებას“.

თუ ოთარ ჭილაძის, ბესიკ ხარანაულის, ზაირა არსენიშვილის, აკა მორჩილაძის რომანები გაქვთ მხედველობაში, მაშინ პრობლემა თითქოს არ ჩანს. რამდენიმეს კიდევ დავასახელებდი. თუმცა, ცხადია, ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა. რაც შეეხება ჩვენს „გაჭირვებას“, ეს ცალკე სერიოზული საუბრის თემაა და ერთ პასუხში ვერ ამოვწურავ. იმას კი ვიტყვი, რომ ის მწერლობა, რომელსაც მკითხველთა უმეტესობა თანამედროვედ მიიჩნევს, სადღაც სხვაგანაა, რაღაც სხვას აკეთებს. ენის, აზროვნების, კულტურის სამოქმედო სივრცე შეიცვალა და მწერლობა კარგად ვერ გარკვეულა, სადაა მისი საარსებო ტერიტორია. მწერალი ვერ აგნებს რეალობას. არადა, ვერანაირი ლირებული ლიტერატურა, მით უფრო, რომანი ვერ შეიქმნება, თუ რეალ-


ობის ფოკუსირება ვერ შეძლო. ამ ცნების შინაარსი კი დღეს უჩვეულოდ ფართოა, გაცილებით ფართო და ორაზროვანი, ვიდრე თუნდაც ოცი წლის წინ იყო. მიმდინამის თქმა, მაგრამ ყველაზე დიდ „გაჭირვებას“ არაპროფესიონალიზმსა და პროფესიონალიზმში ვხედავ. საიდანაც წახალისებული, საზოგადოების მიმართ გავრცელებული ნიჰილიზმი და აქედან აღმოცენებული, მკითხველის მიმართ მწერლობის დაბალი პასუხისმგებლობაც არ თამაშობს უმნიშვნელო როლს. ნიჭიერების დეფიციტზე მეტად ცოდნის დეფიციტზე გავამახვილებდი ყურადღებას. სხვათა შორის, ოდნავ განსხვავებულად, მაგრამ ეს „გაჭირვება“ თანამედროვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვისაც ნაცნობია და მოვლენათა ლოგიკიდან გამომდინარე, არა მგონია, კიდევ დიდხანს გასტანოს.

— როგორ ფიქრობთ, არიან თანამედროვე ავტორები, რომელთაც შეუძლიათ მკითხველს „დიდი ლიტერატურის შემოტევა“ კვლავ განაცდევინონ?

— ალბათ, არიან. მკითხველს გააჩნია. ფამუქი ერთგან ამბობს: როცა უყურებ არა გულით, არამედ გონებით, სიხარული სევდად იქცევა. ამ სევდას ვამჩნევ თანამედროვე მწერალსაც და მკითხველსაც. საერთოდ, დღევანდელი მსოფლიო სევდას აღძრავს, თუმცა ეს მხოლოდ გონების თვალთ ყურების ბრალი არ უნდა იყოს.

„დიდი ლიტერატურის შემოტევა“ ვგრძნობდი ბესიკ ხარანაულის რომანის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის“ კითხვის დროს. დიდი მწერალი მესაუბრებოდა ოთარ ჭილაძის „ჩანანერებიდან“. მგონი, ბოლო „შემოტევა“ ეს იყო. საბედნიეროდ, კარგი ლიტერატურა ჩვენთვის არც უკანასკნელ ათწლეულებში ყოფილა საოცრებო და დღესაც მოიძებნება. ცხადია, ეს საკმარისი არ არის, მაგრამ თუ ბოლოდროინდელ რეალობას გავითვალისწინებთ, ესეც საქმეა.

— ვფიქრობ, კრიტიკის დანიშნულება ისაა, რომ მან გამოაფხიზლოს მწერალი, ვიტყვოდი — მკითხველიც. თქვენ როგორ ფიქრობთ?



— სიფხიზლის გარანტი თვითონ მწერლობა უნდა იყოს. კრიტიკა მწერალს და მწერლობას მკითხველის გამოფხიზლებაში უნდა ეხმარებოდეს. ამიტომ ამბობს ბარტი, კრიტიკის ცოდვა მისი დუმილი უფროა, ვიდრე იდეოლოგიურობა. მაგრამ რა ვქნათ, თუკი თვითონ მწერლობას აღარ მოსწონს სიფხიზლე? კრიტიკამაც ტექსტის თანამოქმედების მანტია მოირგო და თავისუფლებით, ანუ ინტერპრეტაციით, საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების მანიფესტაციით ტყდება. ეს თავისუფლება კარგია, მაგრამ მისი მართვა ძნელია, რომ „უპატრონო“ ტექსტზე ძალადობაში არ გადაიზარდოს. ვფიქრობ, სწორედ თავისუფლების პირობებში ტექსტის მიმართ გამოხატული პატივისცემა ზრდის კრიტიკის ავტორიტეტს. პარადოქსულია, არა?

— თქვენ ბრძანდებით ლიტერატურის ინსტიტუტის ყოველწლიური აღმანახის, „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი. გამოცემის მომდევნო ნომერი სულ მალე გამოვა. რას სთავაზობთ მკითხველს?

— აღმანახი „კრიტიკა“ 2005 წლიდან ლიტერატურის ინსტიტუტში გამოდის. ახალ, მე-7 ნომერს უახლოეს დღეებში მიიღებს საზოგადოება. სამწუხაროდ, ჩვენს გამოცემას ძალზე ცოტა მკითხველი ჰყავს. მცირე ტირაჟის გარდა, მოუწესრიგებელი

კანონმდებლობაც გვიშლის ხელს გავრცელებაში. არადა, კრიტიკის არარსებობა ყბადალებული თემაა. აღმანახი ლიტერატურაზე პროფესიული აზრის დეფიციტის შესავსებად შეიქმნა, მკითხველის გემოვნებისა და ორიენტაციების დახვეწის, ლიტერატურული საზოგადოების შექცევის, სტიმულირებისა და გამოფხიზლების მიზნით. საქმეს პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნეები ასრულებენ. მკითხველს ალტერნატიულ შეფასებებს ვთავაზობთ, ვცდილობთ, ის ვექტორები მოვნიშნოთ, რომლებიც სწორედ პოსტსაბჭოთა პერიოდის მწერლობის განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. ვფიქრობ, ჩვენში კრიტიკა არ უნდა იყოს თვითდინებაზე მიყოლილი, თუნდაც თავისი რეფლექსის ობიექტის, ლიტერატურის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფუნქციის გამო. ამას გარდა, როგორც ლიტერატურული აზროვნების გამორჩეულ სფეროს, კრიტიკას კულტურის სივრცის მონესრიგების ფუნქციაც აკისრია. ამ მიზნით, საკუთრივ ლიტერატურული გარდა, მკითხველს ვთავაზობთ წერილებს ხელოვნებაზე, კულტურაზე, ჟურნალისტური დისკურსის თავისებურებებზე. ერთი სიტყვით, ვცდილობთ, ლიტერატურული გარდა მოსაზღვრე სივრცეებსაც შევხვდეთ.

ესაუბრა თამარ შურული

მედეა მეტრეველი:

„ჩვენ მიმართ ინტერესმა იმატა“

დასასრული

მაცაბერძნის ნიგნის „ბექა ბიჭის ზღაპრების“ პრეზენტაციაც. სხვათა შორის, ეს გერმანულ ბაზრობაზე ქართული საბავშვო ლიტერატურის პირველი ოფიციალური წარდგენაა. გარდა ამისა, ივეგმება მინისტრის, გურამ ოდიშარიაშვილის შეხვედრები ლაიფციგის ნიგნის ბაზრობის პრეზიდენტთან, ოლივერ ცელესა და ფრანკ-ფურტის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტ ტობიას ვოსთან. როგორც უკვე გითხარით, ეს არის გურამ ოდიშარიაშვილის პირველი ვიზიტი და გერმანულმა მხარემ დიდი იმედი გამოთქვა ჩვენს სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის მიმართულებით.

ქართულ დელეგაციასთან ერთად ივეგმება საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის, შტეფან ვაკვიცის ვიზიტიც, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ჩვენი დელეგაციის შეხვედრებს გერმანიის მასშტაბის ნამყვან საშუალებებთან, რათა ის კულტურული პოლიტიკა, რასაც ჩვენი სამინისტრო უცხოეთში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის გეგმავს, მაქსიმალურად მივიტანოთ იქაურ საზოგადოებაში.

— თქვენი პროგრამა კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებდა, ეს იყო უცხოური ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე. ამ მხრივ რა ვითარებაა?


— 2010 წელს, როდესაც ეს კონკურსი გამოაცხადდა, უამრავი განაცხადი შე-

მოვიდა. იმდენად, რომ ტექნიკურად ამ ყველაფრის სისტემატიზაცია ძალიან გაჭირდა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, კონკრეტული ვადები გაგვეუქმებინა და საინტერესო პროექტები მთელი წლის განმავლობაში დაგვეფინანსებინა. ასე რომ, ეს მიმართულება გრძელდება.


ზოგადად, ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცნება მხოლოდ ადგილობრივ მწერლობას არ მოიცავს, კარგი თარგმანიც შენი ლიტერატურის ნაწილი ხდება. თუ გინდა, ევროპულ სალიტერატურო სივრცეში თავი დაიმკვიდრო, ღირებული თარგმანები აუცილებელია. ამით შენი ენის გამდიდრებაზეც ზრუნავ. ამიტომ სამინისტრო ამ მიმართულების დაფინანსებას განაგრძობს.

— კიდევ თუ გაქვთ საინტერესო პროექტები?

— წელს მაისში მესამედ გაიმართება ლიტერატურული ფორუმი, რომლის ფარგლებშიც გოეთეს ინსტიტუტთან ერთად მთარგმნელობით სემინარებს ვატარებთ. სხვათა შორის, თამაშ მელოპედიის რომანი მსგავსი სემინარის ფარგლებში მომზადდა. წელს გვინდა ასეთივე სახელოსნო მოვანყვით ინგლისურენოვანი მთარგმნელებისთვის. რეალურად ეს ძალზე ეხმარება თარგმნის პროცესს. ბრიტანეთის საბჭომ უკვე გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი და ახლა მოდერატორებთან მიმდინარეობს კონსულტაციები. ძალიან



გვინდა ინგლისურენოვან ჯგუფს დონალდ რაიფილდმა უხელმძღვანელოს, რომელიც ცნობილი ქართველოლოგი, მთარგმნელი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ. სწორედ მას ეკუთვნის ოთარ ჭილაძის „აველუმის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა. სამომავლოდ ასეთივე სახელოსნოების გაკეთება შეიძლება ფრანგულ, ესპანურ, იტალიურენოვან მთარგმნელებთანაც. ასევე დაგეგმიანს 12 ქართველი მწერლის ნიგნების თარგმნას. ოთხი მათგანის — აკა მორჩილაძის, ზაზა ბურჭულაძის, ლაშა ბუღაძისა და ზურაბ ქარუ-



მიძის ტექსტებს ბრიტანულ-ამერიკული გამოცემლობა გამოსცემს. მათთან უკვე გვექონდა საქმიანი ურთიერთობა და კონტაქტის გაგრძელებას ვაპირებთ, მით უფრო, რომ თავად გამოთქვეს 20 ქართველი ავტორის გამოცემის სურვილი. ერთი სიტყვით, იდეები ბევრია. მთავარია, მაქსიმალურად ქმედითი და საინტერესო ნაბიჯები გადავდგათ. ამ მხრივ, სამინისტრო სრულ მზადყოფნაშია.

ესაუბრა ნანა კობაიძე

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com